ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ორშაბათი, 17 ოქტომბერი, 2011 | №246 (5626) | ფასი: 30 თეთრი

„ახალი თაობა“+
ჩარლი ჩაპლინი
8 ლარი
11 ოქტომბრიდან




# ბიძინა ივანიშვილი შეიძლება საქართველოდან გააძევონ!



გვ. 6

## რა შემთხვევაში შეიძლება ბიზნესმენის წინააღმდეგ საქმის აღძვრა

## დავით ბერძენიშვილი: „რესპუბლიკელებს ალასანიასთან პრეტენზიები გვაქვს“

გვ. 2





ივანიშვილთან დაკავშირებით ხელისუფლება სულელურ შეფასებებს აკეთებს



## ნონა გაფრინდაშვილი: „ივანიშვილი პატარკაციშვილის შეცდომებს არ დაუშვებს“

გვ. 2



გვ. 3

## მამუკა არეშიძე: „ხელისუფლება ვადამდელ არჩევნებზე სერიოზულად ფიქრობს“



გვ. 2

## ვის გაწირავს სააკაშვილი?

მთავრობაში საკადრო ცვლილებები განხორციელდება

3090
sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

## ვინ ეხმარება ხათუნა კალმახელიძეს პატიმრების წამებაში

გვ. 4





## კახა კუკავა: „რუსებს აფხაზების გალიზიანება არ აწყობთ“

გვ. 7

## ივანიშვილი სააკაშვილს სასამართლოში უჩივის

გვ. 4



ISSN 1987-9385

**5** ქართული მართლმსაჯულება საქმის წარმოების ელექტრონულ სისტემაში

**7** რატომ ავიწყდებათ ნაციონალებს ივანიშვილის ფრანგული კავშირები

**4** საარჩევნო სუბიექტებს მოთხოვნებს უმკაცრებენ

**5** ბურჯანაძის პარტია ხელისუფლებას ივანიშვილის ახლობლების პოლიტიკურ დევნაში ადანაშაულებს

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# მთავრობაში საკადრო ცვლილებები განხორციელდება

## ვის გაწირავს სააკაშვილი?

თეა მარხვაიძე

**პოლიტიკურ ავანსცენაზე ბიძინა ივანიშვილის გამოჩენამ ბევრს დაუფრთხო ანგელოზები. დაბნეულობა და ისტერიკა შეინიშნება როგორც ოპოზიციურ ფლანგზე, ასევე სახელისუფლებო ბანკში.**

**ხელისუფლება კარგად ხედავს, რომ ახლა ხალხის მთელი ყურადღება ერთი ადამიანისკენ არის მიმართული. საზოგადოებას ახლა მხოლოდ ივანიშვილი აინტერესებს. მოსახლეობის ძალიან დიდ ნაწილს კი მისი იმედი აქვს, რასაც ნაციონალები და პირველ რიგში მიხეილ სააკაშვილი ვერ დაუშვებენ.**

როცა ასეთი აჟიოტაჟი ატყდება ხოლმე, ხელისუფლება მის გადაფარვას ცდილობს. ამისათვის ჩვენი მთავრობა სხვადასხვა ხერხს იყენებს. ერთ-ერთი ასეთი ხერხი მთავრობაში საკადრო ცვლილებებია.

ამ დღეებში რამდენიმე ოპოზიციონერმა გამოთქვა ეჭვი, რომ სააკაშვილი საკადრო კარუსელს დაატრიალებს. ასეთ რაღაცას მთავრობაში ადრეულ შემოდგომაზეც ელოდნენ. მაშინ მოლოდინმა არ გაამართლა. ახლა კი, როგორც ამბობენ, ივანიშვილის ხათრით სააკაშვილი რამდენიმე ცვლილებას აუცილებლად განახორციელებს.

უკვე კარგა ხანია ამბობენ, რომ სააკაშვილი გოროზიას მინისტრად უპირებს დანიშვნას. სამეგრელოში პრეზიდენტის რწმუნებულის რანგში ზაზა გოროზია ისედაც დიდხანს შერჩა რეგიონს და ეტყობა, პრეზიდენტს მისი თბილისში გადმოყვანა უნდა.



ბაკურ კვეზერელი

სააგენტო „ინტერპრესნიუსის“ ინფორმაციით, ამ კვირაში ზაზა გოროზია საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრად დაინიშნება. სამეგრელო– ზემო სვანეთის მხარეს კი გურამ მისაბიშვილს ჩააბარებენ. რომელიც სენაკის მაჟორიტარი დეპუტატია.

ბაკურ კვეზერელის მოხსნაზე საქართველოში უკვე დიდი ხანია საუბრობენ. მისი გადაყენება ბევრჯერ მოითხოვეს საპარლამენტო ოპოზიციის წევრებმაც. თუმცა სააკაშვილი მას აქამდე არ შეელია. ახლა კი ივანიშვილის ხათრით მის გარდა შეიძლება ბევრი ვინმე შეცვალოს.

როგორც თავში უკვე ვთქვით, საკადრო ცვლილებები ყურადღების გადატანის კარგი საშუალებაა., ასეთი რამე არაერთხელ გამოუყენებიათ.

ალბათ ყველას გახსოვთ, რა წიოკი ატყდა ირაკლი ალასანია ოპოზიციაში რომ გადადიოდა. ხალხი მისგან სასწაულს ელოდა. ის ჯერ კიდევ გაეროში საქართველოს დესპანი იყო, როცა ერმა ის ოპოზიციის ერთ-ერთ ლიდერად აირჩია. მისი რეიტინგი იმ პერიოდში ძალიან მაღალი იყო.

2008 წლის დეკემბრის ერთ მშვენიერ დღეს საქართველოში მორიგი საკადრო ცვლილება განხორციელდა. აი იმ დროს, კულტურის მინისტრად ნიკა რურუა რომ დანიშნეს.

იმ დღეს, როცა სამთავრობო კარუსელი დატრიალდა, გაირკვა, რომ ირაკლი ალასანია გაეროში საქართველოს ელჩობიდან გადადგა.

ხალხის ყურადღების გამოსავლენად ჩვენი მურაბა ხელისუფლება სხვა მეთოდებსაც მიმართავს. ჯაშუშების გამოვლენა ჩვენ მთავრობას ჩვევად ექცა. ცუდი ნამდვილად არ არის, როცა მშობლიური სპეცსამსახურები ასე კარგად მუშაობენ. ოღონდ საეჭვო ისაა, რომ ჯაშუშების გამოაშკარავება იმ დროს ხდება, როცა საქართველოში რაღაცა პროცესები იწყება.

ბოლო ასეთი ამბავი ივლისში მოხდა. გახსოვთ ალბათ, პარლამენტმა კონფესიებთან დაკავშირებით სკანდალური კანონი რომ მიიღო. ამან მოსახლეობის აღშფოთება გამოიწვია. იმ დღეებში ხელისუფლებამ ჯაშუშების გამოვლენის მორიგი ამბავი გვამცნო.

მგონი ყველას გახსოვთ ფოტოგრაფების საქმე. ქართველი ფოტოგრაფის დაკავებას საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ დიდი ამბები მოჰყვა. საბოლოო ჯამში. ოთხივე მათგანი პატიმრობიდან გაათავისუფლეს.

ივანიშვილის პოლიტიკურმა განცხადებამ ნამდვილი შოკი გამოიწვია. მოსახლეობას ამ ამბის მეტი თითქმის აღარაფერი აინტერესებს. ხელისუფლება საპასუხო ზომებს აუცილებლად მიიღებს. საინტერესოა, რა იქნება ეს ზომა, საკადრო ცვლილება თუ ჯაშუშების გამოვლენის მორიგი ტალღა.

# ნონა გაფრინდაშვილი: „ივანიშვილი პატარკაციშვილის შეცდომებს არ დაუშვებს“

**როცა ბიძინა ივანიშვილზე საუბრობენ, ხშირად ბადრი პატარკაციშვილს იხსენებენ. რომელსაც პოლიტიკაში ჩართვა ძალიან ძვირად, სიცოცხლის ფასად დაუჯდა. ნონა გაფრინდაშვილი პატარკაციშვილს კარგად არ იცნობდა. თუმცა სხვებისგან განსხვავებით მას პატარკაციშვილისთვის არ უღალატია. მას ისაც ახსოვს, როგორ აღმოჩნდა პატარკაციშვილი პოლიტიკაში ჩათრეული. მას სჯერა, რომ ივანიშვილი გარდაცვლილი ბიზნესმენის შეცდომებს არ გაიმეორებს.**

**რატომ არის დაზღვეული ივანიშვილი ამ შეცდომებისგან და რატომ არის მისასალმებელი მისი პოლიტიკაში გამოჩენა, ამ თემებზე ნონა გაფრინდაშვილი „ახალ თაობას“ ესაუბრება.**

თეა მარხვაიძე

**ნონა გაფრინდაშვილი:**

– როგორ შეიძლება არ მივესალმო ივანიშვილის პოლიტიკაში შემოსვლას. ეს არის კაცი, რომელმაც საქართველოს ძალიან ბევრი სიკეთე გაუკეთა. 26 მაისის შემდეგ საქართველოში ბევრი ცუდი რამე მოხდა. პოლიტიკური სიტუაცია ფაქტიურად მოკვდა. ხალხი უიმედობამ მოიცვა. ამ დროს გამოჩნდა ძალიან ღირსეული ადამიანი. რომელსაც პოლიტიკაში მოსვლა უნდა. მისი განცხადება მეხის გავარდნასავით იყო ამ ხელისუფლებისთვის.



ნონა გაფრინდაშვილი

***– ივანიშვილი მთელ რიგ პოლიტიკოსებთან აწარმოებს მოლაპარაკებებს. თქვენ თუ აპირებთ მასთან მოლაპარაკებას?***

– ეს ჩემზე არ არის დამოკიდებული, მიუხედავად იმისა რომ მისი გამოჩენით აღფრთოვანებული ვარ. ის იმასთან გამართავს დიალოგს, ვისთანაც თავად მოისურვებს. მე მისი გამოჩენა მიხარია. მიხარია იმიტომ რომ ხალხს იმედი გაუჩნდა. ეს არის ის გზა, რომელიც საბოოლო გამარჯვებამდე მიგვიყვანს.

***– თქვენ თქვით იმედი გაჩნდაო. იმედი გაჩნდა მაშინაც, როცა პატარკაციშვილი გააქტიურდა. როგორ ფიქრობთ, ივანიშვილი იგივე შეცდომებს ხომ არ უშვებს, რაც თავის დროზე პატარკაციშვილმა დაუშვა?***

– არ დაუშვებს. იმიტომ რომ პატარკაციშვილი პოლიტიკაში ჩაითრიეს. ივანიშვილმა კი დიდი ხნის ფიქრის შემდეგ გადადგა ეს ნაბიჯი. ის ამაზე ალბათ დიდი ხნის განმავლობაში ფიქრობდა. მე დარწმუნებული ვარ, რომ ის ბადრის ამბებს გაითვალისწინებს და შეცდომას არ დაუშვებს.

***– რა იყო პატარკაციშვილის მთავარი შეცდომა, რომლის გათვალისწინებასაც ივანიშვილს ურჩევდათ?***

– ბადრის შეცდომა არ დაუშვია. ის მოულოდნელად ჩაერთო პოლიტიკაში. იმდენად მოულოდნელად, რომ ამის შესახებ მისმა ოჯახის წევრებმაც არაფერი იცოდნენ. ბადრი მოუმზადებელი იყო. ხელისუფლებამ მისი სახით კონკურენტი დაინახა და მთელი ძალები მის წინააღმდეგ მიმართა. მთელი ძალების მობილიზება ახლა ივანიშვილის წინააღმდეგ ხდება. ბატონმა ბიძინამ ეს ნაბიჯი ბევრი ფიქრის შემდეგ გადადგა. და მან იცის რას უნდა ელოდოს. ის წესით ყველაფრისთვის მზად უნდა იყოს.

***– რას გულისხმობთ, როცა ამბობთ ყველაფრისთვის მზად უნდა იყოს?***

– ყველაფერს ვგულისხმობ. ადამიანი როცა პოლიტიკაში მოდის, ის ყველაფრისთვის მზად იყოს.

***– ივანიშვილი მზადაა ყველაფრისთვის?***

– მზად რომ არ იყოს, ასეთ ნაბიჯს არ გადადგამდა.

# დავით ბერძენიშვილი: „რესპუბლიკელებს ალასანიასთან პრეტენზიები გვაქვს“

## ივანიშვილთან დაკავშირებით ხელისუფლება სულელურ შეფასებებს აკეთებს

შორენა კოწოწაშვილი

**ინტერვიუ დავით ბერძენიშვილთან**

**საზოგადოებასა და პოლიტიკურ წრეებში დიდი კითხვის ნიშანი გააჩინა ბიძინა ივანიშვილის არჩევანმა „რესპუბლიკელებთან“ და „თავისუფალ დემოკრატებთან“ თანამშრომლობის თაობაზე. მართალია, ივანიშვილმა განმარტა, რომ ამ პოლიტიკურ ძალებს სათანამშრომლოდ ირჩევს ლიდერების ინტელექტუალური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, მაგრამ მისთვის იგივე რესპუბლიკელების საკმაოდ დაბალი რეიტინგიც ცნობილი უნდა იყოს.**

**მაინც, რა არის ამ არჩევანის მიზეზი? – ამ და სხვა დეტალების გასარკვევად „ახალ თაობასთან“ რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი დავით ბერძენიშვილი საუბრობს.**

***– ბატონო დავით, რატომ გადაწყვიტა ივანიშვილმა და როგორ მოხვდით რესპუბლიკელები მილიარდერის რჩეულთა შორის? რითი შეგარჩიათ პროდასავლური რესპუბლიკელები ხელისუფლების მიერ „პრორუსულმა ოლიგარქმა“ სათანამშრომლოდ?***

– ხელისუფლების შეფასებები ბიძინა ივანიშვილზე სისულელეა, თან მდარე. იმიტომ, რომ ივანიშვილის მონათვლა ბორისად, რუსების კაცად და ა.შ., არასერიოზულია. ხელისუფლებას არ აქვს კარგი არჩევანი და ისევ აპრობირებულ გზას მიმართა. ეს შევარდნაძის დროიდან მოყოლებული გზაა, მოქკავშირის გზაა და ახლა ნაციონალური მოძრაობისთვის ვინც ოპონენტია – რუსია. ისეთებიც კი თქვეს, აი, ივანიშვილის პარტიის ერთ-ერთი ლიდერი იქნება იგორ გიორგაძე. სახელისუფლო მედიასაშუალებებში ესეც დაიწერა; ირაკლი ოქრუაშვილთან მიმდინარეობს მოლაპარაკება და ა.შ. მაგრამ რუსული ფლანგი ივანიშვილის ზურგს უკან არანაირად არ დასტურდება. მით უმეტეს, დისკრედიტებული ქართველები რუსული მხრიდან ივანიშვილის შემადგენლობაში არ დასტურდება. ივანიშვილმა ფარად კი არ გამოიყენა „რესპუბლიკელები“ და „თავისუფალი დემოკრატები“, რომ ამათთან ერთად რომ ვარ, ხომ ვეღარ დამაბრალებთ პრორუსობას. ასეთი ყაიდის პარტიებთან ივანიშვილმა თანამშრომლობაზე აქცენტი სწორედ იმიტომ გააკეთა, რომ რესპუბლიკელებს ევროპული არჩევანი აქვთ. ეს არის მისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ჩვენთან მიმართებაში. ამას გარდა, ივანიშვილის განცხადებაში საკმაოდ მსუყე აბზაცია რესპუბლიკელებზე და ის მარტო ჩვენი პარტიის ინტელექტუალური რესურსი არ წერია. იქ წერია: გამობრძმედილი პარტია, დიდი პოლიტიკური სტაჟის მქონე მრავალი ლიდერით. ეს მისთვის ღირებულია. ახლა, რესპუბლიკური პარტია არ არის მოსიარულე ყრილობა. მე და პაატა ზაქარეიშვილი ვერ მივიღებდით გადაწყვეტილებას, ძალიანაც რომ გვდომოდა, ივანიშვილთან ორსაათიანი შეხვედრის დასრულებისთანავე გვეთქვა, რომ ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება და „რესპუბლიკური“ პარტია უკვე კოალიციაშია ივანიშვილთან. სრულიად გასაგებია, რომ ასეთ გადაწყვეტილებას უამრავი პროცდურა აქვს გასავლელი. „რესპუბლიკური“ პარტიის არც ერთი წევრი, არც თავმჯდომარე, არც პოლიტიკური მდივანი, არც ნებისმიერი სხვა, ბუნებრივია, პარტიაში დადგენილი პროცედურების გარეშე პოლიტიკურ-პარტიულ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს. ჩვენ 5 ნოემბერს გვაქვს ყრილობა. მანამდე ივანიშვილთან ძალიან კარგი სტარტით დაწყებული პოლიტიკური კონსულტაციები უფრო და უფრო გამოიკვეთება და მეტ სისავსეს შეიძენს. „რესპუბლიკური“ პარტიისთვის საკმაო პერიოდია იმისათვის, რომ მისი პროცედურების შესაბამისად ყრილობისთვის უკვე გაცხადებული და კონტურები ნათელი იყოს ივანიშვილთან ჩვენი სათანამშრომლო ფორმატი, რა ტიპის და რამდენად მჭიდროა.



დავით ბერძენიშვილი

***– შესაბამისად, დააკვირდებით, რომელი ძალები გამოიკვეთება თქვენ გარდა, ივანიშვილის სატელიტ პარტიებად? ამ დროისთვის ივანიშვილს სავარაუდო პარტნიორ სხვა ძალებზე თუ აქვს მონახაზი?***

– ივანიშვილს ჯერჯერობით მხოლოდ ის მონახაზი აქვს, რაც საჯაროდ განაცხადა და რაც ჩვენი შეხვედრისას ძალიან მყარად ითქვა. მას სურს, რომ მისი პოლიტიკური პარტნიორები იყვნენ „რესპუბლიკელები“ და ალასანიას „თავისუფალი დემოკრატები“. ასევე ცალკეული პიროვნებები, რომლებთანაც მას აქვს კონტაქტები – ექსპერტებთან, ეკონომისტებთან, მედიის წარმომადგენლებთან. მას საკუთარი სტილი აქვს, ბუნებრივია, სრულიად განსხვავებული სტილი აქვს. ჩვენ გველაპარაკებოდა, როგორც პოლიტიკურ პარტიას. ამიტომ ჩვენთან მას საუბარი ჰქონდა, როგორც პოლიტიკურ მინდორზე შემოსულ ამხელა ქველმოქმედების მქონე ადამიანს, რომელსაც ძალიან მაღალი ნდობის რეიტინგი აქვს. დიდი ფინანსური რესურსის მქონე ადამიანს, რომელსაც გამოცდილება აქვს ბიზნესში, მენეჯმენტში. ჩვენთან მას საუბარი ჰქონდა უფრო პოლიტიკურ მინდორზე, როგორც პოლიტიკურ პარტიასთან. ბევრ სხვა ადამიანთან, რომელიც ადრე ყოფილა პოლიტიკა-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი
კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟავაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# მამუკა არეშიძე: „ხელისუფლება ვადამდელ არჩევნებზე სერიოზულად ფიქრობს“

ნათია ხურცილავა

## რატომ გააქტიურდნენ მდიდარი ქართველები

**პოლიტოლოგი მამუკა არეშიძე აცხადებს, რომ საზოგადოებაში დიდი იმედი გაჩნდა ბიძინა ივანიშვილის გამოჩენით და მას ამ იმედების გაქარწყლების უფლება არ აქვს.**

### ინტერვიუ მამუკა არეშიძესთან

***– ბატონო მამუკა, არსებობს მოსაზრება, რომ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დაინიშნოს, ივანიშვილის ფაქტორის გათვალისწინებით. თუმცა, ამას ხელისუფლება უარყოფს. რამდენად რეალური შეიძლება იყოს ეს?***

– ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება დასაშვებია ხელისუფლების მხრიდან. ამას ვერ გამოვრიცხავ, მაგრამ ხელისუფლება ჯერჯერობით შეეცდება ივანიშვილისა და მისი სავარაუდო მხარდამჭერების ყველანაირ ბლოკირებას. ხელის შეშლა იქნება პირველ რიგში საორგანიზაციო მუშაობის თვალსაზრისით. შეეცდებიან, ივანიშვილი ჩაითრიონ მოქალაქეობასთან დაკავშირებულ დავაში. გარდა ამისა, მისი საფინანსო სტრუქტურების შევიწროვება მოხდება „ქართუ ბანკისა“ და ალბათ, ფონდისაც. სავარაუდოდ მის მიერ დაწყებული პროექტების შეჩერება მოხდება. ეს გარკვეულ უკმაყოფილებას გამოიწვევს. ნათქვამი იქნება, რომ ეს გააჩერა ივანიშვილმა და არა ხელისუფლების აქტივობამ. გარდა ამისა, არსებობს საკონსტიტუციო ვადები, რომელსაც ხელისუფლებაც ვერ გადაახტება თავს. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ხელისუფლებაც არ არის მზად, რომ არჩევნები ჩაატაროს. მტკივნეული რეფორმები, ბრჭყალებში რასაკვირველია, რომელსაც ხელისუფლება ატარებს, ჯერ არ აქვს დამთავრებული. მტკივნეულ რეფორმებს ჩაატარებს, გარკვეულ თანხებს შეაგროვებს ამის ფონზე და შემდეგ იწყება ხავერდოვანი სამ-ოთხთვიანი სეზონი, როდესაც პროპაგანდა აქტიურად მუშაობს იმისთვის, რომ საზოგადოებრივი აზრი თავის მხარეზე მოიმხროს. ასევე ჯერჯერობით არ არის ადმინისტრაციული რესურსი მობილიზებული. არ არის ჩამოყალიბებული ის ჯგუფები, რომლებიც არჩევნებზე იმუშავებენ. დღეს ხელისუფლება არ არის მზად იმისთვის, რომ უახლოეს ორ თვეში ჩაატაროს არჩევნები. ამიტომ არ ვვარაუდობ, რომ ახალ წლამდე დაინიშნოს. არ გამოვრიცხავ, რომ არჩევნები გაზაფხულის ბოლოსთვის ჩატარდეს, მაგრამ მაშინ აზრი ეკარგება ვადამდელ არჩევნებს. ამ ხნის განმავლობაში სავარაუდოდ ივანიშვილის გუნდი მობილიზებული იქნება. მით უმეტეს, თუ ივანიშვილმა არ გაიმეორა ის შეცდომები, რაც თავის დროზე პატარკაციშვილმა დაუშვა. ამ ყველაფრის გათვალისწინებით სავარაუდო არის ვადამდელი არჩევნების დანიშვნა, მაგრამ უფრო ორმოცდაათი-ორმოცდაათზეა.

***– თუმცა ფაქტია, რომ ხელისუფლებამ წინასაარჩევნო კამპანია დაიწყო, პრეზიდენტი ხშირად გამოდის საზოგადოების წინაშე.***

– რასაკვირველია, ხელისუფლებამ დაიწყო საარჩევნო კამპანია. ამას არც არავინ უარყოფს, მაგრამ დაწყება არ ნიშნავს, რომ ის მზად არის. გარდა ამისა, დღეს მძიმე სოციალური ფონია ამის გამოსწორების წინაპირობა არ ჩანს. სატრანსპორტო ხარჯების გაზრდა, სასურსათო კალათის ხარჯების გაზრდა და უამრავი სხვა ხარჯები. პროპაგანდისტული მანქანის მიერ მოწოდებული ინფორმაცია ისმის შესახებ, რომ მთელ მსოფლიოში იზრდება ხარჯები და ამის გამო ჩვენთანაც უდა გაიზარდოს ამას მოსახლეობა 2008 წელს იჯერებდა, მაგრამ დღეს აღარ იჯერებს. რადგან ძალიან კარგად იცის ხალხმა, რომ კომუნალური ხარჯები, განსაკუთრებით დენის გადასახადი უფრო მაღალია, ვიდრე აღმოსავლეთ ევროპაში. ამიტომ აღარ არის სარწმუნო, რომ მსოფლიო ეკონომიკური მდგომარეობით არის გამოწვეული. გარდა ამისა, ნებისმიერ ადამიანს უნდა, რომ ნორმალურად ცხოვრობდეს. ვერ ხვდება, რატომ უნდა, რომ მავანი და მავანი ჩინოვნიკი მასზე ბევრად უკეთესად, თვითონ კი დამსახურების მიუხედავად ცუდად. ასევე გაუგებარია ადამიანებისთვის, რატომ უნდა ღირდეს ძვირი სოფლის მეურნეობის პროდუქცია, როდესაც ჩვენი ქვეყანა სოფლის მეურნეობის კულტურებით არის ცნობილი. პურის ფასი გაზრდილია, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ამის წარმოება შეგვიძლია.

***– არის მოსაზრება, რომ წინასაარჩევნოდ პრეზიდენტი თავის სოციალურ პოლიტიკას შეცვლის, რომ დენის გადასახადზე დასუფთავების გადასახადის მიბმას გააუქმებს. რამდენად ელოდებით ამ ნაბიჯებს?***

– სავსებით შესაძლებელია, რომ ასეთი ნაბიჯი გადადგას, მაგრამ ეს ნაბიჯები მასშტაბური ვერ იქნება. მაშინ შემსრულებლები უნდა დაისაჯონ. შემსრულებლებიდან ერთ-ერთი მთავარი ავტორი ქალაქის მერია, გამოდის, თბილისის მერი უნდა დაისაჯოს. მე ეჭვი მეპარება, რომ ამ ნაბიჯზე წავიდეს პრეზიდენტი, რადგან თბილისის მერია მისი გუნდის ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენია. შეიძლება კოსმეტიკური ღონისძიება ჩაატაროს, მაგრამ ამ კოსმეტიკურმა ღონისძიებამ საზოგადოების ძალიან მცირე ნაწილში შეიძლება უკმაყოფილება კმაყოფილებით შეცვალოს. ძველი მექანიზმები ისე ეფექტურად ველარ მუშაობს. ახლა მუშაობს ისეთი მექანიზმები, რომელიც ძველია, მაგრამ აპრობირებულია და ორიენტირებულია ხალხის დაშინებაზე, შევიწროვებაზე, მუქარაზე. დაპირებების დრო დამთავრდა.

***– ბიძინა ივანიშვილის გამოჩენა ხელისუფლებას რეალურად აშფოთებს?***

– ცალსახად აშფოთებს. ივანიშვილის ფაქტორმა მთელი კარტი არია. სხვათა შორის, ძალიან კარგად დალაგებული კარტი ჰქონდათ. შექმნილი იყო ფსევდო ოპოზიციური პარტიების ჯგუფი, რომელიც ხელისუფლების დემოკრატიულობის ანტურაჟისთვის იყო საჭირო. ჰყავდათ სერიოზული რეზერვი საზოგადოებაში, რომელიც ნებისმიერ არჩევნებში მობილურია. რეალური ოპოზიციური სპექრტი კი გათიშული იყო, ერთმანეთში დაპირისპირებული. ხდებოდა ქართული ხასიათის დემონსტრირება და არა საქმის კეთება. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ხელისუფლება მზად იყო, რომ ნელ-ნელა თავისი გეგმა განეხორციელებინათ და არჩევნებამდე მიეყვანათ საქმე. ივანიშვილის გამოჩენამ ეს დალაგებული კარტი არია. ერთი საინტერესო დეტალია: ბოლო ორისამი თვის განმავლობაში სამი მდიდარი ქართველი გამოჩნდა. მინდია გულუა, ვასაძე და ივანიშვილი. მათი ერთდროულად გამოჩენა დამთხვევაა, რაღაც ფაქტორმა იმუშავა, რა მანქანებით მოხდა მათი აქტივობა, ჩემთის რთული ასახსნელია, მაგრამ მაინც გარკვეულ კანონზომიერებას ვხედავ. ვთვლი, რომ შემთხვევითობა ნაკლებია. თუმცა შეიძლება იყოს, მაგრამ შემთხვევითობის ხარისხს დაბლა ვწევ. ვთვლი, რომ ნაკლებად იყო შემთხვევითი.

***– რა იყო?***

– არ მინდა ვიმარჩიელო, მაგრამ ვერ ვხსნი. ვასაძემ უარყო მისი პოლიტიკურ პარტიებთან თანამშრომლობა, მაგრამ არ უარუყვია საპრეზიდენტო ამბიციები. პირველი-ორის აქტივობა მაინცდამაინც ძლიერი არ არის, თუმცა, როგორც ჩანს, გარკვეული მოძრაობები არის. ეს იმდენად დახურული სამზარეულო არის, რომ პატარკაციშვილის თავის დროზე ღია ქმედების მანკიერი მხარეები გაითვალისწინეს.

***– თუმცა, როდემდე შეიძლება ის არ გამოჩნდეს?***

– ივანიშვილს უზარმაზარი რესურსი აქვს, გარდა ფინანსურისა. ივანიშვილის რესურსი რამდენიმე ფაქტორისგან შედგება: პირველი, მის მიერ გაკეთებული საქმეები საქართველოში. ეს არის ძალიან ძლიერი ფსიქოლოგიური რესურსი, რომელიც საზოგადოებაზე ძალიან აქტიურად მოქმედებს. ყოველთვის იქნება არგუმენტი, რომ ივანიშვილს არ სჭირდება აქ ფულის კეთება. არ სჭირდება მოპარვა. ასევე მას აქვს სერიოზული საერთაშორისო კავშირები, რომელიც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი არგუმენტია პირადად მისთვის. ის საფრანგეთის მოქალაქეა, უკანასკნელი მოქალაქე, რომ არაა ესეც ცნობილია ეს დაადასტურა სალომე ზურაბიშვილის წერილმაც, რომელიც მან ფურნიეს მისწერა. აშკარაა საფრანგეთის საელჩოს ნერვიულობა მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. მესამე რესურსი არის, ხელისუფლების და მედიის ზოგიერთი წარმომადგენელი რუსულ ფულზე ალაპარაკდა. რად უნდა ივანიშვილს რუსული ფული, სასაცილოა. ეს ხელისუფლებისთვის კონტრპროდუქტიულია და ივანიშვილის აქტივში ითვლება. რატომ? იმიტომ, რომ თუ ივანიშვილი რუსული პროექტია, რაც ჩემთვის წარმოუდგენელია, მაგრამ რომ დავუშვათ, მან თანამშრომლობა შესთავაზა ირაკლი ალასანიას, რომელიც მოარული ხმებით ამერიკული პროექტია და რესპუბლიკელებს, რომელიც დასავლურია, მე არც ერთს არ ვკადრებ, რომ ვინმეს პროექტი არიან, მაგრამ რომ დავუშვათ, მაშინ გამოდის, რომ პირი შეუკრიათ დასავლეთს, ამერიკას და რუსეთს. გამოდის დღევანდელი ხელისუფლების ამბავი დამთავრებულა. ხელისუფლების ნაწილის ამ პროპაგანდით გამოდის, რომ მსოფლიოს ძლიერ მოთამაშეებს პირი შეუკრავთ. ჯერჯერობით ივანიშვილს ისეთი შეცდომა არ დაუშვია, რომ ჩრდილი მიადგეს ხელისუფლებას კი პირიქით. სხვათა შორის, ხელისუფლების ის წარმომადგენლები, რომლებიც პოლიტიკას ქმნიან მწვავე განცხადებებს არ აკეთებენ. ისინი კარგად ხვდებიან, რომ განსაკუთრებილი სიფრთხილე არის საჭირო. მინდა, რომ ივანიშვილმა მომავალში არ დაუშვას შეცდომა, მაგრამ ის პოზიცია, რომელიც მან ჟურნალისტების მიმართ დააფიქსირა, უფრო ზუსტად კი ტელევიზიების მფლობელების მიმართ იყო მიმართული, მაგრამ ჩემში უსიამოვნობა გამოიწვია სიტყვა „ყიდვის“ და „გადაგიხდის“ მრავალჯერადმა ხმარებამ. მერჩივნა, რომ მას ჟურნალისტური პროექტის დაფინანსების პროექტი შეექმნა. ამის უამრავი პრაქტიკაა დემოკრატიულ მსოფლიოში. საერთოდ, მინდა ვთქვა, რომ დიდი იმედი გაჩნდა საზოგადოებაში და ივანიშვილს ამ იმედის გაქარწყლების უფლება არ აქვს.



მამუკა არეშიძე

# დავით ბერძენიშვილი: „რესპუბლიკელებს ალასანიასთან პრეტენზიები გვაქვს“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ში, მერე ექსპერტობს, ამას აქვს პიროვნული საუბრები, როგორც ექსპერტებთან და როგორც ადამიანებთან. მაგალითად, ივანიშვილმა ნოდარ ჯავახიშვილს შესთავაზა „ქართუ ჯგუფის“ ხელმძღვანელობა ანუ მას ელაპარაკებოდა, უპირველეს ყოვლისა, როგორც პროფესიონალს და არა როგორც პოლიტიკური პარტიის – „ეროვნული ფორუმის“ წევრს. თუმცა პოლიტიკური პარტიის კუთვნილება ჯავახიშვილისა, ივანიშვილისთვის პრინციპულად მიუღებელი არ არის. ეს გამოჩნდა. თორემ პროფესიონალი სხვაგანაც იქნება. ამიტომ, ჯერ არ არის გარკვეული საბოლოოდ, რა კონფიგურაციით იქნება პოლიტიკური ალტერნატივა, მაგრამ სრულიად ნათელია, რომ ივანიშვილი, „რესპუბლიკელები“, „თავისუფალი დემოკრატები“ იწყებენ კონსულტაციებს პოლიტიკური კოალიციის ჩამოსაყალიბებლად. თუ შეთანხმებამდე მივიდნენ, ეს შეთანხმებული ჯგუფი გადაწყვეტს, სხვა რომელ პარტიასთან ჰქონდეს კონსულტაციები, უკვე შეთანხმებული ჯგუფი ამ კოალიციის თუ მოძრაობის გასაფართოებლად.

***– ირკვევა, რომ ივანიშვილი დიდხანს აკვირდებოდა პოლიტიკურ პროცესებს საქართველოში, ოპოზიციური პარტიების ნაბიჯებს. მას უნდა სცოდნოდა ალასანიასა და რესპუბლიკელებს შორის არსებული განხეთქილებაც. თავის დროზე ალასანია რესპუბლიკელებით უკმაყოფილებას არ მალავდა და ალიანსის დაშლის ერთ-ერთ მიზეზად გასახელებდათ. როგორ წარმოგიდგენიათ ამ ფონზე ალასანიასთან კოალიციაში თანამშრომლობა?***

– საჯაროდ და დეკლარირებულად ალასანიას გუნდის წევრების რაიმე არგუმენტირებული მსჯელობა, რომ რესპულიკელების ბრალია ალიანსი რომ ვერ შენარჩუნდა, მე არ მომისმენია. სადმე კულუარულად თუ განდობდნენ რაიმეს გულისნადებს, ეს არ ვიცი. ჩვენ გვქონდა პრეტენზიები ალიანსის დაშლის შემდეგ და დღემდე ვთვლი, რომ ეს შეცდომა იყო ირაკლი ალასანიასი და სწორედ მისი პოლიტიკური გუნდის გავლენით, იმიტომ, რომ მან ვერ მიიღო სახელისუფლო მანდატი თბილისის მერის არჩევნებში, მაგრამ მან მიიღო ოპოზიციური მანდატი. გამოკვეთილად პირველი იყო პოზიციებში, პერსონალურადაც და ის სამპარტიული ალიანსიც. ჩვენ გვაქვს გამოცდილებაც და გულისწყვეტაც, წუხილიც გამოხატული, რომ ირაკლი ალასანიას ლიდერობით შეიძლებოდა უკეთესი შედეგის მიღწევა და უფრო დროში გაწერილი შედეგის მიღწევა, ვიდრე მივაღწიეთ. შემდეგ იყო „ექვსიანი“, სადაც ალასანია ასევე იკვეთებოდა არა იმ მასშტაბის ლიდერად, როგორც ალიანსში იყო, მაგრამ როგორც პირველი თანასწორთა შორის. ასევე წუხილი გამოვთქვი მე, რომ ირაკლი ალასანიამ უკვე მეორეჯერ დაშალა ეს გაერთიანება. შეცდომებს ისინიც დაგვითვლიან ჩვენც და ჩვენც დავუთვლით მათ., მაგრამ მე ვამბობ კონრეტულ საკითხებს. ამასთანავე უკვე სრულიად ახალ რეალობაში, როდესაც ბიძინა ივანიშვილია მთავარი ფაქტორი და პოლიტიკური ალტერნატივა იკრიბება ივანიშვილის ინიციატივით და მასთან პარტნიორობით, ალასანია თავისუფლდება ლიდერის ტვირთისგან. ლიდერის ტვირთისგან გათავისუფლებული ალასანია, ჩემი აზრით, გაცილებით უკეთესი და ადეკვატური იქნება ამ შესაძლო პოლიტიკურ-ალტერნატიულ გაერთიანებაში, ვიდრე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე – ფინანსური, ორგანიზაციული, გამოცდილება და ა.შ. პირობები. ალასანია როგორც კი პოლიტიკაში შემოვიდა, მას ჩვენც და საზოგადოებამაც დავაკისრეთ ლიდერის ფუნქცია. ამიტომ რთული იყო ეს მისთვის, მაშინ. მერე იყო ბევრი კონკურენტი, ვისაც არ უნდოდა ალიანსი, არ უნდოდა ალასანია. შეიქმნა „9 აპრილის კომიტეტი“. მაშინ პოლიტიკური პარტიები უფრო ყოჩალად იყვნენ. დღეს რეალურად პოლიტიკური სპექტრი მნიშვნელოვნად დასუსტებულია. ნაწილი ხელისუფლების მოთანამშრომლე ჯგუფშია, მეორე ნაწილი ფსევდორევოლუციურ ილუზიებს, არ ვიტყვი, შეეწირა-თქო, მაგრამ მნიშვნელოვნად დასუსტდა. ზოგი შეეწირა კიდეც. „ქართული პარტია“ გაიყო, გაილია, ახლაც სხვადასხვა პოზიციები აქვთ. ასე რომ, თუ ბოლომდე არ შეეწირა, დღეს ის არ არის აქტიური სუბიექტი. მეორე – ბურჯანაძე. ასევე მძიმედ დამთავრდა მისი წამოწყება, რაც ასევე პროგნოზირებადი იყო ჩვენი მხრიდან. მაშინ ვინც ვიყავით ექვსეულში, ვერ შევძელით პოლიტიკური ალტერნატივის ჩამოყალიბება. ამ დროს და ამ ფონზე ჩნდება ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში ძალიან პრეტენზიული, ძალიან მკვეთრი და ძალიან ხისტი პრეტენზიებით. ამასთანავე ის „რესპუბლიკელებს“ და „თავისუფალ დემოკრატებს“ სთავაზობს ახალი პოლიტიკური ორიენტირის საფუძვლის ჩაყრას. ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, არ ვხედავ გადაულახავ პრობლემებს თუ ივანიშვილთან შევთანხმდებით, რომ რატომ ვერ შეიძლება შეთანხმება „თავისუფალ დემოკრატებთან“ უკვე ახალ კონფიგურაციაში.



ირაკლი ალასანია

***– ალასანიას, რომელსაც ივანიშვილთან თანამშრომლობაზე განცხადება პირადად არ გაუკეთებია, ლიდერობის ამბიცია აშკარად აქვს. დათანხმდება ის ივანიშვილის ჩრდილქვეშ ყოფნას?***

– მოცემულობაა და როდესაც ივანიშვილი-ალასანიას შეხვედრის შემდეგ „თავისუფალი დემოკრატების“ მხრიდან გაკეთდა განცხადება, რომ კარგი შეხვედრა გვქონდა და ვითანამშრომლებთ, მერე ივანიშვილმა დაადასტურა, რომ ალასანიასთან პრობლემები არ აქვს, მოცემულობა ასეთია, რომ ივანიშვილის ლიდერობა – ფორმალური თუ არაფორმალური, მოქალაქეობის პრობლემებს უქმნიან და ობიექტურად ეს არის ივანიშვილის ინიციატივის შედეგი. მისი შენატანი გაცილებით მეტია ამ სავარაუდო პოლიტიკურ ალტერნატივაში, ვიდრე, გნებავთ რესპუბლიკელების და ალასანიას პარტიის. ეს არის მოცემულობა. მე არ ველი, რომ ირაკლი ალასანია რაღაც გაუგებარ სვლებს გადადგამს და დაიწყებს საბაბის ძებნას, რატომ არ უნდა იყოს აქ. ვფიქრობ, შექმნილ ვითარებაში მისთვის ეს ოპტიმალურია. ის, რომ ლიდერის ტვირთისგან თავისუფლდება, როცა ლიდერობის შესაბამისი რესურსი არ არის, არ არის ობიექტურად არც ფინანსური, არც ორგანიზაციული და ა. შ. და ამ დროს ბიძინა ივანიშვილის ლიდერობით ეს რესურსები და მათ შორის, მისი შენატანიც უკვე იკრიბება, ამ ვითარებაში წმინდა პრაგმატულად მე არ ვფიქრობ, რომ თავისუფალმა დემოკრატებმა დაიწყონ ახლა ვაჭრობა, ისევე, როგორც არ ვფიქრობ, რომ რესპუბლიკელებმა დავიწყოთ ახლა ვაჭრობა ბიძინა ივანიშვილთან და თან იმაზე, ჩვენ რა მაგრები ვართ. ეს მოცემულობაა. ლაპარაკია ხელისუფლების შეცვლაზე, ლაპარაკი არის ახალი ხელისუფლების ჩამოყალიბებაზე და უზარმაზარ პასუხისმგებლობაზე ივანიშვილთან ერთად. ის კი არა, რომ მე ცოტა ადგილი შემხვდება. უზარმაზარი ტვირთია გამარჯვების შემთხვევაში და ამ ტვირთს უნდა გავუძლოთ და ამ გამოწვევას. უამრავ საპასუხისმგებლო პარტიულ თანამდებობაზე იქნება გადაწყვეტილება მისაღები. ამიტომ ამ თვალსაზრისით შენ ამდენი, მე ამდენი, ის შემოვუშვათ, ეს არა. ეს საკითხები აქ არ გაინიხილება.

შედით საიტზე atb.ge



# ივანიშვილი სააკაშვილს სასამართლოში უჩივის

შორენა კოწოწაშვილი



ეკა ბესელია

პრეზიდენტმა სააკაშვილმა 11 ოქტომბერს მოაწერა ხელი ივანიშვილისა და მისი მეუღლისთვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის ბრძანებულებას.

– 2011 წლის 11 ოქტომბერს მიხეილ სააკაშვილმა ხელი მოაწერა ბრძანებულებას, რომლითაც საქართველოს მოქალაქეობა უკანონოდ შეუწყვიტა ბიძინა ივანიშვილს და მის მეუღლეს, ეკატერინე ხვედელიძეს.Aამ პოლიტიკური აქტით მიხეილ სააკაშვილმა აღიარა, რომ იგი არ სცემს პატივს საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო სამართლით აღიარებულ ნორმებს და იყენებს აკრძალულ მეთოდებს პოლიტიკური ოპონენტის წინააღმდეგ, – აცხადებს ბიძინა ივანიშვილის პირადი ადვოკატი ეკა ბესელია.

ბესელიას თქმით, მოქალაქეობის ჩამორთმევის თაობაზე პრეზიდენტის ბრძანებულება მიღებულია კანონის უხეში დარღვევით. კერძოდ, დარღვეულია როგორც ორგანული კანონი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“, ასევე ადმინისტრაციული აქტის გამოცემის პროცედურა, რაც ცალკე სასამართლო განხილვის თემაა.

აღსანიშნავია, რომ ივანიშვილის მეუღლისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევა საკმაოდ მოულოდნელი აღმოჩნდა ბიზნესმენის და მისი პირადი ადვოკატისთვის. ეკა ბესელიას თქმით, ეს არის უპრეცედენტო ფაქტი თავისი სამართლებრივი და მორალური სიმძიმით.

– მიხეილ სააკაშვილმა არა მარტო მის პოლიტიკურ ოპონენტს, ბიძინა ივანიშვილს შეუწყვიტა საქართველოს მოქალაქეობა, არამედ მის მეუღლეს, ეკატერინე ხვედელიძეს. ბიძინა ივანიშვილისთვის მოქალაქეობის შეწყვეტის თაობაზე ფორმალურ საფუძვლად ხელისუფლებამ გამოიყენა მის მიერ საფრანგეთის მოქალაქეობის მიღება მას შემდეგ, რაც უკვე ჰქონდა საქართველოს ორმაგი მოქალაქეობა. ორგანული კანონით „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“, ასევე ადმინისტრაციული კოდექსით შესაბამისი ორგანოები ვალდებულნი იყვნენ გადაწყვეტილების მიღებამდე დალოდებოდნენ ბიძინა ივანიშვილის მიერ შესაბამისი პროცედურების გავლას საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნებისთვის საფრანგეთის და რუსეთის მოქალაქეობის პასპორტის ჩაბარებას, ასევე ვალდებულნი იყვნენ ადმინისტრაციული აქტის გამოცემამდე საკუთარი პოზიციის და უფლებების დაცვის შესაძლებლობა მისცემოდა თავად ივანიშვილს. პროცედურების დაცვის დარღვევით გამოტანილი ადმინისტრაციული აქტი კი იწვევს მის ბათილობას, – ნათქვამია ეკა ბესელიას მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

რაც შეეხება ეკატერინე ხვედელიძის შემთხვევას: ეკატერინე ხვედელიძემ საქართველოს მოქალაქეობა მიიღო 2004 წლის 22 ივლისს, მაშინ, როდესაც ის უკვე იყო საფრანგეთის და რუსეთის მოქალაქე. საფრანგეთის მოქალაქის პასპორტით ეკატერინე ხვედელიძემ რამდენჯერმე გადაკვეთა საქართველოს საზღვარი და ეს დადასტურებულია შესაბამისი ორგანოების მიერ. ეს კი, ადვოკატის განცხადებით, იმას ნიშნავს, რომ ფორმალური საფუძველიც კი არ არსებობდა ეკატერინე ხვედელიძისთვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტისთვის.

– საქმე გვაქვს არა სამართლებრივ პროცედურასთან, არამედ მიხეილ სააკაშვილის მხრიდან ბიძინა ივანიშვილისადმი, როგორც პოლიტიკური ოპონენტისადმი შიშის გამო დაუშვებელი და უკანონო მეთოდების გამოყენებასთან, საპრეზიდენტო უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებასთან, – აცხადებს ეკა ბესელია.

რაც შეეხება იმას, თუ რა ნაბიჯებს მიმართავს ბიძინა ივანიშვილი და მისი პირადი ადვიკატი პოლიტიკაში შემოსული ბიზნესმენის ინტერესების დასაცავად, როგორც ადვოკატი ბესელია მიუთითებს: E მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ შეტანილ იქნება სარჩელი სასამართლოში მის მიერ გამოცემული უკანონო ბრძანებულების №602 გაუქმების მოთხოვნით.

– ჩემი რეკომენდაციით ყველა შესაძლო საფრთხის გათვლისწინებით, ამ ეტაპზე ბიძინა ივანიშვილი იტოვებს საფრანგეთის მოქალაქეობის პასპორტს და უარს ამბობს რუსეთის მოქალაქეობაზე, – აცხადებს ეკა ბესელია. მისი თქმით, გარდა უკანონო მოქმედებისა, დიდი მორალური პასუხისმგებლობაა მიხეილ სააკაშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობა შეუწყვიტოს ბიძინა ივანიშვილს, ადამიანს, რომელმაც არა მარტო კანონით, არამედ ცხოვრების წესით და ქმედებით ეს უფლება დიდი ხანია მოიპოვა.

ადვოკატის თქმით, ბიძინა ივანიშვილი შვეიცარიის საელჩოს რუსეთის ინტერესების სექციას რუსეთის მოქალაქეობის შეწყვეტის თხოვნით 17 ოქტომბერს მიმართავს. ამასთან მისივე თქმით, პრეზიდენტ სააკაშვილის წინააღმდეგ შეტანილ იქნება სარჩელი, მის მიერ გამოცემული უკანონო ბრძანებულების გაუქმების მოთხოვნით.

# ვინ ეხმარება ხათუნა კალმახელიძეს პატიმრების წამებაში

## სასჯელაღსრულების სისტემის ჯალათების სია

**საერთო-სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობა კვლავ ითხოვს, რომ შეწყდეს უკანონო დაპატიმრებები და პატიმრების წამება, გამოცხადდეს საყოველთაო ამნისტია. მოძრაობის მედიაომბუდსმენის, მედიაკავშირ „ობიექტივის“ ხელმძღვანელ ირმა ინაშვილის თქმით, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის ინფორმაციით, ქვეყანაში პატიმართა რაოდენობამ 40 ათასს გადააჭარბა. ციხეში მყოფებს კვლავ უმოწყალოდ სცემენ და აწამებენ. ინაშვილის განცხადებით, მეთოდები, რომელსაც პატიმართა წამებისას იყენებენ, საბჭოურ და გერმანულ საკონცენტრაციო ბანაკებში იყო აპრობირებული. ირმა ინაშვილის ინფორმაციით, ყოველგვარი მიზეზის გარეშე ადამიანთა დამცირება, გაუპატიურების მუქარა და ცემა-ტყეპა ქართული საპატიმროებისათვის ჩვეულებრივ ამბად არის ქცეული. ამიტომაც, მოძრაობის წარმომადგენლები ისევ მიმართავენ ყველას: „მოგვაწოდეთ ციხის ჯალათების გვარები, თქვენი ანონიმურობა დაცული იქნება“.**



ხათუნა კალმახელიძე

შალვა ჯოხაძე

ინაშვილი პატიმრებისა და მათი უფლებადამცველებისაგან მიღებული ინფორმაციის მიხედვით შედგენილ ასეთ ჯალათთა პირველ სიას აქვეყნებს.

სიას სათავეში მინისტრი ხათუნა კალმახელიძე უდგას, რომელსაც „სიკვდილის ექსპორტის“ მინისტრად და ნომერ პირველ ჯალათად მოიხსენიებენ.

„პატიმრების გარდაცვალების ფაქტები საპატიმრო დაწესებულებებში რომ არ დაფიქსირდეს, ფაქტობრივად, გარდაცვლილი პატიმრები სამოქალაქო ტიპის კლინიკებში გადაჰყავთ, რაც სახალხო დამცველმა, გიორგი ტუღუშმა „სიკვდილის ექსპორტად“ შეაფასა. ამის საფუძველზე, სასჯელაღსრულების მინისტრ ხათუნა კალმახელიძეს „სიკვდილის ექსპორტის მინისტრი“ ვუწოდეთ. „სიკვდილის ექსპორტის“ ფაქტები არა მარტო საქართველოს სახალხო დამცველმა და ქართველმა უფლებადამცველებმა, არამედ ავტორიტეტულმა საერთაშორისო ორგანიზაციებმაც დააფიქსირეს.

ჩვენ ხელთ გვაქვს „სიპიტის“ – ევროსაბჭოს წამებისა და არაადამიანური, ან დამამცირებელი მოპყრობის, ან დასჯის აღკვეთის ევროპული კონვენციით შექმნილი ორგანოს დასკვნა, რომლის მიხედვითაც, საპატიმროებიდან „სიკვდილის ექსპორტის“ კუთხით სამოქალაქო ტიპის კლინიკებს შორის ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრია წამყვან ადგილზე, სადაც ქალაქის საავადმყოფოებში გარდაცვლილ პატიმართა 43%-იანი წილი მოდის; მეორე ადგილზეა ღუდუშაურის კლინიკა, სადაც იგივე მაჩვენებელი 33,8%-ს შეადგენს; ხოლო 2010 წლის მეორე ნახევრიდან გამოჩნდა მესამე (ახალი) დაწესებულება – თბილისის რეფერალური ჰოსპიტალი, სადაც გარდაცვალების 12,35% მოდის“, – აცხადებს ინაშვილი.

ინაშვილის მიერ დასახელებულ სიაში მინისტრის გარდა უწყების მრავალი სხვა თანამშრომელიც მოხვდა:

ალექსანდრე მუხაძე, მეტსახელად „ქილერა“, გლდანის მე-8 საპყრობილის დირექტორი – მის სახელს ასობით პატიმრის წამება უკავშირდება. პროფესიით ექიმი „ქილერა“ სასჯელაღსრულების სისტემაში ბაჩო ახალაიასთან ერთად 2006 წელს მივიდა და აქტიურად ამკვიდრებდა პატიმრების წამების იმ მეთოდებს, რომელსაც დღესაც იყენებენ;

მეგის ქარდავა, ახალაიას თანაგუნდელი, განსაკუთრებული სისასტიკით გამორჩეული ჯალათი, რომელიც ახალაიების მარჯვენა ხელად მიიჩნევა. პენიტენციალურ სისტემაში ის ბაჩო ახალაიასთან ერთად მივიდა. მას შემდეგ, რაც ახალაია თავდაცვის სამინისტროში გადაიყვანეს, ქარდავა სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის სამმართველოში გადავიდა, მაგრამ მისი „ძლიერი“ ხელი პატიმრებს მაინც სწვდებოდა. მსჯავრდებულ მალხაზ არქანიას საქმე ამ სადიზმის მკაფიო გამოხატულებაა. არქანიას სცემეს, საკუთარი ჩვენება აჭამეს, ჯერ გაუპატიურებით დაემუქრნენ და შემდეგ მისი გაუპატიურება სცადეს კიდეც. პარალელურად, ფოტოებს უღებდნენ და ამ ფოტოების ინტერნეტში გავრცელებით ემუქრებოდნენ. მალხაზ არქანიას წამების უშუალო მონაწილე სწორედ მეგის ქარდავა გახლდათ, რომელიც არქანიას საწამებლად მე-8 საპყრობილეში სპეციალურად შევიდა. სასჯელაღსრულების სისტემაში მომუშავე კადრების ინფორმაციით, ქარდავა არქანიას საქმის გახმაურებას გადაჰყვა. ამის მერე, მეგის ქარდავა ბაჩო ახალაიას მამამ თბილისში, შვილთან, თავდაცვის სამინისტროში გადაიყვანა სამუშაოდ;

გოგა ბუთლიაშვილი, გლდანის მე-8 საპატიმრო დაწესებულების სოციალური სამსახურის უფროსი, სასჯელაღსრულების სისტემაში „ქილერას“ თანმხლები პირია და მის მარჯვენა ხელად ითვლება. ბუთლიაშვილი უშუალოდ სცემს და აწამებს პატიმრებს. ციხის სამკურნალო დაწესებულების დირექტორობიდან „სიპიტის“ (ევროსაბჭოს წამებისა და არაადამიანური, ან დამამცირებელი მოპყრობის, ან დასჯის აღკვეთის ევროპული კონვენციით შექმნილი ორგანო) მიერ 2009 წლის სექტემბერს გამოქვეყნებული დასკვნის შემდეგ გადააყენეს, მაგრამ დასჯით არ დაუსჯით. ის დღეს მუხაძის ერთ-ერთ ხელქვეითად მუშაობს გლდანის მე-8 საპყრობილეში;

თამაზ მელაძე, გლდანის N8 საპყრობილის ყოფილი დირექტორი. ეს თანამდებობა მასაც „სიპიტის“ მიერ გამოქვეყნებული დასკვნის შემდეგ დაატოვებინეს, მაგრამ მელაძე პატიმრების წამებისთვის არავის დაუსჯია;

რობერტ არაქელოვი, განსაკუთრებული სისასტიკით გამორჩეული ჯალათი, ქსნის საპატიმრო დაწესებულების ყოფილი დირექტორი. თანამდებობა მასაც „სიპიტის“ დასკვნის შემდეგ დაატოვებინეს, მაგრამ არც ის დასჯილა;

ავთო პოპიაშვილი და გიორგი ბიწაძე, ციხის სამკურნალო დაწესებულების თანამშრომლები. ისინი 2010 წელს სახალხო დამცველის ანგარიშში მოხვდნენ, როგორც პატიმრების წამებაში შემჩნეული პირები. მათ ათობით პატიმარი ჰყავთ ნაწამები;

გიორგი კოხრეიძე (დაბა ქსნის N15 საპატიმრო დაწესებულების დირექტორის მოადგილე) და ლევან ლეჟავა (რეჟიმის უფროსი) – 2010 წლის 19 აგვისტოს, ფერისცვალება დღეს, ღამის ათ საათზე სპეცრაზმმა პატიმრებს დაბა ქსნის 15 დაწესებულებაში სასტიკად სცემა. ისინი გააშიშვლეს და სპეცრაზმის ე.წ. ცოცხალ კორიდორებში გავლისას რეზინის ხელკეტებს ურტყამდნენ. ამ საქმეში სპეცრაზმელებს გიორგი კოხრეიძე და ლევან ლეჟავაც ეხმარებოდნენ;

ქიტესა გულისაშვილი და გელა ოსიაავა – დაბა ქსნის მე-15 საპატიმრო დაწესებულების გამორჩეული ჯალათები. ნაწამები ჰყავთ არაერთი პატიმარი;

ლაშა ბრეგვაძე და დავით ბუხრაშვილი – ბრეგვაძე რუსთავის მე-17 საპატიმრო დაწესებულებას ხელმძღვანელობს. ითვლება ახალაიას კლანის წევრად, პენიტენციალურ სისტემაში ის ახალაიას მისვლის შემდეგ გამოჩნდა. ახლო წარსულში რუსთავის მე-6 საპყრობილეს ხელმძღვანელობდა. ბრეგვაძის სახელი სულ ცოტა ხნის წინ წამოტივტივდა, მსჯავრდებულ ილგარ მამედ-ზადესთან მიმართებაში. პატიმრის მიერ დაწერილ განცხადება-საჩივარში აღნიშნულია, რომ ბრეგვაძე მის მოადგილესთან, დავით ბუხრაშვილთან ერთად მამედ-ზადეს სასტიკად აწამებდა;

დავით მარგებაძე, რუსთავის მე-6 საპყრობილის დირექტორი – ის პატიმარ კახაბერ თედლიაშვილის წამებაში მონაწილეობდა. კახაბერ თედლიაშვილი ჩამომხრჩვალი იპოვეს. თვითმკვლელობის ვერსიას ამკვიდრებდნენ, მაგრამ ადვოკატთა და ექსპერტთა განმარტებით, თედლიაშვილი მოკლულია;

ჯონი ივანიშვილი, რუსთავის მე-6 საპყრობილის თანამშრომელი – ასევე, მონაწილეობდა კახაბერ თედლიაშვილის წამებაში;

ვინმე ანგო, გლდანის მე-8 საპყრობილის თანამშრომელი – სასტიკად აწამებს პატიმრებს;

დათო ხონსკი, გლდანის მე-8 საპყრობილის თანამშრომელი – სასტიკად აწამებს პატიმრებს;

გოდერძი გუნიავა, 7 საპყრობილის დირექტორი – აწამა გაიოზ ზვიადაძე;

გია კირკიტაძე, რუსთავის მე-6 საპყრობილის ექიმი – მხილებულია პატიმართა წამებაში;

ვინმე აფციაური, რუსთავის მე-17 დაწესებულების ექიმი – მხილებულია პატიმართა წამებაში;

შოთა თოლორდავა, ქსნის მე-15 საპატიმრო დაწესებულების დირექტორი – მხილებულია პატიმართა წამებაში;

კესო დანელია, ქალთა და არასრულწლოვანთა საერთო და საპყრობილის რეჟიმის მე-5 დაწესებულების ექიმი – მხილებულია პატიმართა წამებაში;

დიმიტრი ჩხეიძე, ქსნის ციხის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელი – სასტიკად სცემა პატიმარ ილია ჭიჭიბოშვილს;

ზაზა ზარნაძე, რუსთავის მე-6 დაწესებულების სოციალური განყოფილების თანამშრომელი – პატიმრებზე მიზანმიმართულ ფსიქოლოგიურ ზეწოლას და დაშინებას ახორციელებს;

სიაში ასევე არიან გლდანის ციხის ადმინისტრაციის თანამშრომლები: ბექა მჟავანაძე, ბაკურ ქავთარაძე, რომან მიქავა და ექიმები: ნუნუ მჭედლიშვილი და მაყვალა მღებრიშვილიც, რომლებიც ცოტნე გამსახურდიას ინფორმაციით, პატიმრებს სასტიკად აწამებდნენ.

„არ ვართ მიამიტები, არ ვიკვებებით ილუზიით, რომ სააკაშვილის, კალმახელიძის, ან სხვა ერთი-ორი ჯალათის მოცილებით, ქართული ციხეები სამოთხედ იქცევა, მაგრამ წინააღმდეგობის მოძრაობას დაგეგმილი აქვს კომპლექსური ღონისძიებები, რომლებიც პენიტენციალურ სისტემაში სიტუაციას რადიკალურად შეცვლის და ევროპულ, ჰუმანურ სტანდარტებს დაუახლოვებს“, – აცხადებს ირმა ინაშვილი.

# საარჩევნო სუბიექტებს მოთხოვნებს უმკაცრებენ

საარჩევნო სუბიექტებს ქრთამის აღების, გამოძალვის ან მის სანაცვლოდ დაპირებებისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისრება. ამასთან დაკავშირებით ცვლილება სისხლის სამართლის კოდექსში შედის.

კანონპროექტის მიხედვით, დასჯადი ხდება საარჩევნო სუბიექტის – ფიზიკური პირის მიერ პირდაპირ ან არაპირდაპირ ფულის, ფასიანი ქაღალდის, სხვა ქონების, ქონებრივი სარგებლის ან სხვა რაიმე არამართლზომიერი უპირატესობის მიღება ან მოთხოვნა.

ასევე, საარჩევნო სუბიექტი დაისჯება, თუ მან რაიმე მსგავსი შეთავაზება ან დაპირება მიიღო, რათა „განახორციელოს რაიმე ქმედება ან თავი შეიკაოს რაიმე ქმედების განხორციელებისგან“; ან გამოიყენოს თავისი ავტორიტეტი ანალოგიური მიზნის მისაღწევად ან განახორციელოს სამსახურებრივი მფარველობა.

ამ ქმედებების გამო, საარჩევნო სუბიექტს ექვსიდან ცხრა წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

თუ საარჩევნო სუბიექტმა დიდი ოდენობით – 10 ათას ლარამდე ოდენობის ქრთამი აიღო – შვიდიდან თერთმეტ წლამდე პატიმრობა დაემუქრება, ხოლო თუ ეს ქმედება მან არაერთგზის ჩაიდინა ან დიდი ოდენობით – 30 ათას ლარს ზემოთ ქრთამი აიღო, თერთმეტიდან თხუთმეტ წლამდე დააპატიმრებენ.

კანონპროექტის ავტორები კახა ანჯაფარიძე და ზვიად კუკავა არიან.

**ინტერპრესნიუსი**

# ქართული მართლმსაჯულება საქმის წარმოების ელექტრონულ სისტემაში

**სასამართლოში დოკუმენტების ბრუნვა და საქმის წარმოება უკვე ელექტრონულ რეჟიმშია შესაძლებელი. 13 ოქტომბერს უზენაეს სასამართლოში საქმის წარმოების ელექტრონული სისტემის პრეზენტაცია გაიმართა. პრეზენტაციას ქართული და უცხოური საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები დაესწრნენ.**

**საქმის წარმოების აღნიშნული სისტემა მნიშვნელოვანი სიახლეა, როგორც სასამართლოს თანამშრომლებისთვის, ასევე მოქალაქეებისთვის, და ზოგადად, სასამართლო სისტემასთან დაკავშირებული პირებისთვის.**

**უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის განცხადებით, საქმის წარმოების ელექტრონული სისტემა კიდევ უფრო მარტივს და ხელმისაწვდომს გახდის მართლმსაჯულებას და საერთო ჯამში, გაზრდის სასამართლოს მიმართ ნდობას.**



*მოქალაქისთვის სასამართლოსგან ობიექტურ გადაწყვეტილებასთან ერთად, ასევე მნიშვნელოვანია სწრაფი და ხელმისაწვდომი მართლმსაჯულება. წლების განმავლობაში სასამართლო სისტემა ერთ ბიუროკრატიულ წრედ იყო ქცეული, რომელიც უამრავ ჟურნალში იკაგებოდა. სასამართოში შესული ნებისმიერი განცხადება იმთავითვე პირველადი რეგისტრაციის ჟურნალში ხვდებოდა, შემდეგ იგივე ინფორმაცია გადადიოდა საქმის კატეგორიულობის განმსაზღვრელ ჟურნალში, შემდეგ ალფავიტურ ჟურნალში, ივსებოდა სააღრიცხო სტატისტიკური ბარათი, რის შემდეგაც ინფორმაცია ხვდებოდა მოსამართლეთათვის გადასაცემ ჟურნალში, თვისმხრივ იგივე ინფორმაცია ინიშნებოდა თანაშემწის ცნობარში და კიდევ რამდენიმე დამატებითი პროცედურის გავლის შემდეგ ეს განცხადება აღწევდა მოსამართლემდე. ამ პროცედურას უმეტეს შემთხვევაში თან ახლდა გარკვეული გაუგებრობები, რის გამოც მოქალაქეს ხშირად საკუთარი განცხადების ბედს სასამართლოს სხვადასხვა უწყების თანამშრომელთან არკვევდა, რის გამოც უამრავ დროს, ენერგიას და ნერვებს ხარჯავდა. ბოლო პერიოდში მდგომარეობა საგრძნობლად გამოსწორდა, თუმცა როგორც ქართული მართლმსაჯულების წარმომადგენლები გვპირდებიან, სასამართლოში საქმის წარმოების ელექტრონული სისტემის დანერგვის შემდეგ, ეს პრობლემა საბოლოოდ ჩაბარდება წარსულს. ახალი სისტემა მოიცავს სამართალწარმოების ყველა დარგს – სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებას.*

სასამართლოში საქმის წარმოების ელექტრონული სისტემის არსებობა მსოფლიოს განვითარებული ქვეყნებისთვის სიახლე ნამდვილად არ გახლავთ. ეს პროგორამა ევროპის ბევრ სახელმწიფოში ჯერ კიდევ 1990-იანი წლებიდან დაინერგა და იგი ძალიან წარმატებულ პროექტად ითლება, ამიტომ თითქმის ყველა ქვეყნის მართლმსაჯულება ცდილობს ამ სისტემაზე გადასვლას. როგორც ექსპერტები ამბობენ, ყოველწლიურად ამ პროგრამების შექმნისათვის მსოფლიოში 5 მილიარდ დოლარზე მეტი იხარჯება, თუმცა იმის გამო, რომ იგი საკმად რთული შესაქმნელი და ასამოქმედებელია, ხშირად მისი დანერგვის მცდელობა უშედეგოდ სრულდება. მიუხედავად დიდი მონდომებისა, თურმე სასამართლოს საქმის წარმოების ელექრტონული სისტემა ამერიკის შეერთებულ შტატების სასამართლოების მხოლოდ 30 პროცენტშია დანერგილია. თვითოეული ასეთი პროგრამის შესაქმნელად დაახლოებით ათი წელია საჭირო. საქართველოში მართლმსაჯულების საქმიანობის კომპიუტერით მართვაზე გადაყვანის იდეა თავის დროზე ქართველ კოლეგებს სწორედ ამერიკელებმა მოაწოდეს. მაგრამ პროგრამის სირთულის გამო დონორ ორგანიზაციებს ისიც ურჩევიათ, სისტემის პრაქტიკულ დამერგვაზე არც იოცნებოთ და, ჯერჯერობით, მის თეორიულ დამუშავებაზე იფიქრეთო. მოკლედ, ამ პროგრამაზე ფიქრი ქართული მართლმსაჯულების წარმომადგენლებმა დაახლოებით, ოთხი წლის წინ დაიწყეს და საკმაოდ რეკორდული დროის მიუხედავად, დღეს სასამართლოში საქმის წარმოების ელექტრონული სისტემა უკვე დანერგილია რუსთავის, გორის და მცხეთის საქალაქო სასამართლოებში. როგორ ამ პროგრამის ერთ-ერთი სულისჩმდეგმელი, რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე მამუკა ახვლედიანი ამბობს, წლის ბოლოსთვის ეს პროგრამაში ამოქმედდება საქართველოს 15 დიდ სასამართლოში და, საბოლოოდ, ქართული მართლმსაჯულება ერთ მთლიან ქსელში იქნება ჩართული.

**„იმისათვის, რომ სასამართლოში საქმის წარმოების ელექტრონული სისტემა შეგვექმნა 10-მდე განვითარებული ქვეყნის მაგალითს გავეცანით, მაგრამ აშკარა იყო, რომ ამ სისტემის კოპირებას ვერ მოვახდენდით, რადგან ჯერ ერთი, მათი პროექტები წლების წინ არის შექმნილი და ვინაიდან კომპიუტერული ტექნოლოგიები ძალიან სწრაფი ტემპით ვითარდება, ეს სისტემები უკვე მოძველებულია, და მეორეც, ყველა ქვეყანას და, მათ შორის, საქართველოსაც განსხვავებული სასამართლო პრაქტიკა აქვს, ამიტომ, ელექტრონული სისტემის შექნა, ფაქტობრივად, ნულიდან დავიწყეთ. როცა სერვერი დონორ ორგანიზაციებს ვაჩვენეთ, მათ გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, რადგან ასეთ მცირე დროში, ასეთი სირთულის პროგრამის შექმნა მათთვის წარმოუდგენელი იყო,“** – ამბობს მამუკა ახვლედიანი.

სასამართლოში საქმის წარმოების ელექტრონული სისტემა კომპანია „დელტა სისტემმა“, საერთო სასამართლოების დეპარტამენტის საკმაოდ მიზერული დაფინანსებით – 400 ათას ლარად შექმნა, თუმცა, როგორც სასმართლოს და კომპანიის წარმომადგენლები აცხადებენ, პროგრამა მუდმივად იხვეწება და მომავლისთვის იგი კივევ ბევრ ნევაციას დანერგავს. მთავარი მოთხოვნა – სწრაფი, მარტივი და გამოჭირვალე სასამართლო სისტემა კი უკვე ამოქმედებულია.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის განმარტებით, მართლმსაჯულების საქმის წარმოების კომპიუტერულ სისტემაზე გადაყვანა ერთნაირად სასარგებლოა, როგორც მოსამართლეებისთვის, ასევე პროცესში მონაწილე სხვა პირებისთვის და ჩვეულებრივი მოქალაქეებისთვის.

ელექტრონული სიტემაში უამრავი ტექნიკური ნიუანსია გათვლილი, ამიტომ მათი გადმოცემა წერილობითი ფორმით, თითქმის შეუძლებელია, თუმცა, სისტემის მოკლე დახასიათებით, მკითხველი მიხვდება, რომ საქმე ნამდვილად უნიკალურ პროექტთან გვაქვს, რომელიც პროცესში მონაწილე ყველა წევრს, დაწყებული მოსამართლიდან, რომ არაფერი ვთქვათ განმცხადებელზე და მის ადვოკატზე, ჩვეულებრივი სასამართლოს თანამშრომლით დამთავრებული, საქმეს ყველას მინიმუმამდე შეუმსუბუქებს.

ჯერ ერთი, ახალი სისტემით, ზემოთ ჩამოთვლილი საჟურნალო სისტემა საერთოდ უქმდება, სასამართლოში შესული განცხადება პირდაპირ რეგისტრირდება პროგრამის სპეციალურ გრაფაში – „შემოსული ფოსტის ჟურნალში“, სადაც ავტომატურად ინიშნება შეტანის თარიღი, ეძლევა სპეციალური კოდი და ა.შ. პარალელულად საქმე ხვდება ვებგვერდზე – info.court.ge, რაც იმას ნიშნავს, რომ ამავე დღიდან მოქალაქეს შეუძლია ნებისმიერ დროს აკრიფოს პაროლი და გააკონტროლოს საკუთარი საქმის მსვლელობა. ყველა მოქმედება, რომელიც ამ საქმეზე განხორციელდება, ვთქვათ, რომელ მოსამართლეს დაეწერა იგი, რა შენიშვნა შეიტანა მოსამართლემ, როგორი განაჩენი ან განჩინება გამოიტანა, ავტომატურად აისახება ვებგვერდზე. ამ გზით მოქალაქეს აღარ სჭირდება ინფორმაციის მისაღებად სისტემატურად ტელეფონზე რეკვა ან სასამართლოში სიარული. კიდევ ერთი, როგორც პროექტის ავტორები ირწმუნებიან, აქამდე თუ ერთ კონკრეტულ საქმეზე ინფორმაციის გაცენა მხოლოდ მოსამართლის თანაშემწეს შეეძლო, ამ სისტემის დანერგვის შემდეგ, მოქალაქეს, თუ კომპიუტერი არ აქვს, სასამართლოს ნებისმიერი თანამშრომელი მომესახურება, რადგან კომპიუტერში განთავსებულ ინფორმაციაზე წვდომა ყველა მათგანს შეეძლება.

რაც შეეხება მოსამართლეს, მას საქმე მონიმუმამდე შეუმსუბუქდა – სასამართლოში შესული განცხადებები „შემოსული ფოსტის ჟურნალში“ მოხვედრისთანავე დავის კატეგორიების მიხედვით დახარისხდება, რის შემდეგაც თანაბარი დატვირთვით, ავტომატურად გადანაწილდება მოსამართლეებზე, რაც მოსამართლის გრაფაში მაშინვე აღინიშნება. ამის შემდეგ მოსამართლე კომპიუტერშივე იწყებს საქმეზე მუშაობას. სისტემის ერთ-ერთ ყველზაე დიდ მიღწევად ითვლება, ის, რომ საქმის წარმოების ტექნიკური ნაწილი, რომელსაც მოსამართლის შრომის 70-80 პროცენტი ეთმობოდა, პროგრამაში შაბლონური ფორმით არის მოცემული და მოსამართლეს მხოლოდ ინტელექტუალურ ნაწილზე უხდება მუშაობა. მამუკა ახვლედიანის აზრით, ეს იმას ნიშნავს, რომ მოსამართლეს ინტელექტუალური მუშაობისთვის უფრო მეტი დრო დარჩება, რაც წარმატებით აისახება მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებზე.

გარდა ამისა, სისტემა თავად აწესებს საქმის განხილვის ვადებს, რაც ვადების დარღვევას, ფაქტობრივად, გამორიცხავს. მოსამართლეს შეუძლია გაცემული დავალებების ვადების კონტროლიც და იმის ნახვაც, თუ როდის აქვს ჩანიშნული სხვა სასამართლო სხდომები. სპეციალური პროგრამა მოსამართლეს იმასაც ატყობინებს, საქმეში დასახელებული პიროვნება ხომ არ არის არასრულწლოვანი და რა სანქციების გამოყენების უფლება აქვს მოზარდი ბრალდებულის შემთხვევაში. მოსამართლე კომპიუტერშივე მიუნიშნებს საქმეში გამოვლენილ ხარვეზებს, რასაც მხარეს ვებგვერდზევე წაიკითხავს და შეუძლია მისი ოპერატიული გამოსწორება. ეს და სხვა უამრავი სამოსამართლეო საქმიანობა წარმოებს ელექტრონულ სისტემაში. მაგრამ მას შემდეგ, რაც მოსამართლე საქმეს დასრულებულად გამოაცხადებს, რაც სპეციალური მონიშვნით დასტურდება, ამ საქმეში შენიშვნის შეტანა შეუძლებელი ხდება, თვით ამ მოსამართლის მხრიდანაც კი. საქმე ავტომაგურად გადადის info.court.ge-ზე და მას მხარე ეცნობა. პროგრამისტები მუშაობენ იმაზე, რომ მომავლაში საქმის დასრულების შესახებ ინფორმაცია მხარეს „ეს-ემ-ესით“ ან ელექტრონული ფოსტით შეატყობინონ. სხვათა შორის, საიტიდან ამობეჭდილ ნებისმიერ ინფორმაციას ოფიციალური დოკუმენტის ძალა აქვს და დედანის მისაღებად ლოდინი, საჭირო აღარ არის. მოსამართლის საქმიანობის ხელშეუხებლობის მიზნით, მისი გვერდი მკაცრად არის დაცული, სხვა მოსამართლეს, მათ შორის სასამართლოს თავმჯდომარესაც, ამა თუ იმ საქმის ნახვა მხოლოდ ბარათის სახით შეუძლია. თავის მხრივ მკაცრად არის დაცული თავად სასამართლოში საქმის წარმოების ელექტრონული სისტემა, რომლის სერვერი ორ სხვადასხა ადგილას დარის დაინსტალირებული და ნებისმიერი ცდომილების შემთხვევაში, პროგრამა მაშინვე დაიბლოკება.

სასამართლოში საქმის წარმოების ელექტრონულ სისტემაში არამარტო მოსამართლეების და საქმეში მონაწილე მხარეების ინტერესებია გათვალისწინებული, არამედ იმ ხალხისაც ვინც სასამართლოს საქმიანობით არის დაინტერესებული. ახალ სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ანალიტიკურ ნაწილს. კერძოდ, პროგრამა ავტომატურად აკეთებს სასამართლოს საქმიანობის სტატისტიკას, როგორც ციფრების სახით, ასევე საქმეების კატეგორიების და თვით ბრალდებულთა ასაკის და სქესის მიხედვით. ამასთან, მუხლების და საკვანძო სიტყვების აკრეფით, მოსამართლეს და სხვა დაინტერესებულ პირს შეუძლია ნახოს ამათუ იმ საქმეზე არსებული სასამართლო პრაქტიკა. თუმცა, საჯაროდ საქმე გამოქვეყნდება არაიდენტიფიცირებული სახით, ვთქვათ, დაშტრიხული ფორმით.

თუმცა, ეს ყველაფერი არ არის, ახალი სისტემა სამომოვლოდ კიდევ უფრო მეტ სიახლეს ითვალისწინებს. როგორც პროექტის ავტორები ვარაუდობენ, გარდა იმისა, რომ ამ სისტემაში სრულიად ქართული მართლმსაჯულება გარეთიანდება, მას სხვა უწყებებიც შეუერთდება. კერძოდ, შინაგან საქმეთა სამინისტრო, იმისათვის, რომ მოსამართლემ დროულად მიიღოს ინფორმაცია პირის ნასამართლეობაზე, სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო – ბრალდებულის ან პატიმარის მდგომარეობის გადასამოწმებლად, სამოქალაქო და საჯარო რეესტრები და ა.შ. და კიდევ ერთი, რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს მამუკა ახვლედიანს სურვილი აქვს, რომ მომავალში შეიქმნას სპეციალური პროგრამა, სადაც ადვოკატები, შესაბამისი რეგისტრაციის შემდეგ, ვებგვერდზევე შეძლებენ აპელაციის მომზადებას და ასევე კომპიუტერის საშუალებით მოხდება მისი შემდგომ ინსტანციაში გასაჩივრება. ესეც საქმის წარმოების გაადვილების მიზნით.

ერთი სიტყვით, როგორც სასამართლო სისტემის წარმომადგენლები ირწმუნებიან, ახალი, გამჭვირვალე სისტემის დანერგვით მოსამართლეებს მაქსიმალურად შეუმსუბუქდებათ შრომა, სასამართლოში შემცირდება დოკუმენტების გაუთავებელი მოძრაობა და რაც მთავარია, მოქალაქეებს საგრძნობლად გაუადვილდებათ სასამართლო სისტემასთან ურთიერთობა, რაც მართლმსაჯულების სისტემისადმი ნდობას კიდევ უფრო გაზრდის.

## ქუთაისის საქალაქო სასამართლომ მეუღლის მკვლელს 10-წლით პატიმრობა მიუსაჯა

2011 წლის 12 ოქტომბერს, ქუთაისის საქალაქო სასამართლომ მეუღლის განზრახ მკვლელობაში ბრალდებულ იროდიონ ნაჭყეპიას საქმის განხილვა დაასრულა და იგი წარდგენილ ბრალში დამნაშავედ ცნო. საქმის მასალების მიხედვით, დანაშაული 2011 წლის 31 მაისს ზესტაფონის რაიონში, მოკლულის ოჯახში მოხდა.

სასამართლო განხილვებით დადგინდა, რომ იროდიონ ნაჭყეპიას მეუღლესთან ნ.გ.-სთან კონფლიქტი ეჭვიანობის ნიადაგზე მოუვიდა. იმავე ღამეს მან ცოლი საწოლში, კისრის არეში ხელის მოჭერით დაახრჩო. ამის შემდეგ კი თვითნაკეთი დანით კისრის არეში დაზიანებები მიაყენა, რომ ცოლის სიკვდილში დარწმუნებული ყოფილიყო. დამნაშავემ შემთხვევის ადგილი იმავე ღამით დატოვა და მარტვილის რაიონში წავიდა. შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებაში იგი ნებაყოფლობით გამოცხადდა და ბრალი აღიარა.

სასამართლომ 32 წლის იროდიონ ნაჭყეპიას ჩადენილი დანაშაულისათვის 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

## ბურჯანაძის პარტია ხელისუფლებას ივანიშვილის ახლობლების პოლიტიკურ დევნაში ადანაშაულებს

„დემოკრატიული მოძრაობა“ ხელისუფლებას ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილისა და მისი ახლობლების პოლიტიკურ დევნაში ადანაშაულებს. აღნიშნულთან დაკავშირებით პარტიის მთავარი საბჭო განცხადებას ავრცელებს.

– რამდენიმე დღის წინ პოლიციამ იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავა ბიძინა ივანიშვილის საქველმოქმედო ფონდის ხელმძღვანელის, ირაკლი ღარიბაშვილის სიმამრი, დედოფლისწყაროს პოლიციის ყოფილი უფროსი თამაზ თამაზაშვილი, ასევე, წითელუბნის რწმუნებულის თანამდებობა „ნებაყოფლობით“ დატოვა ირაკლი ღარიბაშვილის მამამ – ტარიელ ღარიბაშვილმაც, – ნათქვამია განცხადებაში.

როგორც მთავარი საბჭოს წევრები აცხადებენ, ეს დაპატიმრება და თანამდებობის დატოვება საქმეზე დაემთხვა ბიძინა ივანიშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებას, პოლიტიკაში მოსვლის შესახებ, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ხელისუფლებამ, მისთვის დამახასიათებელი ტრადიციული მეთოდებით, ბიძინა ივანიშვილისა და მისი ახლობლების პოლიტიკური დევნა დაიწყო.

– სააკაშვილის რეჟიმის მხრიდან პოლიტიკური ანგარიშსწორების მეთოდები ოპონენტების წინააღმდეგ ახალი არაა. „დემოკრატიულ მოძრაობას“ დაარსებიდან დღემდე, საკუთარ თავზე აქვს გამოცდილი ხელისუფლების მიერ ორგანიზებული ტერორი, უსამართლობა და შავი პიარი. ასევე კარგად იცის, რომ ოპოზიციური პოლიტიკური ძალების მხრიდან პოლიტიკური რეპრესიების ფაქტებზე თვალის დახუჭვა და გაჩუმება, ხელს უწყობს ქვეყანაში დიქტატურის ჩამოყალიბებას, – აღნიშნულია განცხადებაში.

„დემოკრატიული მოძრაობა“ მოუწოდებს ყველას, გამოხატონ ერთიანი პოზიცია იმ ტენდენციასთან დაკავშირებით, რომელიც თავს იჩენს პოლიტიკური სუბიექტების გააქტიურებასთან, მისი, მისი ახლობლების და თანაგუნდელების დატერორების სახით.

ინტერპრესნიუსი

# ბიძინა ივანიშვილი შეიძლება საქართველოდან გააძევონ!

## რა შემთხვევაში შეიძლება ბიზნესმენის წინააღმდეგ საქმის აღძვრა

ქეთი ხომერიკი

როგორ აფასებს ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენას, რა სიფრთხილე მართებს ბიზნესმენს და რას აპირებს ხაჭაპურიძე? ,,ახალი თაობა" ,,კანონი და სამართლიანობის" ლიდერს შალვა ხაჭაპურიძეს ესაუბრა.

**შალვა ხაჭაპურიძე:**

– როგორც ივანიშვილი აცხადებს, ის აპირებდა საქართველოდან წასვლას და ის გრძნობა, რაც ამ ადამიანმა თავის წერილში აღწერა, ბევრი ადამიანისთვის არის გასაგები, ბევრი უკვე წასულია საქართველოდან და ბევრიც აპირებდა წასვლას ბოლო პერიოდში. და ისეთი ადამიანები აპირებდნენ წასვლას, რომლებსაც მხედრიონის დრო, ის უბედურება, რაც ტრიალებდა საქართველოში, აქვთ გადატანილი. კი გაუძლეს, მაგრამ ყველა იმ იმედით იყო აღსავსე, რომ აი, დღეს იქნება თუ ხვალ. ქვეყანაში სიტუაცია გაუმჯობესდებაო და არ მიდიოდნენ, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ბოლო პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა, განსაკუთრებით 26 მაისმა ნათელი გახადა, რომ ვერანაირი ქმედებები, მანიფესტაციები, რომელიც არ იქნება კარგად ორგანიზებული და გააზრებული თავიდან ბოლომდე, სასურველ შედეგს ვერ დააყენებს. აი, ამ გაუგებრობამ გამოიწვია საშინელი ნიჰილიზმი პოლიტიკურად ანგაჟირებულ ადამიანებშიც კი. ხელისუფლება გამოვიდა აბსოლუტური კონტროლიდან, იგი აღარ ემორჩილებოდა არანაირ კონსტიტუციურ წესრიგს და ქვეყანაში კონსტიტუციური წესრიგის დამყარების არანაირი შანსი აღარ ჩანდა. ამ ყველაფერმა, ისევე, როგორც ბევრ ადამიანში, ალბათ, ამ ადამიანშიც გამოიწვია განწყობა, რომ სჯობს წავიდე ამ ქვეყნიდანო. ივანიშვილის განცხადებიდან ჩანს კიდეც ეს, მაგრამ როგორც აცხადებს, შვილებმა იქონიეს მასზე დიდი ზეგავლენა და გადაწყვიტა არა საქართველოდან წასვლა, არამედ პოლიტიკაში მოსვლა, თუმცა მე ასე არ ვიტყოდი ამას.

*– რას გულისხმობთ?*

– მეორე წერილიდან ნათლად ჩანს, რომ ეს ადამიანი არ არის პოლიტიკაში ახალი ფიგურა, იგი პოლიტიკაში არ მოდის ახლა, უბრალოდ, ის ახლა, გამოჩნდა პოლიტიკაში. ის პოლიტიკაში მოსული იყო, რადგან ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტა, როგორიცაა ომის დაწყება–არ დაწყების საკითხი, მას ერთხელ უკვე გადაუწყვეტია 2007 წელს და ეს ფუნქცია, რაც მას აუღია თავის თავზე, საერთოდ არც კი ჰკითხეს საქართველოს პარლამენტს, მოსახლეობის მიერ ნდობით აღჭურვილ ორგანოს, ანუ პარლამენტზე მაღლა იდგა ის იმ მომენტში და პრინციპში სწორიც იყო, რადგან ეს პარლამენტი არის ცვედანი პოლიტიკოსებით სავსე პარლამენტი რამდენიმე ადამიანის გამოკლებით, ოპოზიციონერს ვგულისხმობ.

*– და რატომ გადაწყვიტა პოლიტიკაში გამოჩენა, მაინცდამაინც ახლა და არა, დავუშვათ, 7 ნოემბრის შემდეგ?*

– ფაქტია, რომ ამ ადამიანს მისი სამშობლო უყვარს, ამას მის სოფელთან მისი დამოკიდებულებაც ცხადყოფს, ამიტომ გადაწყვეტილება, რომ საერთოდ წავიდეს საქართველოდან, ნიშნავს იმას, რომ მოწყდეს თავის ფესვებს, რაც ქართველი ადამიანისთვის, განსხვავებით სხვა ერის წარმომადგენლებისაგან, საკმაოდ მტკივნეული თემაა. ამიტომ ასეთი ფინანსების მქონე ადამიანს, კარგ მენეჯერს, ბუნებრივია, გაუჩნდა სურვილი, რომ თავისი ფინანსური და გონებრივი რესურსი მოახმაროს თავის სამშობლოს. მისი განცხადებებიდან ირკვევა, რომ იგი ხედავდა ხელისუფლების მიერ გატარებულ კურსს, რომელსაც ქვეყანა განვითარებისკენ არ მიჰყავდა, ერეოდა, ცდილობდა გონს მოეყვანა ხელისუფლება, ისინიც გარკვეულწილად ანგარიშს უწევდნენ მას, მაგრამ როგორც ჩანს, ამ მომენტში განმეორდა და ღმერთმა ნუ ქნას საბოლოო მომენტშიც განმეორდეს პატარკაციშვილის ისტორია, ისიც ხშირად ერეოდა, რჩევა-დარიგებებს აძლევდა ხელისუფლებას, ისინიც ითვალისწინებდნენ მის რჩევებს, მაგრამ, როდესაც გავიდნენ აბსოლიტური კონტროლიდან, ანუ ანტისახელმწიფოებრივი ქმედებების განხორციელება დაიწყეს, პატარკაციშვილმა გადაწყვიტა პოლიტიკაში მოსვლა. ვფიქრობ, ამ შემთხვევაშიც ამასთან გვაქვს საქმე, ამიტომაც გამოჩნდა ეს ადამიანი პოლიტიკაში.

*– თუმცა ის საქართველოს მოქალაქე უკვე აღარ არის... ხელისუფლებამ, როგორც ჩანს, რეპრესიული მანქანა აამუშავა. როგორია თქვენი პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასება?*

– როგორც კი გამოჩნდა პოლიტიკურ არენაზე, მაშინვე ვთქვი, რომ პრობლემებს შეუქმნიანმეთქი. მსოფლიო ისტორიაში ორადორი შემთხვევა იყო, როდესაც ხელისუფლების პირველმა პირმა განაცხადა, რომ სახელმწიფო ეს ჩვენ ვართო. ერთი იყო ჰიტლერი, მეორე სააკაშვილი. იქ იყვნენ ნაცისტები, აქ არიან ნაცები. ამათგან რას უნდა მოელოდე, აბა! თავშივე ვთქვი, რომ კრიმინალთა ბანდა, რომელიც არის მოსული ხელისუფლებაში,


შალვა ხაჭაპურიძე

შეუქმნიდა მას პრობლემებს და განვაცხადე, რომ თუ მას პარტია სჭირდება, მზად ვარ, აი, პარტია შეუძლია მოიხმაროს-მეთქი. რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი პოლიტიკური ხედვები ემთხვევა, რადგან ვიცი, რეჟიმი რასაც გააკეთებს-მეთქი. რას გააკეთებს რეჟიმი? ვამბობდი, დაიწყება მისი ახლობლების დაპატიმრება-მეთქი, დაიწყო, მოქალაქეობოს საკითხი, რაც გააკეთეს, ზუსტად ვიცი ამ რეჟიმის ანატომია და მეთოდები და დავწერე კიდეც ეს 120 გვერდიან დოკუმენტში, რასაც ჰააგის სარჩელი ჰქვია. სხვათა შორის, 24–ში მიწვეული ვარ ჰააგის პროკურორთან, სადაც დამატებით წარედგინება მას 26 მაისის მოვლენები, ეს არის პირველი მიწვევა სარჩელის შეტანის შემდეგ.

*– როგორია თქვენი მოლოდინი?*

– გავიგებთ რა მდგომარეობაა ჩემ მიერ შეტანილ საჩივართან დაკავშირებით და დამატებით წარვუდგენთ მტკიცებულებებს 26 მაისს განვითარებულ მოვლენებზე.

*– კვლავ ივანიშვილის თემას მივუბრუნდეთ, ითქვა, რომ ხელისუფლება ივანიშვილის დეპორტაციას არ მოერიდება...*

– არ გამოვრიცხავ და დეპორტაციას თუ არ დაემორჩილა, ან გავიდა საზღვარგარეთ და მერე შემოვიდა, საზღვრის უკანონო გადაკვეთა-გადმოკვეთად ჩაითვლება ეს, რაც 4-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს და ამას ყურადღების მიქცევა უნდა. რა შეიძლება კიდევ განახორციელოს რეჟიმმა, პირველი, რაზეც ბატონმა ბიძინამ აუცილებლად უნდა გაამახვილოს ყურადღება, ეს არის მისი პოლიტიკური პარტნიორები. საქართველოში ხელისუფლებას უნდა, რომ ხალხს ამნეზია სჭირდეს, მაგრამ არ სჭირს. ხალხმა იცის თითოეული პოლიტიკოსი. სხვათა შორის, პარტნიორების შერჩევა ურთულესი სამუშაოა, მით უმეტეს, არ დაგვავიწყდეს ერთი მთავარი მომენტი– ქართული ხასიათის სიცუდე, რომელიც უფრო ყიზილბაშური არის. დღეს, ფაქტობრივად, ვერ ნახავთ ქართველ პოლიტიკოსს, რომელიც მეორე პოლიტიკოსზე კარგს საუბრობდეს. ჟურნალისტი ხართ და იცით თქვენ ეს. ახლა ივანიშვილი პირადად არ იცნობს ამ ხალხს და როგორც ვაკვირდები, მისი ყველაზე სანდო საინფორმაციო წყარო არის ტელეკომპანია მაესტრო. ანუ ხედავს მაესტროში გამოჩენილ პიროვნებებს, რომლებიც აქტიურობენ, ან არ აქტიურობენ. სიტყვამ მოიტანა და გეტყვით, მისი შენიშვნა მაესტროსთან დაკავშირებით, ერთადერთი პოლიტიკოსი ვარ, რომელმაც გაიზიარა. მე არაერთხელ ვთხოვე მაესტროს ჟურნალისტებს, ბატონ კიწმარიშვილსაც, რომ დაეთმო რამდენიმეწუთიანი საეთერო დრო, თუნდაც იგივე ჰააგის თემასთან დაკავშირებით, მაგრამ უარი მივიღე. რამდენიმე გაზეთი არ მბლოკავს მხოლოდ, ესენია ახალი თაობა, ასავალ-დასავალი, ქრონიკა და ა.შ, რისთვისაც დიდ მადლობას მოგახსენებთ. ერთი სიტყვით, ივანიშვილმა ძალიან დიდი სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს პარტნიორების შერჩევისას. დიდი ყურადღებაა გასამახვილებელი და უნდა გაითვალისწინოს თითოეული ადამიანის და პარტიის შესაძლებლობა და ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი, დღევანდელ ტირანიასთან ბრძოლაში გამარჯვების მთავარი ფორმულა. თუ ეს ფორმულა იქნება დარღვეული, მაშინ ძალიან ცუდი მოვლენები შეიძლება დატრიალდეს, რას ვგულისხმობ? ხელისუფლებასთან და მათ წარმომადგენლებთან ყოველგვარი კავშირი უნდა გაწყდეს.

*– კულუარებში უკვე საუბრობენ, ხელისუფლების წამყვან ფიგურებთან თანამშრომლობასაც არ გამორიცხავსო...*

– ვიმეორებ, ხელისუფლებასთან უკომპრომისობა და მათთან ყოველგვარ მოლაპარაკებაზე არწასვლა არის გამარჯვების ფორმულა. ამ ფორმულას ოდნავ ბზარი გაუჩნდება და დამთავრებულია საქმე. ისევ პარტნიორების საკითხს მივუბრუნდები, აქ ვხედავ ერთ საშიშროებას. ბევრ პოლიტიკურ ძალას შეუძლია უცებ აწყობა და შემდეგ დაშლა. დაშლა რაში მდგომარეობს – მიიღებს დავალებას, არ ვიცი ვისგან, რომ უნდა გამოვიდეს იქიდან, ანუ აგენტს დაუძახებენ და ეტყვიან ამას და ისიც ასე მოიქცევა. და ერთი პარტიის გამოსვლაც კი უზარმაზარი დარტყმაა. სხვათა შორის, უკვე ვიცი, რომელი ოპოზიციური ძალაც გამოეცლება ბატონ ბიძინას.

*– რომელი ოპოზიციური ძალა?*

– ახლა არ ვიტყვი ამას, აიღონ ნებისმიერი პოლიტიკური პარტია და გადახედონ ბოლო წლების მათ ისტორიას, განცხადებებს. რაც შეეხება მცდელობას, მცდელობა ამ კაცის არის გმირული, მან ყველაფერი დადო საპირწონედ, დღესდღეობით ასე ჩანს, მან გადახაზა ეს ყველაფერი და ამ ხალხს ეუბნება, მოდით, დავსხდეთ, შეიქმანს ერთიანი მუჭი ტირანიის წინააღმდეგ საბრძოლველადო. თუ შეძლებს ეს ადამიანი ამის გაკეთებას, წარმატება არის გარდაუვალი, მაგრამ თუ ეს ვერ მოხდა, მაშინ ყველზე დიდი საფრთხე თავად ბატონ ბიძინას ემუქრება.

*– გავრცელდა ინფორმაცია, რომ ივანიშვილი თქვენთან აპირებს თანამშრომლობას, ხომ არ დაგკავშირებიათ?*

– არა. ანეკდოტი დადის დღეს უკვე, ორი პოლიტიკოსი რომ ხვდება ერთმანეთს, გამარჯობას კი არ ეუბნებიან, ხომ არ დაურეკიაო, ეკითხებიან ერთმანეთს. არ დაურეკია. ჩვენ ვაგრძელებთ მუშაობას, გვაქვს ჩვენი მიზანი, რომელიც არაერთხელ გაგვიჟღერებია და უახლოეს მომავალში ვაპირებთ ჩვენი პროგრამის გაჟღერებასაც.

*– მთელი ეს აჟიოტაჟი და ვნებათაღელვა ფუჭი ხომ არ აღმოჩნდება, საფრანგეთის მოქალაქე ივანიშვილს საქართველოში პოლიტიკური აქტიურობა ეზღუდება...*

– სხვათა შორის, ამით უზარმაზარი პოლიტიკური პიარი გაუკეთეს მას. ეს ხელისუფლების მხრიდან აშკარად იყო ნაჩქარევად გადადგმული ნაბიჯი, რასაც ალბათ დეპორტაციის საკითხიც მოყვება, თუმცა ბატონი ბიძინა მიმართავს მათ, მოითხოვს, მისცენ მოქალაქეობა და ვალდებულნი არიან სამი თვის განმავლობაში მისცენ მას მოქალაქეობა. ან მეორე, უფრო კარგი ვარიანტია (მე მის ადგილას ასე მოვიქცეოდი), მოვითხოვდი მომანიჭოს პრეზიდენტმა მოქალაქეობა საქართველოსადმი გაწეული უდიდესი ღვაწლისათვის. თუ ამაზე პრეზიდენტი უარს ეტყვის, ამ შემთხვევაში მას უკვე მობილიზებული უნდა ჰყავდეს გარკვეული ჯგუფი იურისტების, ასევე მხარდამჭერების და მოუწოდოს მათ, რომ გამოვიდნენ თავიანთ ქალაქებში მოთხოვნით, ბატონ ბიძინას მიენიჭოს მოქალაქეობა.

*– დაბოლოს, რა შანსები აქვს ივანიშვილს, რა იქნება ხელისუფლების შემდგომი ნაბიჯები და რას ურჩევდით მას?*

– მოქალაქეობას მიიღებს, ერთი წელია არჩევნებამდე, წარადგენს დოკუმენტებს, რომ არ არის არც საფრანგეთის და არც რუსეთის მოქალაქე, თუმცა აქ არის კიდევ ერთი მომენტი, ვაშაძის ისტორია რომ გავიხსენოთ, ერთი წელი გაგრძელდა ეს პროცესი, სანამ ჩამოვიდა დოკუმენტი, რომ აღარ იყო რუსეთის მოქალაქე. რუსეთის კანონმდებლობაში მოქალაქეობიდან გასვლის საკითხი ძალიან ბუნდოვანია და ამიტომ გაჭიანურდა ვაშაძის შემთხვევაშიც. ახლა თუ რუსეთი გააჭიანურებს ამ საკითს და იგივე საფრანგეთი, სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, იქ როგორაა, მოკლედ, არ არის გამორიცხული, მას პროცესუალურად გაუჭირდეს ეს. ამ დროს ხელისუფლებაც არ იჯდება გულხელდაკრეფილი. მოგეხსენებათ, ინგლისს ჰქონდა ყველაზე დიდი სამხედრო–საზღვაო ფლოტი, გამოვარდებოდა მეკობრე, დაეტაკებოდა ამ ფლოტს, 4-5 გემს გაძარცვავდა, ბოლოს ჩაძირავდა, ან წაართმევდა და ამას უკეთებდა მსოფლიოში ყველაზე ძლიერ ფლოტს გატყავებული ნაჯახით შეიარაღებული მეკობრე და რა იყო მეკობრეების წარმატების ფორმულა? ანუ რისი თქმა მინდა იცით, სააკაშვილს ორი რამ სჭირს, მას არ უყვარს, ეზიზღება საქართველო და მისი ქართველთმოძულეობიდან გამომდინარეა ის, რომ ქვეყანა ბანდიტების ხელში ჩააგდო, მაგრამ მან პოლიტიკა იცის და ვინც იტყვის ეს ასე არ არისო, მწარედ ცდება. აი, ამ შემთხვევაში ის არის მეკობრე, რომელიც მე აღვწერე. გახსოვთ ბოკერიას განცხადება, პატარკაციშვილს რომ შეუთვალა, შემოდი პოლიტიკაში, გელოდებითო. ანუ მეკობრე იწვევდა ზღვაში ისეთ ადამიანს, რომელმაც ზღვის არ იცოდა არაფერი. მეშინია არ განმეორდეს ეს, თუ ივანიშვილს არ ეყოლება კარგი პარტნიორები, მით უმეტეს, სანდო, მეშინია ის ინგლისის ფლოტის მდგომარეობაში არ აღმოჩნდეს.

## რეზო ჭეიშვილი „ჩვენი მწერლობის" სალონში

ეს არის დიდებული, ორიგინალური, მრავალმხრივ გამორჩეული სამყარო, რომლის სრულყოფილი შესწავლა და შეფასებაც მერე და მერე მოხდება, თუმცა დღესდღეობითაც კარგად ვიცით მისი შემოქმედების ფასი. ამის დასტური იყო ეს შეკრებაც „ჩვენი მწერლობის" სალონში, სადაც სტუმრად მწერალი რეზო ჭეიშვილი იმყოფებოდა.

როსტომ ჩხეიძის თქმით, თუ ვინმემ წარმოსახა საბჭოური რეჟიმი დიდი მხატვრული ძალით, მისი აბსურდული რეალობა, მათ შორის რეზო ჭეიშვილმაც. იგი იმ მწერლებს მიეკუთვნება, რომელთაც არ აქვთ ჩავარდნა – დაწერილი აქვთ ან კარგი, ან უკეთესი თხზულებანი, რომელთა შორისაც იგი გამოარჩევს „კვამლს", გვირგვინად რომ მიიჩნევს ბატონი რეზოს შემოქმედებისა.

რეზო ჭეიშვილის სცენარებით გადაღებულია არაერთი ფილმიც, მაგრამ სატელევიზიო სპექტაკლი „შალიკო ხვინგიაძის თავგადასავალი" და მისი მთავარი პერსონაჟი განსაკუთრებულად დაამახსოვრდა საზოგადოებას, რადგან ძალიან დიდი გამბედაობა სჭირდება მწერალს, დიდი ძალა და უნარი ხორცშესხმისა, რომ ბარონი მიუნჰაუზენი არსებობდეს თავისი უკიდეგანო ფანტაზიით, დაახლოებით ასეთივე ხასიათი შექმნა და იყო ორიგინალური.

ორიგინალურიც რომ არის და ახალგაზრდული შემართებითაც აგრძელებს წერას, ამის დასტურია მისი წიგნი „ახალი კურუ", რომელიც ახლახან გამოიცა რეზოპეს ფსევდონიმით და მწერლისთვის ჩვეული იუმორით გვიხატავს ჩვენს აბსურდულ რეალობას.

ამ უჩვეულო იუმორის მიღმა უდიდესი ტრაგიზმი ჩანს ეპოქისა, რომლის შესახებაც წერს მწერალი.

ამიტომაც ის დავით კლდიაშვილს შეადარეს. ითქვა ისიც, რომ თუ რამ ანიჭებს ნაწარმოებს გამძლეობას დროში, თუ რამ აქცევს მას კლასიკად, ერთ-ერთი უმთავრესი მათ შორის არის დიალოგი საკუთარ დროსთან. სწორედ ამით გამოირჩევა რეზო ჭეიშვილის რომანები, მოთხრობები, ნოველები... რადგან იგი ის მწერალია, რომელმაც არა მხოლოდ ადამიანებთან, დროსთან მეგობრობაც იცის.

„ახალი კურუც" და სხვა ნაწარმოებებიც მალე რეზო ჭეიშვილის შვიდტომეულში გაერთიანდება, რომლის სამი ტომიც უკვე გამოქვეყნდა ელგუჯა თავბერიძის თაოსნობით. მანამდე კი შეკრებაზე როსტომ ჩხეიძე და თვითონ ბატონი რეზოც ამონარიდებს კითხულობდნენ ამ ახალი წიგნიდან.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ შემთხვევითი არც კლდიაშვილთან შედარებაა და არც ტრაგიკული განცდების წამოწევა რეზო ჭეიშვილის შემოქმედებაში – უცნაური სილაღე აქვს მის ფრაზას, აჩენს განცდას, რომ ასე ყველას შეუძლია დაწეროს... და დიდი მწერალიც სწორედ აქ ჩანს.

და ალბათ არც ის იყო შემთხვევითი, საღამოს მსვლელობისას რეჟისორი ლიანა ელიავა რომ შეხმიანებია მაკა ჯოხაძეს ფინეთიდან და როცა გაუგია, რეზო ჭეიშვილთან იყო შეხვედრა, მისი სცენარით გადაღებული ფილმი „ბზიანეთიც" გაუხსენებია და განსაკუთრებული სიყვარული და თაყვანისცემაც შემოუთვლია მწერლისთვის.

აი, ამ თემებზე საუბრობდნენ შეკრებაზე როსტომ ჩხეიძე, ელგუჯა თავბერიძე, მაკა ჯოხაძე, შარლოტა კვანტალიანი, მაია ჯალიაშვილი, რენე კალანდია, გიზო თავაძე, თემურ ნადარეიშვილი, ინგა მილორავა, ლევან ქურციკაშვილი.

**მედიანიუსი**

## კომეტა „ელენინა" დედამიწას 17 ოქტომბერს შუაღამისას ჩაუქროლებს

კომეტა „ელენინა", რომელსაც „სამყაროს დასასრულს" უკავშირებენ, დედამიწას 17 ოქტომბრისთვის მინიმალური დაშორებით ჩაუქროლებს.

მისი ნარჩენები დედამიწას 17 ოქტომბერის შუაღამეს 34,9 მილიონი კილომეტრის დაშორებით ჩაუფრენს. კომეტა ნარჩენებად მზესთან კონტაქტის შედეგად დაიშალა. დედამიწისთვის მისი „ჩაფრენა" ასტრონომებმა, შესაძლოა, ვერ დაინახონ, რადგან კოსმოსური ობიექტი ღრუბლების გროვად გარდაიქმნა, რომლის შემჩნევა დიდი ტელესკოპითაც კი შეუძლებელია.

– კოლეგები კომეტის ძებნისას დიდ სირთულეებს აწყდებიან. შესაძლოა, ის საბოლოოდ გაქრა, – აცხადებს დედამიწასთან მიახლოებული ობიექტების კონტროლის შესახებ ნასას პროგრამის მენეჯერი დონ იემანსი.

კომეტა „ელენინა" რუსმა ასტრონომმა ლეონიდ ელენინმა 2010 წლის დეკემბერში აღმოაჩინა. ამდენად, ეს იყო ბოლო 20 წლის განმავლობაში პირველი „რუსული" კომეტა. მანამდე მსგავს აღმოჩენებს საბჭოთა მეცნიერები აკეთებდნენ. ამ კომეტამ შეთქმულების თეორიის მომხრეთა და 2012 წლისათვის სამყარის დასასრულის წინასწარმეტყველთა თვალში დიდება მოულოდნელად მოიპოვა. ისინი წინასწარმეტყველებდნენ, რომ დედამიწასთან მისი მიახლოება გლობალურ კატასტროფას გამოიწვევდა, რაზეც, თითქოსდა მისი სახელწოდება მეტყველებს. კერძოდ, თითქოსდა „ელე" –- „ეხტინცტიონ ლეველ ევენტ" ყოვლისგამანადგურებელ კატასტროფას, ხოლო „ნინ" „იბირუ ინ Nოვემბერ", ანუ მითიურ პლანეტა „ნიბირუს" ნიშნავს, რომლის დედამიწასთან მიახლოება კატასტროფით უნდა დასრულდეს.

**მედიანიუსი**

# კახა კუკავა: „რუსებს აფხაზების გაღიზიანება არ აწყობთ“

გულიკო ბალაძე

**ერთ თვეზე მეტია, რაც აფხაზეთში რუსეთის მარიონეტი ე.წ. ხელისუფლების ცვლილება მოხდა. ახალ ლიდერზე დიდ იმედებს ამყარებდნენ, მაგრამ ჩანს, რომ მნიშვნელობა არ აქვს, ოკუპირებულ ტერიტორიაზე ვინ იქნება ადმინისტრატორი, რეალურად ვითარებას რუსის ჯარი აკონტროლებს და ამ სივრცეში რუსეთისაგან დამოუკიდებლად რაიმე ახალი პოლიტიკური ვითარების შექმნას ქართულ პოლიტიკურ სპექტრში არ ელოდებიან.**

პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი **კახა კუკავა** ამბობს, რომ აფხაზეთში კონფლიქტის მოგვარება შესაძლებელია საქართველოს ნატოში გაწევრიანებაზე უარის თქმისა და ნეიტრალიტეტის პირობებში, რუსეთსა და საქარველოს შორის პოლიტიკური კომპრომისის მიღწევის შემთხვევაში. საქართველოს ხელისუფლებაში კი ცოტაოდენი შესვენების შემდეგ კვლავ დაიწყო ნატოში შესვლის პერსპექტივაზე საუბარი.

***— ბატონო კახა, ცოტა ხნის წინ სეპარატისტებმა აფხაზეთში ე.წ. არჩევნებით ხელმძღვანელობა შეცვალეს. როგორც ჩანს, ხელმძღვანელობის შეცვლით აფხაზეთში რაიმე ახალი რეალობა არ შეიქმნება. თქვენ თუ ხედავთ ახალი რეალობის შექმნის რაიმე წინაპირობას?***

— არა მგონია, განსაკუთრებული ცვლილებები ბაღაფშის შემდგომ ანქვაბის მოსვლამ გამოიწვიოს. უბრალოდ, კიდევ უფრო გაძლიერდება ის ტენდენცია, რაც იყო — ეს არის დამოუკიდებელი აფხაზეთის რეალური მშენებლობა. ანქვაბი (სხვათა შორის, ბაღაფშიც ასე იყო, მაგრამ ანქვაბი უფრო მეტად) არ არის არც კორუმპირებული ლიდერი, არც, დავუშვათ, ისეთი, როგორი მიუღებელიც არძინბა გახლდათ საერთაშორისო საზოგადოებისთვის. ის არის ძალიან ლიბერალი და ამავე დროს ძალიან მკაცრი ხელის პატრონი, რომელსაც მართლაც შეუძლია აფხაზეთის განვითარება ძალიან სწრაფი ტემპებით. აფხაზეთის განვითარებას აქვს თავისი, როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური მხარეები. პოზიტიური მხარე ის არის, რომ აფხაზეთი ჩვენი ნაწილია და რაც უფრო განვითარდება ეკონომიკურად, კულტურულად, კარგია, ეს ჩვენს ინტერესებში შედის. მეორე მხრივ, უნდა გვესმოდეს, რომ თუ ძალიან დიდი იქნება განსხვავება საქართველოსა და აფხაზეთის განვითარების ტემპებს შორის, ჩვენ უფრო მეტად დავშორდებით აფხაზეთს. საქართველო გახდა ყველაზე ჩამორჩენილი ტერიტორია კავკასიის რეგიონში, ამიტომ ვერ იქნება აფხაზეთისთვის მიმზიდველი თუ ანქვაბმა შეძლო და თავი დააღწია, როგორც მინიმუმ, ეკონომიკურ იზოლაციას.

***— ანქვაბის შესახებ ბევრი მოვისმინეთ მას შემდეგ, რაც ის გახდა აფხაზეთის სეპარატისტული ე.წ. ხელისუფლების პირველი პირი. ბევრი ქართველი იცნობს მას, იმდენად, რამდენადაც ის საქართველოს შს მინისტრის მოადგილეც ყოფილა.***

— ის ძლიან ლოიალურია ქართველების მიმართ...

***— ეს ფრაზაც მოვისმინეთ მისი „გაპრეზიდენტების“ შემდეგ. საშიშროება ხომ არ არის, რომ რაღაცნაირად კიტოვანს დავემსგავსოთ. თუ ანქვაბი მართლაც ლოიალურია ქართველების მიმართ, ჩვენი ქებით დათვურ სამსახურს ხომ არ გავუწევთ? ან მისი ლოიალობა რაში გამოიხატება?***

— ჩვენ არჩევნებამდე არც ერთი განცხადება არ გაგვიკეთებია, სააკაშვილივით არ გამოვარდნილვართ ტელევიზიით და არ გვითქვამს, არიქა, ქართველებო, ხმა მიეცით ანქვაბსო. ანქვაბზე ხელისუფლების გადაცემის შემდეგ, ჩვენ გავაკეთეთ მოზომილი განცხადება. აზრი გამოვთქვით მაშინ, როდესაც პროცესი დასრულებული იყო. გეთანხმებით, რომ მომავალშიც სერიოზული სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ ამ თემასთან დაკავშირებით, რათა ჩვენი ზედმეტად აქტიური განცხადებებით ანქვაბს ხელი არ შევუშალოთ. ანტირუსული განწყობის არ არის არც ანქვაბი და არც რომელიმე აფხაზი პოლიტიკოსი. ისინი რუსეთის მიმართ ლოიალურები არიან, მაგრამ ფაქტია, რომ აფზაზეთში არჩევნებს კრემლი ვერ აკონტროლებს. ალბათ, გახსოვთ, ხაჯინბას მხარდასაჭერად ეკონომიკური სანქციებიც დაუწესეს აფხაზეთს, მანდარინის რიგები იყო ფსოუზე, ჩვენი თვალით დავინახეთ, რომ კრემლს ხაჯინბა უნდოდა, მაგრამ გაიმარჯვა ბაღაფშმა. ახლა უნდოდა შამბა, გაიმარჯვა — ანქვაბმა. მოსკოვშიც კარგად ხედავენ, რომ პატივი უნდა სცენ აფხაზი ერის არჩევანს. რაც მთავარია, თვითონ აფხაზებმა ასე გადაწყვიტეს. მოგვწონს ეს ხალხი თუ არა, მეგობრად თვლიან თუ მტრად, ამის მიუხედავად აფხაზებმა შექმნეს ძლიერი დემოკრატიული ინსტიტუტი, რომელსაც ყველა ანგარიშს უწევს. საქართველოშიც რომ შევთანხმებულიყავით და ჩაგვეტარებინა დემოკრატიული არჩევნები, გარწმუნებთ, ვერც ამერიკა და ვერც რუსეთი ქართველი ხალხის არჩევანში ვერ ჩაერეოდა, მაგრამ საქართველოში ახლაც და 90-იანი წლების დასაწყისშიც მოინახნენ საკმაო რაოდენობის პოლიტიკოსები, რომლებიც ბედის საძიებლად სხვადასხვა ქვეყნებში დარბიან და ამბობენ (ადრე მოსკოვში დარბოდნენ, ახლა ვაშინგტონში დარბიან), სამშობლოსაც გავყიდი, სინდისსაც გავყიდი, სხეულსაც გავყიდი, ოღონდ ჩამაბარე ხელისუფლება ან ხელისუფლების ნაწილიო. ასე გააკეთა პოლიტიკოსების გავლენიანმა ნაწილმა.


კახა კუკავა

***— სადამდე შეიძლება გაგრძელდეს რუსის ჯარის დგომა საქართველოს ამ ტერიტორიაზე?***

— რუსეთის ჯარი აფხაზეთში მანამდე იდგება, სანამ რუსეთი და საქართველო არ მიაღწევენ პოლიტიკურ კომპრომისს. რუსეთის ჯარი დგას რეალურად არა აფხაზეთში ამ ტერიტორიის გასაკოტროლებლად (აფხაზეთის გაკონტროლება რუსეთს არაფერში სჭირდება), არამედ ჯარი დგას საქართველოს ტერიტორიაზე, რათა ვიცოდეთ, თუ საქართველოს რომელიმე მთავრობა მომავალში ან ახლა გააგრძელებს ნატოში ინტეგრაციის პოლიტიკას, ამ გეგმის განხორციელების პერსპექტივა არ არსებობს. მოგეხსენებათ, ხელისუფლებამ ნატოში შესვლაზე საუბარი კვლავ დაიწყო. ნატოში შევა თბილისი, ქუთაისი და ბათუმი, მაგრამ მთლიანად საქართველო ნატოში ვერ შევა. ეს არის პოლიტიკური მოცემულობა. ამიტომ არჩევანი ქართველმა საზოგადოებამ უნდა გააკეთოს. ან ერთიანი საქართველო იქნება ნეიტრალური, ან საქართველოს ერთ ნაწილში იქნება რუსის ჯარი, მეორე ნაწილში — ამერიკის ჯარი, მესამე ნაწილში — თურქეთის ჯარი. საქართველოს მთავრობა და მისი სატელიტი პარტიები მხარს მეორე ვარიანტს უჭერენ. პარტია „თავისუფალი საქართველო კი ძალიან ღიად, ნათლად და აშკარად ამბობს, ჩვენ ვართ მომხრე საქართველოს ტერიტორიების გაერთიანებისა, საქართველოს ნეიტრალიტეტის ფასად.

***— თვითონ აფხაზეთში ადამიანური და სამხედრო ფაქტორი როგორ ეთავსება ერთმანეთს? რუსეთის იქ დგომა და მათი „დამოუკიდებლობა“, როდემდე და რამდენად შეიძლება შეეთავსოს ერთმანეთს?***

— ჯარის დგომა თავისთავად არ ნიშნავს დამოუკიდებლობის მოსპობას. ევროპის კონტინენტის ძალიან დიდ ნაწილზე ამერიკის ჯარებია განლაგებული, მაგრამ ალბათ არ იქნება სერიოზული, ვთქვათ, რომ იტალია, გერმანია, ან ესპანეთი დამოუკიდებელი ქვეყნები არ არიან. საერთაშორისო პრაქტიკაში ეს მიღებული ფორმაა. მით უფრო, რომ განსაკუთრებული კონტინგენტი აფხაზეთში განთავსებული არ არის.

***— რუსული ბაზების აფხაზეთში ყოფნა არ გამოიწვევს საქართველოს ამ ნაწილის რუსეთთან სრულ შერწყმას?***

— აფხაზ ერს უფრო მძაფრად აქვს დამოუკიდებლობის და ცნობადობის გრძნობა, ვიდრე ქართველ ერს. იქ სომხური ლობი ისევე ძლიერია, როგორც თბილისში. აფხაზები ბევრად უფრო მეტ წინააღმდეგობას უწევენ სომხურ ლობს, ვიდრე თბილისში შეგვძლია სომხური ლობისთვის წინააღმდეგობის გაწევა. გარწმუნებთ, გარეგინ მეორე რომ ჩავიდეს სოხუმში, ნამდვილად არ დახვდებიან ისეთი ლაქუცით, როგორიც მას ჰქონდა თბილისში. საქართველოსაგან განსხვავებით, აფხაზეთს ძალიან კარგად აქვს გაცნობიერებული თავისი თვითმყოფადობის შენარჩუნების პრიორიტეტი. ჩართეთ აფხაზური ტელევიზია და ნახავთ, რომ იქ გადაცემები ინგლისური ტიტრებით არ მიდის.

***— ვფიქრობ, აფხაზეთს ჩემზე კარგად უნდა იცნობდეთ...***

— საკმაოდ ვიცნობ...

***— აფხაზებმა რაღაც მოტივებით რუსეთისაგან თავის დახსნა რომ მოინდომონ, რამდენად გამოუვათ და რამდენად შეძებენ ამას?***

— რუსეთისაგან თავის დახსნა არავის გამოუვიდა. ახლა ვინმემ რუსეთთან კომფრონტაციის გზით ურთიერთობის გარკვევა რომ დაიწყოს, ეს ძალიან საშიში თამაში იქნება. ამ მხრივ არაფერი პრობლემა არ არის. საქართველოს აქვს პრობლემა, თორემ საიდან მოიტანეთ, რომ აფხაზებს რამენაირად რუსეთისაგან თავი აქვთ დასახსნელი?

***— ბატონო კახა, ძალიან ხშირად მესმის, რომ აფხაზი ერი ნადგურდება, მათ გაქრობის საფრთხე ელით და ა.შ.***

— კიდევ ერთხელ გეუბნებით, მოსკოვშიც ხშირად დავდივარ და აფხაზეთის შესახებაც ბევრს ვკითხულობ. რეალურად, პრობლემა ისაა, რომ აფხაზები აპარტეიდის პოლიტიკას ატარებენ არა მარტო ქართველების, არამედ რუსების მიმართაც. გახსოვთ ცნობილი სკანდალი, რომელიც რამდენიმე თვის წინ იყო, როდესაც აფხაზებმა უარი თქვეს რუსეთის მოქალაქეების ქონების ლეგალიზაციაზე აფხაზეთის ტერიტორიაზე. თუ იქ რაიმე წინააღმდეგობა არსებობს (რეალურად წინალმდეგობა ნამდვილად არსებობს) რუსეთისა და აფხაზეთის ინტერესებს შორის, ეს რუსების სასარგებლოდ კი არ წყდება, არამედ აფხაზების სასარგებლოდ.

***— ამას აფხაზები როგორ ახერხებენ?***

— ძალიან კარგად ახერხებენ. აფხაზებს ჰყავთ ძალიან ძლიერი პოლიტიკური ხელმძღვანელობა. მათი პრეზიდენტი არის პრაგმატული ადამიანი, განსხვავებით ჩვენი პრეზიდენტისაგან. არის ასეთი კონტექსტი — აფხაზეთი არის ბერკეტი, რომლითაც რუსეთმა ზეწოლა უნდა მოახდინოს საქართველოზე. თუკი რუსეთი დაიწყებს კონფლიქტს აფხაზებთან ორმხრივ ურთიერთობებში არსებული პრობლემების გამო, აფხაზები ეტყვიან, არ გინდათ ურთიერთობების მოგვარება, მაშინ დაველაპარაკებით ქართველებს, დაველაპარაკებით ევროპელებს, ამერიკელებს. ამიტომ რუსები პრაგმატულ გადაწყვეტილებებს ღებულობენ.

# რატომ ავიწყდებათ ნაციონალებს ივანიშვილის ფრანგული კავშირები

თეა მარხვაიძე

ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში წასვლის სურვილს მსოფლიო მედიაც აქტიურად აშუქებს. მშობლიური მედიაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. თემამ დიდი დაინტერესება ჰპოვა რუსეთშიც. ივანიშვილის გადაწყვეტილებას ავტორიტეტული გამოცემებიც აქტიურად ეხმიანებიან.

ბიზნესმენის გადაწყვეტილებას სტატია მიუძღვნა ცნობილმა გამოცემამ „ეკონომისტი.“ სტატიას ასეთი სათაური აქვს „თბილისის გრაფიი მონტე კრისტო.“ დიუმას პერსონაჟს ბიზნესმენი საქართველოს პრეზიდენტმა შეადარა.

გამოცემა ბიზნესმენზე დაყრდნობით წერს, რომ სააკაშვილი პუტინს მიბაძავს და საკუთარ თავს პრემიერად დანიშნავს.

— ივანიშვილი ამტკიცებს, რომ პრეზიდენტმა ხელისუფლების ტოტალური მონოპოლიზება მოახდინა, განამტკიცა რა ის მორჩილი „ფსევდოოპოზიციითა“ და მედიის კონტროლით. იგი აცხადებს, რომ ბ-ნი სააკაშვილი საქართველოს კერძო ბიზნესს საგადასახადო სისტემითა და სასამართლოთი აკონტროლებს. ივანიშვილი ამბობს, რომ საკუთარი თანამოქალაქეების გადასარჩენად ის პოლიტიკაში შემოდის. ეს მოულოდნელი სვლაა. ბ-ნი ივანიშვილი, რომელმაც მილიარდები რუსეთში 1990-იან წლებში დააგროვა, საჯარო ცხოვრებას ყოველთვის გაურბოდა. მან საქართველოში რამდენიმე პროექტი დააფინანსა, მათ შორის გრანდიოზული მართლმადიდებლური ტაძარი თბილისში (დედაქალაქი), ასევე თეატრები, ნაციონალური პარკები და სამედიცინო კლინიკები. მან გარდაქმნა თავისი მშობლიური სოფელი ქვეყნის დასავლეთში. თუმცა, ამის მიუხედავად, როგორც ამას შარშან ჟურნალ P„როსპექტში“ გამოქვეყნებული მისი პორტრეტი ცხადყოფს, ის დღემდე გამოცანად რჩება მისი თანამოქალაქე ქართველებისთვის, რომ აღარაფერი ვთქვათ უცხო ადამიანებზე, — წერს გამოცემა.

სტატიის ავტორი საქართველოს პრეზიდენტის შეფასებას იმეორებს. წერს, რომ

სააკაშვილმა ივანიშვილი ალექსანდრე დიუმას გამოგონილ პერსონაჟ გრაფ მონტე კრისტოს შეადარა, მაგრამ პარალელი, როგორც ჩანს, ნაკლებად ადეკვატური ხდება. ივანიშვილს შურისძიებაზე მეტად თითქოს იმედგაცრუება ამოძრავებს. მეტიც, გამოგონილმა პერსონაჟმა მტრების დევნაში უზარმაზარი ცბიერება გამოავლინა. ივანიშვილის განზრახვაში კი, ამხილოს საქართველოს ტრაგედია, ფარსის ელემენტებია.


ბიძინა ივანიშვილი

— აიღეთ მისი ორი ღია წერილი, რომლებიც 7 და 12 ოქტომბერს გამოქვეყნდა. დასაწყისში სააკაშვილზე თავდასხმამ პრესის სათაურები მოიცვა. თუმცა, ორივე დოკუმენტი ვრცელი, ქაოტური და ექსცენტრულია. მეორეში, ბ-ნი ივანიშვილი იმ პოლიტიკოსებს და ჟურნალისტებს ასახელებს, რომლებთანაც ის არ ითანამშრომლებს; რამდენიმე წლის წინანდელი პრივატული საუბრების განხილვისას ის გადადგომისკენ მოუწოდებს ასევე შინაგან საქმეთა მინისტრ ვანო მერაბიშვილს. უცნაური გზაა პოლიტიკური კამპანიის დაწყებისთვის, — ვკითხულობთ წერილში.

გამოცემა ივანიშვილის მოქალაქეობის საკითხსაც ეხება. ბიზნესმენს სააკაშვილმა უკვე შეუჩერა საქართველოს მოქალაქეობა.

— ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობა მთავრობამ სამშაბათს გაუუქმა, რითაც მას საქართველოში პოლიტიკური პარტიის შექმნა აეკრძალა. სამართლებრივად მთავრობა დაცულია. თავის პირველ წერილში ბ-ნმა ივანიშვილმა თავად განაცხადა, რომ საფრანგეთის და რუსეთის მოქალაქეცაა. ქართული კანონმდებლობის თანახმად, საქართველოს მოქალაქეს სხვა ქვეყნის მოქალაქეობის უფლება არ აქვს; თუკი შენ სხვა ქვეყნის მოქალაქეობას იღებ, საქართველოს მოქალაქეობას ავტომატურად კარგავ. თუკი თქვენ მისი აღდგენა გსურთ, მაშინ ოფიციალური წერილით პრეზიდენტს მიმართავთ. ივანიშვილმა ხელისუფლების წისქვილზე დაასხა წყალი. დროს, რომელიც მისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევისთვის შეირჩა, მეტისმეტი უბადრუკობის ელფერი დაჰკრავს. თუმცა ივანიშვილმა ეს მხოლოდ თავის თავს (და თავის მრჩევლებს) უნდა დააბრალოს, — წერს გამოცემა.

სტატიის ავტორი ნაციონალების გაკეთებულ შეფასებებზე ამახვილებს ყურადღებას. მმართველი გუნდი გამუდმებით გაიძახის, რომ ის რუსეთის მარიონეტია. ამ დროს ყველას ავიწყდება, რომ ის საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდა საფრანგეთში და იქაც დიდი კავშირები აქვს.

— ივანიშვილის ფრანგული კავშირები არავის შეუსწავლია. ის ახლოსაა საფრანგეთის ელჩთან საქართველოში (რომელსაც მალე ვადა ეწურება) და თბილისში თანამედროვე ფრანგული სკოლა ააშენა, — წერს ეკონომისტი.

წინა კვირაში საქართველოს პრეზიდენტმა ერიკ ფურნიე ბრწყინვალების ორდენით დააჯილდოვა. მას ეს ჯილდო თუნდაც იმის გამო ეკუთვნის, რომ ის აგვისტოს ომის დროს ძალიან მამაცურად მოიქცა.

ელჩი აგვისტოს ომის დროს საჩხერეში იმყოფებოდა. საჩხერე კი კონფლიქტის ზონასთან ძალიან ახლოს არის.

საჩხერეში არსებობს სამთო ბატალიონის სამხედრო ბაზა, რომელიც შესანიშნავად არის გაკეთებული. ამ ბაზის აშენებაში დიდი წვლილი მიუძღვის ივანიშვილს. ისე, როგორც ამბობენ, შევარდნაძის დროს საჩხერის ბატალიონს მთლიანად ივანიშვილი აფინანსებდაო.

რუსებს საჩხერის ბაზის განადგურებაც სურდათ. აქაც ალბათ იგივეს გააკეთებდნენ, რაც გორში და სენაკში ჩაიდინეს, მაგრამ საქმეში ფურნიე ჩაერია და რუსები საჩხერეში აღარ შესულან.

ამ ომის შემდეგ საქართველოს ხელისუფლებას საფრანგეთის მიმართ სიმპათიები გაუათმაგდა, შარშანდელ ინციდენტს თუ არ მივიღებთ მხედველობაში.

საფრანგეთმა რუსეთს მისტრალი მიჰყიდა. ამის გამო ჩვენმა პრეზიდენტმა მას კორუმპირებული ეძახა. თან ჩუმად კი არა, საჯაროდ.

7 ოქტომბერს კი სარკოზის ისე შეხვდა, როგორც გმირს. კარგად გახსოვთ, მის დასახვედრად მთელი საქართველო თბილისში რომ ჩამოიყვანეს.

— საფრანგეთის და საქართველოს ურთიერთობებში დათბობაა. გასულ კვირას, თბილისში ვიზიტის დროს, საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ რუსეთი გააკიცხა იმისთვის, რომ საქართველოსთან 2008 წლის სამშვიდობო გეგმის პირობებს არ იცავს, რომელიც მისი შუამდგომლობით გაფორმდა. „საფრანგეთი ამ ფაქტს არ შეეგუება“, — განუცხადა მან აღფრთოვანებულ მასებს. ბ-ნმა სააკაშვილმა განაცხადა, რომ ისტორიული ვიზიტი ხელს შეუწყობს საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანებას, — წერს გამოცემა.

იმავე ვიზიტისას სააკაშვილმა ამაყად თქვა, რომ საფრანგეთმა საქართველო იშვილა. ამის მიუხედავად, სააკაშვილს სარკოზი აეროპორტში არ გაუცილებია. ისე, ბოროტი ხმები ამბობენ, რომ ივანიშვილმა თავისი განცხადება საგანგებოდ დაამთხვია 7 ოქტომბერს. მისი პირველი განცხადება ამ დღეს გავრცელდა. ნიკოლა სარკოზიც ამ დღეს სტუმრობდა საქართველოს.

გამოცემა „ეკონიმისტი“ ბადრი პატარკაციშვილსაც იხსენებს, რომელიც საკაშვილს 2007 წლის შემოდგომაზე დაუპირისპირდა მწვავედ.

— ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც მდიდარი ქართველი სააკაშვილს გამოწვევას უგზავნის. 2008 წელს ბადრი პატარკაციშვილმა პრეზიდენტად საკუთარი კანდიდატურის დაყენებით სააკაშვილზე ანალოგიური შეტევა მიიტანა. ლოზუნგით „საქართველო სააკაშვილის გარეშე არის საქართველო ტერორის გარეშე“ მან ხმების მხოლოდ 7,1 % მოიპოვა, — იხსენებს გამოცემა.

ივანიშვილთან დაკავშირებით კიდევ ბევრი რამ დაიწერა უცხოურ მედიაში. და მომავალშიც ბევრი რამ დაიწერება.

# რობერტ სტურუა მოსკოვშია

ეკა ირემაშვილი

ქართველი რეჟისორი რობერტ სტურუა მოსკოვშია. იგი უკვე ოფიციალურად შეუდგა თეატრში „ეტ სეტერა“ მიწვეული რეჟისორის თანამდებობაზე მუშაობას. ამის შესახებ ინფორმაცია რეჟისორმა „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე გაავრცელა.

– თეატრ „ეტ სეტერას“ მოწვეული მთავარი რეჟისორი გახლავართ. არ დაიწყოთ კამათი, მეც ადამიანი ვარ, მეც მჭირდება ხელფასი, ოჯახი რომ ვარჩინო, – წერს რეჟისორი სოციალურ გვერდში.

აქვე რეჟისორი განმარტავს, რომ ის საქართველოს დატოვებას არ აპირებს.

– საქართველოს დატოვებას არ ვაპირებ, ეს ჩემი სამშობლოა და არა მარტო პრეზიდენტის. რაც შეეხება ჩემს თეატრში სპექტაკლების დადგმას, მათ არ დავდგამდი, რომც მივეწვიე, სხვაგან კი შესაძლებელია. თბილისში ჩემს მხარდასაჭერად გამოსვლა მოეწყო, 5 ათასი ადამიანი შეიკრიბა. მათ რუსთაველის გამზირი გადაკეტეს, ჩემი ფიტული დადგეს. ეს არის თეატრისადმი სიყვარულის უცნაური გამოვლინება. მე საქართველოს არ დავტოვებ, – განმარტავს რეჟისორი.

რობერტ სტურუა 14 ოქტომბრიდან თეატრ ეტ სეტერაში“ მიწვეული მთავარი რეჟისორის თანამდებობაზე მუშაობას ოფიციალურად შეუდგა. რუსთაველის თეატრის ყოფილი სამხატვრო ხელმძღვანელი კალიაგინის თეატრში სპექტაკლების დადგმას 2012 წლის იანვრიდან დაიწყებს.

რობერტ სტურუა „ფეისბუქის“ გვერდზე აცხადებს, რომ 20 ოქტომბერს თბილისში დაბრუნდება, რადგან 21 და 22 ოქტომბერს რუსთაველის თეატრში სპექტაკლი „ნადირობის სეზონი“ დაინიშნა. ხოლო ნოემბერში რეჟისორი უკვე ლონდონში გაემგზავრება.

– ნოემბერში ლონდონში მივდივარ, დადგმაზე უნდა მოვილაპარაკოთ, მანამდე კი რუსთაველის თეატრში „ნადირობის სეზონია“, მობრძანდით, – წერს მაესტრო.

რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელობიდან მოხსნის შემდეგ, რეჟისორმა არაერთი შეთავაზება მიიღო. მას იწვევდნენ როგორც ტაგანკის თეატრში, ასევე ლონდონის სამეფო თეატრში და კალიაგინის თეატრში „ეტ სეტერა“. რეჟისორისთვის ყველაზე მისაღები სწორედ კალიაგინის შეთავაზება აღმოჩნდა და მან რუსი მსახიობის წინადადება მიიღო. რეჟისორი

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# „მიმინოს“ გმირებს ძეგლი დაუდგეს



დასაწყისი მე-12 გვერდზე

ხაჩიკიანისა და ვალიკო მიზანდარის ძეგლები ყვავილებით შეამკო.

ძეგლის თბილისურ გახსნას ქანდაკების ავტორი ზურაბ წერეთელი, თბილისის მერიის წარმომადგენლები, პარლამენტარები, ქართველი მსახიობები და ამ ფილმის გულშემატკივრები დაესწრნენ. შეფუთული ძეგლები საქართველოს პირველმა ლედიმ სანდრა რულოვსმა, თავად ავტორმა ზურაბ წერეთელმა და ბუბა კიკაბიძემ გახსნეს. ეს არის უკვე მესამე ძეგლი საქართველოში, რომელიც კინოგმირებს დაუდგეს. უკვე არსებობს ,,ჯარისკაცის მამა“ კახეთში და ,,პიკასოს ბიჭები“ ქუთაისში.

„მიმინოს“ კინოგმირების შეფასების შემდეგ კი ზურაბ წერეთელმა ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის ქანდაკებაც დაათვალიერა. ქართველი მხატვარი და მოქანდაკე აღმაშენებლის გამზირზე რუსეთიდან ჩამოსული კოლეგებისა და მეგობრების თანდასწრებით იმყოფებოდა. ჯანსულ კახიძის ბაღის შესასვლელთან განთავსებული სკულპტურა, „მიმინოს“ ძეგლის მსგავსად, ზურაბ წერეთელმა ქალაქს საჩუქრად გადასცა. ეს ქანდაკება ჯერ კიდევ 2007 წელს შეიქმნა. მაშინ ქანდაკება მოსკოვში უნდა დადგმულიყო, თუმცა, მისთვის იქ ადგილი არ გამოიძებნა.

მიუხედავად იმისა, რომ გია დანელიამ ბუბა კიკაბიძე ჯერ ფილმში „არ იდარდო“ გადაიღო, „მიმინო“ მომღერლისა და მსახიობისთვის საეტაპო აღმოჩნდა. ვალიკო მიზანდარის პერსონაჟი ყველა თაობის მაყურებელმა გულწრფელად შეიყვარა.

„მიმინოს“ გმირების გახსნისას კი ზურაბ წერეთელმა განაცხადა, რომ ამ ძეგლებს მალე მეხუთე პერსონაჟიც დაემატება, თუმცა წინასწარ ამ პერსონაჟის დასახელებისგან თავი შეიკავა.

„მიმინოს“ ძეგლების გახსნის შემდეგ, მათთან ერთად თბილისელები და ჩვენი ქალაქის სტუმრები დიდხანს იღებდნენ ფოტოებს. ძეგლების ოფიციალურად გახნის შემდეგ კი ბუბა კიკაბიძემ ქართველი საზოგადოება დიდ საკონცერტო დარბაზში მიიწვია, სადაც ქართული და რუსული სიმღერები შეასრულა. რეპერტუარში, რა თქმა უნდა, იყო „მიმინოს“ სავიზიტო ბარათი „ჩიტო გვრიტოც“. ეს კონცერტი ბუბუა კიკაბიძემ თბილისელებს საჩუქრად უძღვნა. სომხეთის დელეგაციაში იმყოფებოდა დილიჟანის მერი, რომელმაც კონცერტის მსვლელობისას ბუბა კიკაბიძეს დილიჟანის საპატიო მოქალაქეობა მიანიჭა.

როგორც ბუბა კიკაბიძის პროდიუსერმა სოსო აბზიანიძემ განაცხადა, 19 ოქტომბრიდან მომღერალი უკვე ევროპულ ტურნეს იწყვებს. პირველი კონცერტი მას ჩეხეთში აქვს. შემდეგ კი კონცერტები პარიზში, იტალიაში, საბერძნეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებშია დაგეგმილი.

**ზურაბ წერეთელი, „მიმინოს“ ძეგლების ავტორი:**

– გია დანელიამ ეს ხელოვნება ხალხისთვის შეიქმნა და არ კვდება, ამას უნდა დაფასება. მიხარია, რომ ხალხს მოსწონს. ახლა მეხუთე პერსონაჟი უნდა დავუმატო, ოღონდ ჯერ არ გეტყვით, ვინ. როდესაც გახსნაზე საზოგადოებას ვკითხე, ბუბა ჰგავს ბუბას? ტაში იყო, ე.ი. ჰგავს ბუბა კიკაბიძეს. ამიტომ, თუ კარგ სიზმარს ნახავთ და მერე მეტყვით, რა გავაკეთო, მე მზად ვარ, გავაკეთო კარგი სიზმარი. მიხარია, რომ ხალხს მოსწონს და უყვარს გია დანელიას კინოფილმის ეს გმირები. მათ მიაღწიეს იმხელა პოპულარობას, რომელიც კიედვ საუკუნეებს გაუძლებს. საოცარია, რომ ეს გმირები ყველა თაობის მაყურებელმა შეიყვარა. გამონაკლისი არც მე ვარ, მეც შემიყვარდა ეს პერსონაჟები და ისინი ქვაში გავაცოცხლე. ისინი ყველაზე ძვირფას ლითონში, ბრინჯაოში ჩამოვასხი. ეს კი იმის გარანტია, რომ ეს ძეგლები ჩვენ შემდეგ კიედვ ბევრ თაობას გაუძლებს. ამ ძეგლებში ავსახე ის ნიჭიერი ხალხი, ვინც ამ ფილმშია გადაღებული. გია დანელიამ შექმნა უძლიერესი ფილმი. ნიჭიერი ხელოვნება კი არ კვდება. ეს ფილმი კიდევ დიდხანს იქნება აქტიური და ბევრი ადამიანი ნახავს. ამ ფილმის გმირებს სჭირდებოდათ დაფასება, ჩემი შესაძლებლობებით კი მე ისინი ბრინჯაოში ჩამოსხმით დავაფასე.

**ბუბა კიკაბიძე, მომღერალი და მსახიობი:**

– ამ ძეგლის ადგილი ზუსტად ავლაბარშია. ძალიან მნიშვნელოვანია ეს ქანდაკებები ჩემთვის, ძალიან მომწონს, ზუსტად არის შერჩეული ადგილი. ის ნამდვილად ავლაბარში უნდა იდგეს. დიდი მადლობა ყველას, მიხარია, ამდენი ხალხი რომ მოვიდა. ყველა მიყვარს. საუბედუროდ, აღარც ლეონოვია ცოცხალი და აღარც ფრუნზიკა. როგორც ჩანს, ჩვენი წასვლის სეზონი დაიწყო. ღმერთმა სიკეთე მოგცეთ და სულ ბედნიერები ყოფილიყავით.

**სანდრა რულოვსი, საქართველოს პირველი ლედი:**

– ძალიან კარგი ქანდაკებებია. ბედნიერი ვარ, რომ მათი ოფიციალურად გახსნის პატივი სწორედ მე მერგო. მეც მიყვარს კინოფილმი „მიმინო“, თავისი გულწრფელობით და იუმორით. ავლაბარი ნამდვილად კარგი ადგილია ამ ძეგლის დასადგმელად, რომელიც ქართველი და სომეხი ხალხის სიმბოლოს წარმოადგენს.

**ზაალ სამადაშვილი, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე:**

– ამ ძეგლთან უკვე ხალხმრავლობაა, რაც ჩემთვის ერთგვარი სტიმულია. მოდიან, იღებენ სურათებს, აფასებენ ნამუშევარს, ეს კარგია. მომწონს ისიც, რომ ეს ძეგლი გზასთან ახლოს მდებარეობს. ისეთი გმირები არიან გამოქანდაკებული, მათი შემხედვარე ყოველთვის კარგ ახსიათზე დადგები. ადამინები ხან ცუდ ხასიათზე გავდივართ სახლიდან, ხან დაღლილები ვბრუნდებით შინ. მგონია, ამ ძეგლს რომ შეხედავ, როგორ ცუდ ხასიათზეც არ უნდა იყო და როგორი დაღლილიც არ უნდა ბრუნდებოდე შინ, აუცილებლად გაგეღიმება.

პ.ს. თბილისში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ზურაბ წერეთელი ჩვენს ქვეყანას კიდევ ერთ საჩუქარს უმზადებს – თბილისში საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ძეგლი უნდა დაიდგას. ზურაბ წერეთელმა საქართველოს პატრიარქის 2.8 მეტრიანი ბრინჯაოს ქანდაკება 2003 წელს შექმნა. იმავე წელს მან რუსეთის იმჟამინდელი პატრიარქის, აწ გარდაცვლილი ალექსი მეორეს ბრინჯაოს ძეგლიც შექმნა, რომელიც ასევე 2.8 მეტრი სიმაღლისაა და ამჟამად მოსკოვის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმშია დაცული.

ამ საკითხთან დაკავშირებით, ოფიციალური განმარტება გააკეთა პატრიარქის მდივანმა მამა მიქაელ ბოტკოველმა, რომელმაც განაცხადა:

– სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე მისი ძეგლის დადგმას არ დათანხმდება. ასეთი ძეგლის დადგმის შეთავაზება პატრიარქისადმი არც ყოფილა.

საპატრიარქოსთვის უცნობია, სად არის ამჟამად ზურაბ წერეთლის მიერ შექმნილი ქანდაკება და საერთოდ ჩამოიტანეს თუ არა ის თბილისში. რუსულ მედიაში გავრცელებული ინფორმაციით კი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქანდაკება, რომელიც მოსკოვში მოღვაწე ცნობილმა ქართველმა მოქანდაკემ ზურაბ წერეთელმა შექმნა, უკვე თბილისშია, თუმცა მის დადგმაზე ქართულმა მხარემ უარი განაცხადა. თბილისის მერიის პრესსამსახურსა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში განმარტავენ, რომ ილია მეორის ძეგლის ჩამოტანის შესახებ ისინი ინფორმაციას არ ფლობენ.

თავად ზურაბ წერეთელი კი აცხადებს, რომ „საქართველოში პატრიარქის ქანდაკების დადგმის საკითხზე მლაპარაკებები მიმდინარეობს. ჯერ არ ვიცი, ძეგლი სად და როდის დამონტაჟდება, მაგრამ ეს მალე მოხდება. ილია მეორის ქანდაკება ბრინჯაოსია და ის თითქმის სამმეტრიანია.



## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.




**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი. ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი ილუმენია ანა (მუსელიანი)

## SMS-განცხადებები – 3090

● იყიდება ავერლოკი ტოიოტა, უხმარი, ოთხძაფიანი, ფასი - 539 ლარი. გერმანული საკერავი მანქანა, უხმარი, 21 ოპერაცია, ფასი - 419 ლარი. ტელ.: 790-75-45-78; 571-75-45-77: 557-59-97-54. ზურა.

● ვყიდი მუხრან-თელეთში 275 კვ.მ. საცხოვრებელი სახლის თეთრ კარკასს, მონტერეის გადახურვით, საკუთარი წყლით, ბუნებრივი აირით, 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთით, თბილისიდან 20 კმ-ში. შესაძლებელია განვადება. ტელ.: 790-55-58-62; 577-42-41-22. გიორგი.

## განცხადებები

● მაღალკვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლები მოამზადებენ აბიტურიენტებს, მაგისტრანტებსა და მოსწავლეებს ეროვნული და საატესტატო გამოცდებისთვის ყველა საგანში, ოთხი საგანი 160 ლარი. ტელ: 239-08-42; 599-48-39-13.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 3-5 სმ-ის მომატებით. მცენარეული ვიტამინების, მინერალების და ამინომჟავების კომპლექტი პლუს ვარჯიშები, 100%-იანი შედეგით, უკუჩვენების გარეშე. ტელ: 257-66-90 (საღამოს); 593-44-58-65 ექიმი ქ-ნი დეა.

● მკურნალობა უმაღლესი შედეგებით: ოსტეოქონდროზი, სმენისა და მხედველობის დაქვეითება, თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, უძილობა, კუჭ-ნაწლავის დაავადებები, რადიკულიტი, ჰეპატიტი, სახსრების დაავადება, კიდურებში სიცივე და დაბუჟება, მასტიტი, ნეფრიტი, შარდსასქესო სისტემის დაავადებები, პროსტატიტი, ნეიროდერმიტი და სხვა. ტელ: 595 45 50 35; 599 97 85 46 ბ-ნი ლევანი.

● ლომთათიძე — პოლიკნიკის დირექტორი მკურნალობს: ფრჩხილების სოკოს, კანის დაავადებებს, ფურუნკულს, ტროპიკულ წყლულს, თმის ცვენას, ბუასილს უოპერაციოდ, ეგზემას, ფსორიაზს, მარილების დაგროვებას, პროსტატიტს, A,B,C ჰეპატიტს, მეჭეჭებს, პაპილომებს, ხორცმეტებს, ფეხების ოფლიანობას, თვალების გარშემო ცხიმგროვას. მის: აღმაშენებლის №93, ტელ: 2-96-38-27; 893-39-04-87 ირინა. კონსულტაცია უფასოა.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

# სუპერთასის რეპეტიცია ზესტაფონმა მოიგო

### ვიტ ჯორჯია – კოლხეთი 2:1

მცხეთა. მცხეთა პარკი

*0:1 დათუნაიშვილი (32), 1:1 ლემონჯავა (34ს.კ), 2:1 ჯანელიძე (41)*

**ვიტ ჯორჯია:** ძაძამია, დ.ხურცილავა, ადამაძე, კასრაძე, ლანიაშვილი, ვასაძე (გიორგი გურეშიძე, 56), კორიფაძე (გ.ვაშაკიძე 61), გ.ჯანელიძე, ზაქრაძე (ოთარიშვილი 84), გურამ გურეშიძე, ბ.ჩიმაკაძე

**კოლხეთი:** ბობღიაშვილი, გ.კილასონია, ლომაშვილი, ინწკირველი, ლემონჯავა, გვალია, პ.დათუნაიშვილი (შავგულიძე 73), ქებაძე, წიქარიშვილი (ციცხვაია 58), მდივნიშვილი, გოგონაია (ჯანაშია 46)

მატჩის საწყისი ნახევარი საათი ძალიან უინტერესო გამოდგა. თუმცა, პირველი ტაიმის ბოლო 15 წუთი უხვგოლიანობით გამოირჩა.

ანგარიში სტუმრებმა გახსნეს – 32-ე წუთზე, ფოთელთა კონტრშეტევისას, მარჯვენა ფლანგიდან გიორგი კილასონიას ჩამოწოდების მერე, ლაშა ქებაძემ თავით სახიფათოდ დაარტყა – გიორგი ძაძამიამ ბურთი კუთხურზე გადააგდო, რომლის ჩამოწოდების შემდეგ თბილისელთა საჯარიმოში შექმნილი არეულობით, პავლე დათუნაშვილმა კარგად ისარგებლა, ყოფილი გუნდს გაუტანა და თავისიანები დააწინაურა.

თითქოს გოლის გაშვებას უცდიდაო და ვეტერინარებიც ამოქმედდნენ. თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ანგარიშის გათანაბრებაში ხელი მეტოქემაც შეუწყო.

34-ე წუთზე, ჯანელიძემ ბურთი მოედნის ცენტრიდან ათრია და კარგი პასით, მეტოქის საჯარიმოში გიორგი კორიფაძე მოძებნა, რომელიც მართალია, მახვილი კუთხიდან ურტყამდა, მაგრამ გიორგი ლემონჯავამ, რომელიც ბურთის გადაგდებას კუთხურზე ცდილობდა, საკუთარ კარში მიუჩინა ადგილი.

მასპინძლებმა იგრძნეს, რომ მეტოქე ამ მოულოდნელმა გოლმა გატეხა და კიდევ უფრო შეუტიეს და 38-ე წუთზე ჯანელიძემ უკვე თავად მიიღო კარში დარტყმის გადაწყვეტილება და მინდია ბობღიაშვილმა ბურთი კუთხურზე მოიგერია. მალევე ფოთელებმა კონტრშეტევა განახორციელეს და მანუჩარ წიქარიშვილის პასის შემდეგ, ლაშა გვალია ცდილობდა დაერტყა, მაგრამ კარიდან გამოსულმა ძაძამიამ დაასწრო. 41-ე წუთზე, ბესიკ ჩიმაკაძემ მაღალი ბურთისთვის ბრძოლა მოიგო, ხოლო იქვე მდგომმა ჯანელიძემ, ბურთი მიწაზე დაუშვებლად ძლიერად დაარტყა და ეფექტური გოლი გაიტანა.

მეორე ტაიმი უინტერესო გამოდგა. გოლი კი არა, მაყურებელს სახიფათო მომენტიც სანატრელი გაუხდა. ნახევარმომენტებს თუ გავიხსენებთ, 64-ე წუთზე, „ვიტ ჯორჯიას" კართან ახლოს მდგომი ზამირ ჯანაშია არ ელოდა გიორგი კილასონიას ჩამოწოდებას და ბურთი კარგ პოზიციაში მყოფმა ვერ დაიმორჩილა. 79-ე წუთზე კი, გურამ ადამაძე აღმოჩნდა მოწინააღმდეგის საჯარიმოში დასარტყმელ პოზიციაზე, მაგრამ ბობღიაშვილის კარის მიმართულებით ბურთი სუსტად გაგზავნა და სიტუაცია არ გამწვავებულა. 83-ე წუთზე ვაშაკიძე-ლანიაშვილი-გურეშიძის გათამაშებული კომბინაცია არაზუსტი დარტყმით დასრულდა.

**მატჩის შემდეგ:**

**ზურაბ ბერიძე, ვიტ ჯორჯიას მთავარი მწვრთნელი:**

– თავიდანვე ვიცოდი, რომ მძიმე თამაში იქნებოდა. საკუთარ კარში ბურთი ჩვენი უხეში შეცდომის შემდეგ მივიღეთ. თუმცა, ბიჭებმა ძალები მოიკრიბეს, კონცენტრაცია მოახდინეს და დამსახურებულად გავიმარჯვეთ.

**სოსო ფილია, კოლხეთის მთავარი მწვრთნელი:**

– ჩვენი უპირველესი პრობლემა ისაა, რომ თავდასხმაში მოვიკოჭლებთ. შეტევაში ძალიან გვიჭირს. გუნდებმა უფრო ბრძოლაში გაატარეს სათამაშო დრო, ვიდრე სანახაობრივ ფეხბურთში. ვფიქრობ, ბრძოლის ხარჯზე ფრეს ვიმსახურებდით.



### ზესტაფონი – გაგრა 4:1

ზესტაფონი. დავით აბაშიძე

*1:0 დვალი (11), 2:0 გრიგალაშვილი (28), 3:0 გელაშვილი (79), 3:1 შარიქაძე (84), 4:1 გელაშვილი (86)*

**ზესტაფონი:** რ.კვასხვაძე, ბენაშვილი, საჯაია, ონიანი, ელიავა, გორგიაშვილი (ძარია 77), შ.გრიგალაშვილი, აფციაური, სარდალიშვილი (ფიფია 65), დვალი (გელაშვილი 58), წინამძღვრიშვილი

**გაგრა:** სეფიაშვილი, გაბუნია, გ.ტყეშელაშვილი, სიჭინავა, ნაკონეჩნი, შარიქაძე, გაბედავა (ჭკუასელი 75), მაგაჯი (კვანტალიანი 46), კალანდაძე, ყურულაშვილი, ქართველიშვილი (ჯერემია 29)

გასული სეზონი ლაურეატების – ჩემპიონისა და თასის მფლობელის დაპირისპირება, ზემოიმერელთა დიდი უპირატესობით წარიმართა და მათივე დამსახურებული გამარჯვებით დასრულდა – 4-1. ეს გუნდები ერთმანეთს სუპერთასზეც შეხვდებიან, მაგრამ თუ ამ მატჩით ვიმსჯელებთ, მაშინ ჯილდოს მფლობელი იმერული გუნდი უნდა გახდეს.

მასპინძლებმა თამაშის სადავეები ხელთ პირველივე წუთებიდან იგდეს და უკვე მე-10 წუთზე დაწინაურდნენ კიდეც – შეტევის მარჯვენა ფლანგიდან ალექს ბენაშვილის მიერ სტუმართა საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი კარში ჯაბა დვალმა ოსტატურად გადაგზავნა. გატანილი გოლის შემდეგაც სიტუაციას მინდორზე ზესტაფონელები აკონტროლებდნენ და 25-ე წუთზე თავის უპირატესობა ორამდეც გაზარდეს – შეტევა, რომელშიც მონაწილეობა ფაქტიურად ნახევარმა გუნდმა მიიღო, შოთა გრიგალაშვილის დასარტყმელ პოზიციაზე გასვლით და მისივე ზუსტი გასროლით დასრულდა.

შეხვედრის მეორე ნახევარი თითქოს მშვიდად და უგოლოდ სრულდებოდა, თუმცა მატჩის დასკვნით 10 წუთში გუნდებმა „საგოლე ფეიერვერკი" მოუწყვეს „დავით აბაშიძეზე" მყოფ მაყურებლებს – 79-ე წუთზე ზესტაფონელთა კიდევ ერთი ლამაზი იერიში სტუმართა კარის აღებით ნიკოლოზ გელაშვილმა დააგვირგვინა; 84-ე წუთზე გაგრელმა ლევან შარიქაძემ როინ კვასხვაძის კარში პრესტიჟის გოლი გაიტანა; 84-ეზე კი მასპინძლებმა სამბურთიანი ჰანდიკაპი ნიკოლოზ გელაშვილის დუბლის წყალობით აღადგინეს.

### დილა – ბაია 0:2

თბილისი. ნაკრების ცენტრი ბასა

*0:1 ლომია (38), 0:2 წურწუმია (74)*

**დილა:** მერლანი, ლომიძე, ქარქუზაშვილი, მაჭავარიანი, გველესიანი, ვ.ხორგუაშვილი (ნ.ნოზაძე 71), პ.ხორგუაშვილი, ჯოჯუა, რაყამაშვილი, ახალკაცი (გ.თოდუა 71), დ.ჩაგელიშვილი (გოგინაშვილი 63)

**ბაია:** სომხიშვილი, რიგვავა, მგელაძე, აფაქიძე, აკობია, შ.ლომია (სამუშია 46), სიხარულია, ტყემალაძე, წუწუმია (ენდელაძე 77), ქობალია, ეხვაია (პაჭკორია 73)

„ბაიამ" მოიგო და სამეულში აინაცვლა, „დილას" გოლების გრაფაში ჩაწერილმა ნულმა კი შეცდომაში არ შეგიყვანოთ – ქართლელებს იმდენი საგოლე მომენტი ჰქონდა, ორ-სამ მატჩსაც ეყოფოდა. თუმცა, მარტო საგოლე მომენტები შედეგს არ იძლევა და ასე მოხდა ამჯერადაც.

38-ე წუთზე ზუგდიდელთა შეტევა მარცხნიდან დაიწყო, მარცხნიდან პასის შემდეგ საჯარიმოში მყოფი შოთა ლომია ურტყამდა, მცველისგან ასხლეტით ბურთი ირაკლი ეხვაიას მიუვიდა, შემდეგ ისევ ლომიას და შოთამაც განმეორებითი დარტყმით შეაგდო – 0:1.

74-ე წუთზე ირაკლი ქობალიამ საჯარიმოს მისადგომებიდან დაარტყა, მეკარე მირზა მერლანმა მოიგერია, თუმცა ისევ ქობალიამ მოიპოვა ბურთი და მახვილი კუთხიდან რბილად ჩაჰკიდა, სადაც ლევან წურწუმიამ ყველას დაასწრო და ათიოდე მეტრიდან გაიტანა – 0:2.

### მერანი – სიონი 3:0

მარტვილი. ცენტრალური

*1:0 მანწკავა (10), 2:0 ტაპე (47), 3:0 ჩალაძე (76)*

**მერანი:** შეროზია, კაკუშაძე (ჭაფოძე 40), ჟვანია, სუხიაშვილი, დიდავა, მემარნიშვილი, ე.გრიგალაშვილი, ჩალაძე (ქამუშაძე 78), მანწკავა, ამბროლაძე (სამადაშვილი 59), ტაპე

**„სიონი":** ვ.ლობჟანიძე, კობაური, გ.ოქროპირიძე, გიორგი თარგამაძე, ლ.ჩხეტიანი, გაბრიჭიძე, ა.ნოზაძე (კობერიძე 46), ა.ალავიძე (ხურციძე 46), ქუცურუა, ვ.ბოლქვაძე (ალფაიძე 71), გ.ჯ.რეხვიაშვილი

საერთოდ საეჭვო იყო ჩატარდებოდა თუ არა ეს მატჩი, რადგან ფინანსური პრობლემების გამო ბოლნისელები მარტვილში წასვლას საერთოდ არ აპირებდნენ. საბოლოოდ, გუნდის ამხელა გზაზე წასვლა მატჩის დღეს გადაწყდა და

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# მორაგბეებმა პლეი ოფი დაალაგეს

### არმია – აია 23:15

**არმია:** ბ. კობახიძე, ტუჩაშვილი, მჭედლიძე, გაგოშვილი, შკინინი, ელიზბარაშვილი, სამხარაძე; კაკოვინი, მეკოკიშვილი, დონაძე, ბუჯიაშვილი, ცხადაძე, კალმახელიძე, თავართქილაძე, უდესიანი

**აია:** ძნელაძე, აბრამიძე, ცნობილაძე, ზვიადაძე, ი. ჩხიკვაძე, სინაურიძე, ხამაშურიძე; ჟვანია, სხულუხია, ტ. ჩხიკვაძე, არაბიძე, ჩიტეიშვილი, რევიშვილი, მარდალეიშვილი, დგებუაძე

დასრულდა საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ჩემპიონატის რეგულარული პირველობა, რომლის დასკვნითმა ტურმა საბოლოოდ გაარკვია ის 4 გუნდი, რომლებიც მედლებისთვის ბრძოლას გააგრძელებენ. ორივე ცენტრალური მატჩი „ავჭალის" სტადიონზე გაიმართა.

პირველ მატჩში ერთმანეთს ის გუნდები დაეჯახნენ, რომელთაც ფლეი ოფში თამაში განაღდებული ჰქონდათ და პირველივე რაუნდში ფინალში გასასველად ერთმანეთს შეხვდებიან და ახლა რეპეტიცია გამართეს, რომელშიც მოგებული არმიელები დარჩნენ.

პირველი ნახევარი მეტ-ნაკლებად თანაბარი გამოვიდა, ანგარიში ჯარიმით ბესიკ ხამაშურიძემ გახსნა, ბახვა კობახიძემ წონასორობა აღადგინა და ტაიმი 3:3 დასრულდა. მეორე ტაიმში კი არმიელებმა სრული უპირატესობა მოიპოვეს და მეტოქეს 23:15 სძლიეს.

### ლელო – აკადემია 19:15

ლელო: ყიასაშვილი, ზაალიშვილი, ანდღულაძე, თოდუა, ხუციშვილი, ხმალაძე, ღამბაშიძე, სანიკიძე, ჭყოპნია, სუჯაშვილი, ოხიპაშვილი, ი. დაუშვილი, კვერნაძე, დ. დაუშვილი, აზალაძე.

აკადემია: ი. დავითაშვილი, ჭუაძე, წასიძე, მოლოდინაშვილი, გოგოლაშვილი, ქოპილაშვილი, აბდუშელიშვილი; ზაქაშვილი, მალლაკელიძე, ღამბაშიძე, ნებულიშვილი, ლომიძე, ნიბლაძე, გოგოლაძე, ჩხიკვაძე

ამ მატჩს უნდა გაერკვია ფლეი ოფის მეოთხე გუნდის ვინაობა. აკადემიელებმა პირველ ტაიმში მაგრად იბრძოლეს და შესვენებაზე გასვლისას 12:10 იგებდნენ და ავყალაში სენსაციის სუნიც დაატრიალეს, მაგრამ მეტი ველარ შეძლეს, ჯამში 15:19 დამარცხდნენ და ფლეიო ოფში გზა მეტოქეს დაუთმეს.

**სხვა მატჩები ასე დასრულდა:**

**ყოჩები-ხარები 3:23**

**ლოკომოტივი-არმაზი 25:39**

მაშ ასე, პლეი ოფში გუნდები ასე დაწყვილდნენ: აია-არმიას შორის გამარჯვებული პირდაპირ ფინალშია, ხოლო დამარცხებული ლელო-ლოკომოტივს შორის გამარჯვებულს შეხვდება მეორე ფინალისტის გამოსავლენად. ანუ, აიასა და არმიას ორმაგი შანსი აქვთ ფინალში სათამაშოდ.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.აია | 14 | 12 | 0 | 2 | 393:180 | 24 |
| 2.არმია | 14 | 10 | 1 | 3 | 326:192 | 21 |
| 3.ლელო | 14 | 7 | 0 | 7 | 303:285 | 14 |
| 4.ლოკომოტივი | 14 | 7 | 0 | 7 | 252:242 | 14 |
| 5.არმაზი | 14 | 6 | 1 | 7 | 280:300 | 13 |
| 6.ხარები | 14 | 6 | 0 | 8 | 179:265 | 12 |
| 7.აკადემია | 14 | 4 | 3 | 7 | 224:257 | 11 |
| 8.ყოჩები | 14 | 1 | 1 | 12 | 167:403 | 3 |

## შედეგები

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ლივერპული-მანჩესტერი ............ 1:1
ქპრ-ბლექბერნი ............ 1:1
სიტი-ასტონ ვილა ............ 4:1
ნორვიჩი-სუონსი ............ 3:1
სტოკი-ფულემი ............ 2:0
უიგანი-ბოლტონი ............ 1:3
ჩელსი-ევერტონი ............ 3:1

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ბარნლი-რედინგი ............ 0:1
ბრისტოლი-პიტერბრო ............ 1:2
ვესტ ............ ჰემი-ბლექპული 4:0
დერბი-საუთჰემპტონი ............ 1:1
კარდიფი-იფსვიჩი ............ 2:2
ქოვენთრი-ნოტინგემი ............ 1:0
მიდლსბრო-მილუოლი ............ 1:1
უოტფორდი-კრ.პალასი ............ 0:2
პორთსმუთი-ბარნსლი ............ 2:0
ბრაიტონი-ჰალი ............ 0:0

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

მალიორკა-ვალენსია ............ 1:1
რეალი-ბეტისი ............ 4:1
ხეტაფე-ვილიარეალი ............ 0:0
ბარსელონა-რასინგი ............ 3:0
გრანადა-ატლეტიკო ............ 0:0

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

დეპორტივო-ხიმნასტიკი ............ 2:2
კარტახენა-კორდობა ............ 0:0
ნუმანსია-ალმერია ............ 1:0
უელვა-ვალიადოლიდი ............ 1:1
საბადელი-ალკორკონი ............ 1:0
უესკა-მურსია ............ 2:2
ერკულესი-ალკოიანო ............ 1:0
ლას პალმასი-ელჩე ............ 1:1

**იტალია. სერია ა**

კატანია-ინტერი ............ 2:1
მილანი-სამპდორია ............ 3:0
ნაპოლი-პარმა ............ 1:2

**იტალია. სერია ბ**

ასკოლი-სამდორია ............ 1:2
ბარი-ემპოლი ............ 1:0
კროტონე-გუბიო ............ 2:1
ლივორნო-რეჯინა ............ 0:2
ნოჩერინა-მოდენა ............ 1:1
სასუოლო-ალბინოლეფე ............ 1:0
ტორინო-იუვე სტაბია ............ 1:0
ჩიტადელა-გროსეტო ............ 2:0

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ბაიერნი-ჰერტა ............ 4:0
გლადბახი-ლევერკუზენი ............ 2:2
ვოლფსბურგი-ნიურნბერგი ............ 2:1
მაინცი-აუგსბურგი ............ 0:1
შტუტგარტი-ჰოფენჰაიმი ............ 2:0
შალკე-კაიზერი ............ 1:2

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

უნიონი-კარლსრუე ............ 2:0
დუისბურგი-ინგოლშტადი ............ 3:1

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ბრესტი-კანი ............ 1:1
ლიონი-ნანსი ............ 3:1
მონპელიე-დიჟონი ............ 5:3
ოსერი-ლილი ............ 1:3
ტულუზა-მარსელი ............ 0:0
ევიანი-სენტ ეტიენი ............ 1:2
ნიცა-ბორდო ............ 3:0

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ბასტია-ლანსი ............ 2:2

**ჰოლანდია. ერედივიზიონი**

აიაქსი-ალკმაარი ............ 2:2
ვალვაიკი-ტვენტე ............ 0:4
ჰერენვენი-გრააფსხაპი ............ 1:1
ერაკლესი-გრონინგენი ............ 2:1
პსვ-უტრეხტი ............ 1:0

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ცსკა-ტერეკი ............ 2:2
კრასნოდარი-როსტოვი ............ 2:0
ზენიტი-დინამო ............ 0:0
კრ.სოვეტოვი-ვოლგა ............ 0:0
ამკარი-ყუბანი ............ 3:1

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

კილმანროკი-სელტიკი ............ 3:3
აბერდინი-დანდი ............ 3:1
დამფერმლაინი-ჰართსი ............ 0:2
რეინჯერსი-სტ.მირენი ............ 1:1
სტ.ჯონსონი-ინვერნესი ............ 2:0
ჰიბერნიანი-მოზერველი ............ 0:1

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

კაფენბერგი-ადმირა ............ 0:0
ზალცბურგი-ინსბრუკი ............ 1:1
რაპიდი-ნოიშტადი ............ 1:1
რისი-აუსტრია ............ 2:1

**ბელგია. პროლიგა**

ლოკერენი-გენკი ............ 3:1
ვარეგენი-ლიერსი ............ 1:2
მეხელენი-სერკლი ............ 1:2
მონსი-კორტრაიკი ............ 3:1
ევერლე-ვესტერლო ............ 1:1
სტ.ტრუიდენი-ბეერსხოტი ............ 2:4

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

კერკირა-ატრომიტოსი ............ 2:2
აეკი-ოლიმპიაკოსი ............ 1:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

ორდუსპორი-ერჩიესი ............ 2:1
ბეშიქთაში-ქაისერი ............ 0:2
სივასი-გაზიანთები ............ 0:0

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**

ბანიკი-ჰრადეც კრალოვე ............ 1:0
სპარტა-ლიბერეცი ............ 0:3

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ბელხატოვი-შლიონსკი ............ 3:0
ბიტომი-გურნიკი ............ 1:1
ვისლა-იაგელონია ............ 3:1

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ტავრია-შახტარი ............ 1:3
მეტალისტი-ჩერნომორეცი ............ 1:0

**დანია. სუპერლიგა**

ნორდსიელანდი-ოლბორგი ............ 1:0

**შვედეთი. ალსვენსკა**

კალმარი-იორებრო ............ 4:1
მალმიო-დიურგარდენი ............ 1:0

**ნორვეგია. ტიპელიგა**

ლილესტრიომი-სტაბეკი ............ 1:1

**აშშ. მლს**

კანზასი-ნიუ იორკი ............ 2:0
ფილადელფია-ტორონტო ............ 1:1
ვაშინგტონი-ჩიკაგო ............ 1:2
ნიუ ინგლენდი-კოლამბუსი ............ 0:3
დალასი-ვანკუვერი ............ 2:0
სიეტლი-სან ხოსე ............ 2:1

**ბრაზილია. სერია ა**

სეარა-ფლამენგო ............ 0:1
ფიგუირენსე-ატლეტიკო(მ) ............ 2:1

**არგენტინა. აპერტურა**

ინდეპენდიენტე-გოდოი ............ 2:1
უნიონი-ოლ ბოიზი ............ 1:1
სან მარტინი-რასინგი ............ 0:0

**რაგბი**

**მსოფლიო თასი**

ახ.ზელანდია-ავსტრალია ............ 20:6

**ჩოგბურთი**

**ატპ. შანხაი. ჰარდი**

**ფინალი**

მიურეი-ფერერი ............ 7:5;6:4

**ვტა. ლინცი. ჰარდი**

ციბულკოვა-შაფაროვა ............ 6:1;6:4
კვიტოვა-იანკოვიჩი ............ 4:6;6:4;6:3

**ვტა. ოსაკა. ჰარდი**

**ფინალი**

სტოსური-ბარტოლი ............ 3:6;1:6

**ჰოკეი**

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

აილენდერსი-რეინჯერსი ............ 4:2
ვაშინგტონი-ოტავა ............ 2:1
მონრეალი-კოლორადო ............ 5:5(0:1ბ)
პიტსბურგი-ბუფალო ............ 2:3
ტორონტო-კალგარი ............ 3:2
ფილადელფია-ლოს ანჯელესი 2:3(ოტ)
ფინიქსი-ვინიპეგი ............ 4:1
ფლორიდა-ტამპა ბეი ............ 2:2(1:0ბ)
დალასი-კოლამბუსი ............ 4:2
მინესოტა-დეტროიტი ............ 2:3(ოტ)
ნეშვილი-ნიუ ჯერსი ............ 2:2(0:1ბ)
ჩიკაგო-ბოსტონი ............ 2:2(0:1ბ)
სან ხოსე-სენტ ლუისი ............ 2:4
ედმონტონი-ვანკუვერი ............ 3:4

მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა

# აფრიკაში მამაკაცებზე მოძალადე ქალების ბანდა დააკავეს

აფრიკის სახელმწიფო ზიმბაბვეს პოლიცია მოძალადე ქალების კვალზე გავიდნენ, რომლებიც მამაკაცებს ესხმოდნენ თავს და სქესობრივი ხასიათის დანაშაულს ჩადიოდნენ.

ბოროტმოქმედების ქმედება რიტუალურ ხასიათს ატარებდა, მიზნად კი ისინი მამაკაცის სპერმის მოპოვებას ისახავდნენ.

მათი მსხვერპლი, როგორც წესი, გზაზე შემხვედრი მარტოხელა მამაკაცები ხდებოდნენ, ვისაც მათი სურვილისამებრ სადმე მიყვანას სთავაზობდნენ.

ჯგუფურ გაუპატიურებასთან კავშირის ბრალდებებით ზიმბაბვეს პოლიციამ ქალაქ გვერაში სამი ქალი დააპატიმრა. მათი ავტომობილის ჩხრეკის დროს პოლიციამ 31 გამოყენებული პრეზერვატივი იპოვა. ეჭვმიტანილი სქესობრივი მოძალადეები არიან 24 წლის ზოზმარი ჩაკვიზირა, 26 წლის სოფი ნოკვარა და 24 წლის ნეტსაი ნოკვარა.

თავად ეჭვმიტანილები მათ მანქანაში აღმოჩენილ საეჭვო სამხილებს იმით ხსნიან, რომ პროსტიტუციას ეწევიან, თანაც ისეთი დატვირთული სამუშაო გრაფიკი აქვთ, რომ გამოყენებული პრეზერვატივების გადაყრას ვერ ახერხებდნენ.

ეჭვმიტანილები ზიმბაბვეს დედაქალაქ ჰარარეში მიიყვანეს. Pპოლიციის ვარაუდით, ორი წლის განმავლობაში ქალების ბანდამ ათზე მეტი მამაკაცი, მათ შორის ერთი პოლიციელი გააუპატიურა.

პოლიცია მანქანაში ნაპოვნ პრეზერვატივებში სპერმის ანალიზით სხვა დაზარალებულების პოვნასაც იმედოვნებს.

დაზარალებულების ჩვენების თანახმად, როგორც წესი, დამნაშავეები თავად სთავაზობდნენ მათ ავტოსტოპით წაყვანას. Aავტომობილში მათ რაიმე სასმელს სთავაზობდნენ საძილე საშუალებით, რის შემდეგაც გაბრუებულ მსხვერპლზე ძალადობრივ ქმედებას ჩადიოდნენ. ზოგ შემთხვევაში ისინი უფრო უხეშადაც მოქმედებდნენ — იარაღის მუქარით აიძულებდნენ მამაკაცს მათთან ერთად მისულიყვნენ ბინაში, სადაც მათ აუპატიურებდნენ.

დანაშაული ყოველთვის ერთი და იგივე ფინალით მთავრდებოდა — მამაკაცებს შემდეგ ძარცვავდნენ და მანქანიდან უკაცრიელ ადგილას აგდებდნენ.



დამნაშავეთა მოტივები ბოლომდე ცნობილი არ არის, თუმცა ექსპერტების ვარაუდით, „სპერმაზე მონადირენი" რიტუალური მიზნებით ხელმძღვანელობდნენ. აფრიკაში გავრცელებული სტერეოტიპული შეხედულების თანახმად, სპერმას გარდა კვერცხუჯრედის განაყოფიერებისა, მაგიური თვისებებიც გააჩნია და ბიზნესში წარმატების მოტანაც შეუძლია.

აფრიკელ ჯადოქრებსა და ცრუმორწმუნე მოქალაქეებს შორის სპერმაზე მოთხოვნილება ისეთი დიდია, რომ მისი საექსპორტოდ გატანაც კი დაიწყეს. Aასე, მაგალითად, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში სპერმით გავსებული პრეზერვატივი 400 დოლარად იყიდება.

მოძალადე ქალების ბანდის კვალზე პოლიცია შემთხვევით გავიდა. მთავარი სამხილი ავტოსაგზაო შემთხვევაში მოხვედრილ მანქანაში აღმოაჩინეს. შოფი ნოკვარის მეგობარმა მამაკაცმა მისი წითელი „შევროლე ავეოთი" ფეხით მოსიარულე გაიტანა. Pპოლიციელებმა ყურადღება მიაქციეს იმას, რომ 31 ნაპოვნი პრეზერვატივიდან სამი სანახევროდ იყო სავსე.

ფეხით მოსიარულის სიკვდილით დასრულებული ავტოსაგზაო შემთხვევის ადგილზე მალე თავად ქალებიც მივიდნენ, რომლებმაც პოლიციელებს საბარგულიდან პირადი ნივთების ამოღების უფლება სთხოვეს. ამან პოლიციელების ეჭვი კიდევ უფრო გააძლიერა, რადგან პრეზერვატივები სწორედ საბარგულში ნახეს.

შოფი ნოკვარა და როზმარი ჩაკვიზირა ქალაქ გვერაში ერთმანეთის მეზობლად ცხოვრობენ, თუმცა პოლიციამ მათ ბინებში საეჭვო ვერაფერი აღმოაჩინა.

დაკავებული ქალების მეზობელმა თითქოს დაადასტურა მათი ვერსია, რის თანახმადაც ეჭვმიტანილები მხოლოდ და მხოლოდ შრომისმოყვარე მეძავები იყვნენ. მისი თქმით, ეს სამი ქალი გვერაში დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ. მან ასევე განაცხადა, რომ სოფი და როზმარი უფულობას არ უჩიოდნენ.

კერძოდ, სოფიმ ცოტა ხნის წინ ავტომობილი მაზდა 626 გაყიდა და შევროლეზე გადაჯდა. ნკობას რაიონის ღამის კლუბებში იგი ტინდოს მეტსახელით იყო ცნობილი.

ფეისბუქის სოციალურ ქსელში სოფი განქორწინებულ ქალად არის მოხსენიებული. გაზეთ „ნიუ ზიმბაბვეს" თანახმად, წარსულში იგი ალმასებით მოვაჭრეზე იყო გათხოვილი, ვისგანაც ქალიშვილი შეეძინა, განქორწინების შემდეგ კი გვერაში გადაბარგდა საცხოვრებლად.

# ნიუ იორკში 70 დემონსტრანტი დააკავეს

ნიუ იორკის პოლიციამ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისათვის აქციის „დაიკავე უოლ სტრიტი" 70-მდე მონაწილე დააკავა.

45 ადამიანი თაიმს სქვერთან, მოედანზე დააკავეს, დანარჩენები ვაშინგტონ სქვერის რაიონში, სითიბანკის განყოფილებაში.




შეხლა-შემოხლის დროს მინიმუმ ერთი დემონსტრანტი დაშავდა. როგორც ვარაუდობდენ, ცხენოსანი პოლიციის მიერ თაიმს სქვერის გაწმენდის მცდელობისას ერთი ქალი უხერხულად დაეცა.

კორპორაციებისა და ეკონომიკის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართული დემონსტრანტები ქვემო მანჰეტენის ზუკოტის პარკიდან თაიმს სქვერისკენ მიემართებოდნენ. აქციაში ხუთი ათასამდე ადამიანი მონაწილეობდა. პროტესტის მონაწილენი გაიძახოდნენ: „დაიკავე უოლსტრიტი", „ჩვენ აუქციონი მივიღეთ, ბანკებმა შემოსავალი".

დემონსტრანტების ერთი ნაწილი ვაშინგტონ სქვერის რაიონში მდებარე „სითიბანკის" სათავსოში შეიჭრა.

ბანკის თანამშრომლები დიდი ხნის განმავლობაში უშედეგოდ სთხოვდნენ მათ შენობის დატოვებას, რის შემდეგაც პოლიციას გამოუძახეს.

მათი თქმით, დაუპატიჟებელი სტუმრების ვიზიტი ძალიან გამანადგურებელი აღმოჩნდა.

„უოლ სთრითის" კამპანიის მომხრეების სოლიდარობის აქტები მსოფლიოს სხვა ქალაქებშიც გაიმართა.

რომში საპროტესტო გამოსვლები მასობრივ არეულობაში და პოლიციასთან შეტაკებაში გადაიზარდა. ათეულობით ათასმა ადამიანმა კოლიზეუმის ნანგრევებთან მოიყარა თავი და სახელმწიფო ხარჯების შემცირების გამო პროტესტს გამოთქვამდა.

ძალიან მალე შეკრებილთა შორის ნიღბიანი ახალგაზრდები გამოჩნდნენ, რომლებმაც პოლიციას ქვები დაუშინეს, მანქანებისთვის ცეცხლის წაკიდება და ვიტრინების მსხვრევა დაიწყეს.

Dდემონსტრაცია გაიმართა მადრიდშიც, სადაც პუერტა დელ სოლის მოედანზე ათეულ ათასობით ადამიანმა მოიყარა თავი. მომიტინგეთა შორის ყველა ასაკის ადამიანები იყვნენ, თუმცა ყველაზე შესამჩნევი უმუშევარი ახალგაზრდები იყვნენ.

პორტუგალიაში ლისაბონის ქუჩებში 20 ათასამდე ადამიანმა ჩაიარა. დაახლოებით იმდენივე ადამიანი გამოვიდა პორტოს ქუჩებში.

საბერძნეთის დედაქალაქ ათენში 2 ათასამდე დემონსტრანტმა პარლამენტის შენობასთან მოიყარა თავი.

ლონდონის სითიში გამართულ აქციაში 800 ათასმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. მათი აქცია, რომელიც „დაიკავე ბირჟა" ლოზუნგებით გაიმართა, პოლიციამ აღკვეთა. პოლიციელებზე თავდასხმისათვის სამი ადამიანია დაკავებული, კიდევ ორი — წესრიგის დარღვევისათვის.

# ევროზონის ქვეყნები ზეწოლას განიცდიან

დიდი ოცეულის წევრი ქვეყნების ფინანსთა მინისტრებმა პარიზში გამართული შეხვედრის დროს ევროზონის კრიზისიდან გამოყვანის ღონისძიებათა პაკეტი განიხილეს.

ევროზონის ქვეყნები კონკრეტული ზომების მიღების მოთხოვნით გარკვეული ზეწოლის ქვეშ აღმოჩნდნენ.

მიღებული კომუნიკეს ტექტში მაქსიმალური ეფექტის უზრუნველყოფის მიზნით შემდგომი ზომების მიღების აუცილებლობის შესახებ არის ლაპარაკი.

დიდი ბრიტანეთის ფინანსთა მინისტრის, ჯორჯ ოსბორნის თქმით, ევროზონის წევრი ქვეყნების მინისტრები პარიზს კონკრეტული ზომების მიღების აუცილებლობის შეგრძნებით ტოვებენ.

მრავალი მიმომხილველი შიშობს, რომ კრიზისი, რომელმაც ევროზონა მოიცვა, სხვა ქვეყნებსაც შეიძლება მისწვდეს. აშშ-ში უკვე გამოთქვეს მოსაზრება და აღნიშნეს, რომ კრიზისი ამერიკის ეკონომიკასაც ემუქრება.

აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაქ ობამამ და გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა ევროპაში არსებული ეკონომიკური ვითარება სატელეფონო საუბრის დროს განიხილეს.

კომუნიკეს ტექსტში ნათქვამია, რომ „ოცეულის" მინისტრები ევროპული ეკონომიკის რეფორმის ამბიციურ გეგმებს მიესალმებიან.

კომუნიკეს ხელი მოწერეს ოცეულის მინისტრებმა, რომელთა ქვეყნების ეკონომიკაც მსოფლიო ეკონომიკის 85%-ს განაპირობებს.

Eევროპის ფინანსური სტაბილიზების ფონდის მექანიზმები ამჟამად ირლანდიისა და პორტუგალიის დასახმარებლად არის ამოქმედებული, თუმცა ბევრი შიშობს, რომ ამ ფონდის რესურსები იტალიის ან ესპანეთისათვის უკვე საკმარისი აღარ იქნება.

ევროზონის ფარგლებს გარეთ მყოფი ქვეყნების მთავრობები აღნიშნავენ, რომ ევროკავშირის ქვეყნებმა კრიზისის საწინააღმდეგო ზომები რაც შეიძლება სწრაფად უნდა მიიღონ.

ამასთან, ექსპერტები აღნიშნავენ, რომ 23 ოქტომბერს ევროპის საბჭოს სხდომამდე რაიმე მნიშვნელოვანი დოკუმენტის ან სამოქმედო გეგმის გამოქვეყნება მოსალოდნელი არ არის.

პარიზში გარდა ამისა, მსოფლიო სავალუტო ფონდისათვის 350 მილიარდი დოლარის გადაცემის შესაძლებლობა განიხილეს.

ამ იდეის მიმართ მეტად სკეპტიკური დამოკიდებულება გამოამჟღავნა აშშ-ის ფინანსთა მინისტრმა ტიმოთი გაიტნერმა.

ამავდროულად, ცნობილი გახდა, რომ ნოემბრისთვის საბერძნეთი ვალების მომსახურებისათვის აუცილებელი კრედიტის მორიგ ტრანშს მიიღებს 8 მილიარდი ევროს ოდენობით.

Mმანამდე ევროპის ცენტრობანკის, ევროკავშირის და მსოფლიო სავალუტო ფონდის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ათენის ოფიციალურ პირებთან მიაღწიეს შეთანხმებას ქვეყანაში ეკონომიის შემდგომი ზომების მიღების შესახებ.

## სამგლოვიარო განცხადებები

ცისანა შარტავა ოჯახით მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**ვერა ეჯიბია-არზიანისა**

და თანაგრძნობას უცხადებს მზია და რამაზ არზიანების ოჯახებს დედის გარდაცვალების გამო.

უფალმა ნათელში ამყოფოს ქალბატონ ვერას სული.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# 26 წლიანი პატიმრობის შემდეგ პროფესიონალურ რინგზე

დასაწყისი მე-12 გვერდზე

დებიუტანტი მოკრივის დიუი ბოზელის ცხოვრება 1983 წელს რადიკალურად შეიცვალა. იგი სასამართლო შეცდომის გამო სინგ სინგის ციხეში მოხვდა.

სასამართლომ ბოზელა 92 წლის ქალის მკვლელობაში ცნო დამნაშავედ. როგორც საკმაოდ გვიან გაირკვა, ამ მკვლელობასთან მას არავითარი კავშირი არ ჰქონია.

ციხეში ყოფნის განმავლობაში იგი ამტკიცებდა, რომ უდანაშაულო იყო და სხვადასხვა ინსტანციებში აპელაციების წარდგენას აგრძელებდა.

პირობით და ვადამდე გათავისუფლების რამდენიმე ვარიანტი შესთავაზეს, იმ შემთხვევაში, თუკი თავს დამნაშავედ ცნობდა, მაგრამ ბოზელამ ეს წინადადებები უარყო.

ციხეში ყოფნის დროს მან კრივში ვარჯიში გააგრძელა, სინგ სინგის ციხის ჩემპიონი გახდა, ციხეშივე მან უმაღლესი განათლება მიიღო.

ბოზელა 2009 წელს გაამართლეს და გაათავისუფლეს. გათავისუფლების შემდეგ მან განაცხადა, რომ პროფესიონალი მოკრივის კარიერას გაჰყვებოდა. 2011 წელს მას ცნობილი შავკანიანი ჩოგბურთელის, არტურ ეშის მიერ დაარსებული მამაცობის პრემია ხვდა წილად სპორტში მიღწეული დამსახურებებისათვის.

*მოამზადა გენადი თვაურმა*

## სკანვორდი



1. იაპონური თეატრი; 2. სწრაფტემპიანი ცეკვა; 3. პუჩინის ოპერა; 4. ქალაქი რაჭაში; 5. საგრილობელი; 6. ვულკანი სიცილიაზე; 7. სამიანი ნარდში; 8. სასახლე (ძველად); 9. შტატი (აშშ); 10. მცენარეული შხამი; 11. უნგრული კერძი; 12. ბოლო ნოტი; 13. დიდი ჩაქუჩი; 14. კოშკის საათი; 15. წვეტიანი გამონაზარდი მცენარეზე; 16. გაჩუმების მანიშნებელი შორისდებული; 17. ნაჭრის საფულე; 18. ... ტრავოლტა; 19. მახრჩობელა გველი; 20. ჰერას ქურუმი ქალი; 21. ბატონო (ინგლისურად); 22. ფრანგ მეფეთა სახელი; 23. უცხო სახელმწიფოს ფული; 24. ხარაზის ხელსაწყო; 25. დასახლებული პუნქტი; 26. ღარიბ-ლატაკი; 27. ჭანჭიკის მოსაჭერი ხელსაწყო; 28. ... მოსი; 29. „... ერგასის დღე"; 30. ქალაქი ინგლისში; 31. სოფელი მცხეთის რაიონში; 32. ავტოშეჯიბრი; 33. მამულიშვილი; 34. მოსკოვის სიმბოლო; 35. ცის ეკვატორული ნაწილის თანავარსკვლავედი.

*შეადგინა ოლვერ კოხიამ*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. „ოჯალეში"; 2. ტულუზა; 3. ბერიკაობა; 4. „შანელი"; 5. სკლიანკა; 7. „გეთი"; 11. ტელფერი; 13. სუნიზმი; 15. შაორი; 16. მალტა; 18. საბზა; 20. კიაზო.

**თარაზულად:** 6. ჯუნგლი; 8. კურსები; 9. ყანჩელი; 10. იკებანა; 11. ბრინჯი; 22. ზარზმა; 23. მაკარტნი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ჭანჭური; 2. პათოსი; 3. გლაუკომა; 4. დეფიციტი; 7. „ჰეინიკენი"; 8. მერწყული; 12. რეგტაიმი; 14. სიბარიტი; 16. ჟერარდი; 17. გრანიტი; 19. ჭური; 20. ჯემი.

**თარაზულად**: 5. მაჭახელა; 6. უფლისციხე; 9. მულინე; 10. სენაკი; 11. კრიკი; 13. ბელგა; 15. დიდუბე; 18. ჯერმი; 21. ჟიპიტაური; 22. რუბენსი; 23. ხითხითი.

# რობერტ სტურუა მოსკოვშია

დასაწყისი მე-8 გვერდზე

აცხადებდა კიდეც, რომ 2 ოქტომბერს მოსკოვში ჩასვლას და ხელშეკრულების გაფორმებას აპირებდა, თუმცა 25 სექტემბერს, სპექტაკლ „ნადირობის სეზონის“ შემდეგ, მან განაცხადა, რომ წასვლა გადაიფიქრა და დასში დარჩენა გადაწყვიტა. ამის მიუხედავად, რობერტ სტურუას უკვე მოსკოვშია და „ეტ სეტერაში“ აგრძელებს მოღვაწეობას.

რობერტ სტურუა სიახლეებს თავის შემოქმედებასთან დაკავშირებით, ძირითადად სწორედ „ფეისბუქის“ საშუალებით ამცნობს საზოგადოებას. რამდენიმე დღის წინ მანვე შოკში ჩააგდო საზოგადოება, როცა განაცხადა, რომ რუსთაველის თეატრის მმართველად პარლამენტარ ნუგზარ წიკლაურს ნიშნავდნენ. ეს ინფორმაცია კატეგორიულად უარყო თავად პარლამენტარმა და განაცხადა, რომ რუსთაველის თეატრში არც არც მმართველად, არც სამხატვრო ხელმძღვანელად, არც მსახიობად, არც ბილეთების გამყიდველად არ ინიშნება.

რეჟისორის მიერ გავრცელებული ინფორმაცია უარყვეს რუსთაველის თეატრშიც. ამ გადაწყვეტილებას არ იცნობდა არც რუსთაველის თეატრის ამჟამინდელი მმართველი ზაალ ჩიქობავა. თეატრის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა ელენე კვირცხალიამ კი განმარტა, რომ ეს ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამებოდა.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ნიკოლოზ რურუა კი ირწმუნება, რომ რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე კანდიდატურა საერთოდ არ განიხილება და არ არის გამორიცხული, ეს თანამდებობა ბოლომდე ვაკანტური დარჩეს. რეჟისორი არც იმას მალავს, რომ მისი თანამდებობა, მის პოლიტიკურ შეხედულებებს და პრესაში გამოთქმულ მოსაზრებებს შეეწირა.

– საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ პრესისა და ტელევიზიის საშუალებით ძალიან აქტიური გამოსვლები განსაკუთრებით ბოლო პერიოდში დავიწყე. ჩემთვის უბრალოდ მიუღებელია, რომ ყველაფერი, რაც მე ჩემს ქვეყანაში მიყვარს, წყალში იყრება. საქართველოში რაღაც უცნაურ სასულთნოს აშენებენ, სადაც რასაც სულთანი იტყვის, ის უნდა გაკეთდეს. ეს ავტორიტარობა ძალიან მაშფოთებს როგორც ადამიანს და ხელოვანს, რომელიც ყოველთვის ამის წინააღმდეგ იბრძოდა. იმ ქსენოფობიური განცხადებების გამო, რომელიც ჩემი რუსთაველის თეატრიდან გათავისუფლების მოტივად დასახელდა, თავის მართლება განსაკუთრებით არ მიცდია, რადგან მგონია, რომ სასაცილოა, მე ქსენოფობი მიწოდო იმ ფრაზებისა და აზრების გამო, რომ პრეზიდენტი საკუთარ წარმომავლობას არ უნდა მალავდეს. ზუსტად ვიცი, რომ კულტურის მინისტრი არწმუნებდა პრეზიდენტს ეს გადაწყვეტილება არ მიეღო, მაგრამ მისი გადარწმუნება ვერ შეძლო. სიმართლე გითხრათ, როდესაც ისეთ პატარა ქვეყანას, როგორიც საქართველოა, ჩამოყალიბების პირველ წლებში არაქართველი პრეზიდენტი ჰყავს, მე, როგორც მოქალაქეს ეს არ მომწონს. აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ რუსებისთვისაც არ იქნებოდა სასიამოვნო, თუ პრეზიდენტად ქართველი იყრიდა კენჭს. ეს სომხებისთვისაც უსიამოვნო იქნებოდა, – აცხადებს რობერტ სტურუა.

ქართველი რეჟისორი არც იმას უარყოფს, რომ რუსეთისა და ინგლისში გარდა, მან შეთავაზებები ჩეჩნეთიდან და სამხრეთ ოსეთიდანაც მიიღო.

– მას შემდეგ, რაც ჩემი რუსთაველის თეატრიდან გათავისუფლების შესახებ შეიტყვეს, საკმაოდ ბევრი შემოთავაზება მივიღე. წინადადებები მივიღე ჩეჩნეთიდან და ჩრდილოეთ ოსეთიდანაც, თუმცა როდესაც გამათავისუფლეს, „ეტ სეტერადან“ მომენტალურად დამირეკეს და მთავარ რეჟისორად მიმიწვიეს, რასაც მე დავთანხმდი. შემეძლო, „თეატრში ტაგანკაზეც“ წავსულიყავი. ეს ლეგენდარული თეატრია, რომელმაც მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში რუსული თეატრის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა, თუმცა ვთვლი, რომ მან გააკეთა თავისი საქმე. რაც შეეხება ჩეჩნეთსა და ჩრდილოეთ ოსეთის შემოთავაზებებს, იქაც მეპატიჟებიან, რადგან თბილისში ჩეჩნები და ოსები სწავლობდნენ, რომლებმაც ჩემი თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ გაიგეს. ცნობილი ინგლისელი თეატრალური პროდიუსერი ტელმა ჰოლტი კი წერილში მთავაზობს, ჩავიდე სამი თვით, არ ვიფიქრო ფინანსურ პრობლემებზე, გავეცნო ინგლისურ თეატრს თავისი სპექტაკლებით და მომავალ წელს სპექტაკლები თავად დავდგა. თუმცა ახლა კალიაგინს უარს ვერ ვეტყვი. რაც შეეხება რუსთაველის თეატრს, მსახიობების წინაშე არსებული გარკვეული ვალდებულებების გათვალისწინებით, თუ სპექტაკლების დადგმის შეთავაზება იქნება, ალბათ, დავთანხმდები, – ამბობს რეჟისორი.

როგორც ჩანს, რობერტ სტურუა ალბათ კიდევ დიდხანს იქნება ქართული საზოგადოებისთვის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური ფიგურა, თუმცა სულ სხვა მონაცემები დადო „ენ დი აის“ მიერ ჩატარებულმა კვლევებმა. მათ მიერ გამოკითხულთა 46%-ს რობერტ სტურუას გათავისუფლების შესახებ არ სმენია, 51 % კი რეჟისორის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ საქმის კურსშია. გამოკითხულთა დანარჩენმა პროცენტმა კი უპასუხა „არ ვიცი“. გამოკითხულთა 41 პროცენტი ვერ ასახელებს რობერტ სტურუას გათავისუფლების მიზეზს, 33% მიიჩნევს, რომ რეჟისორის გათავისუფლება პოლიტიკური შეხედულებები იყო, 21% ქსენოფობიურ განცხადებებს უკავშირებს, 1 % კი – სტურუას ასაკს.

გამოკითხვის შედეგად 44% სტურუას ამ მიზეზით გათავისუფლებას არ ეთანხმება, 39%-მა კი არ იცის. ამის მომხრე მხოლოდ 14 პროცენტია. კვლევის მიხედვით, 44% არ ეთანხმება, რომ იგივე მიდგომა გავრცელდეს ხელისუფლების ყველა წარმომადგენლის მიმართ. „ენ დი აის“ კვლევა 9-21 სექტემბერს ჩატარდა. საქართველოს მასშტაბით, პირისპირ ინტერვიუს წარმომადგენლობითი შერჩევის საფუძველზე 2.425 კაცი გამოიკითხა.

# საკალათბურთო სეზონი დებიუტანტის მოგებით გაიხსნა

### თსუ – ოლიმპი 68:69 (17:18, 17:16, 14:18, 20:17)

**თსუ:** ჩიტაშვილი (7), ზ.მაისურაძე, ფანჩულიძე (12ქ.11მ.), მარკოიშვილი (4), ნინიაშვილი (19ქ.13მ.); დ.ბერიშვილი (9), შერმადინი (17)

**ოლიმპი:** გამყრელიძე (10ქ.7პ.), გულისაბედაშვილი (8), სლიუკა (12), მ.ბერიშვილი (19), მილუტინოვიჩი (13ქ.16მ.); სიგუა, ტუტუსი (5)

დაიწყო კალათბურთში საქართველოს XXI ეროვნული ჩემპიონატი, რომლის პირველ ტურში ყველაზე საინტერესო პირველი დღის დასკვნითი მატჩი გამოდგა, რომელშიც სუპერლიგის დებიუტანტი „ოლიმპი“ და ქვეყნის ვიცე-ჩემპიონ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდები ხვდებოდნენ ერთმანეთს.



„ოლიმპი“, პირველად ასპარეზობს ეროვნული ჩემპიონატში და დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე გამოჩნდა. საბოლოო შემადგენლობა ბოლო დღემდე უცნობი იყო. საბოლოოდ, თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ საკმაოდ კარგ შემადგენლობას მოუყარა თავი და ალბათ საპრიზო ადგილების ერთ-ერთი პრეტენდენტიც იქნება. გუნდის ლიდერები საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრი, უკანახაზელი გიორგი გამყრელიძე და ნაკრების ყოფილი წევრობის კანდიდატი, ფორვარდი მიხეილ ბერიშვილი არიან. ასევე დაიმატეს 3 ლეგიონერი – უკანახაზელი ნიკიჩა სლიუკა (ხორვატია) და სერბები – ილიცა მილუტინოვიჩი (ცენტრი) და ნიკოლა ტუტუსი (ფორვარდი). ძირითადად, ამ კალათბურთელების დამსახურებაა, რომ ეროვნული ჩემპიონატის დებიუტანტმა, უალრესად დაძაბულ ბრძოლაში შეძლო გამოცდილი მეტოქის დამარცხება და სუპერლიგაში დებიუტი გამარჯვებით აღნიშნა.

მატჩი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა და ბოლო წამებამდე გაურკვეველი იყო ვის დარჩებოდა მოგება. საბოლოოდ, ბედმა ოლიმპს გაუღიმა.

პირველი ტაიმი ფრედ, 34:34 დასრულდა. მესამე მეოთხედის შემდეგ, „ოლიმპი“ 4 ქულით, 52:48 დაწინაურდა და თითქოს ყველაფერი გაირკვა. თუმცა, სტუდენტები არ გატყდნენ და მატჩის დასრულებამდე 2 წუთით ადრე 66:61 დაწინაურდნენ. ასეთი უპირატესობას შენარჩუნება რთული არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ოლიმპიელთა მწვრთნელმა გია კაზანჯიანმა წუთშესვენება აიღო და გუნდს აგრესიული დაცვისკენ მოუწოდა, რამაც შედეგი გამოიღო და მატჩის დასრულებამდე 8 წამით ადრე დებიუტანტი 69:68 დაწინაურდა. დარჩენილ დროში სტუდენტებს მაინც შეეძლოთ გამარჯვების მოპოვება, მაგრამ ჯერ დავით ბერიშვილს გაუცუდდა ნასროლი, ხოლო ბოლო წამზე სოსო შერმადინმა ააცილა სამქულიანი.

მატჩში ყველაზე შედეგიანები, „ოლიმპის“ ფორვარდი მიხეილ ბერიშვილი (19ქ.) და თსუ-ს ცენტრალური თავდამსხმელი თორნიკე ნინიაშვილი (19.13მ.) იყვნენ. ორმაგი დუბლის ავტორები გახდნენ „ოლიმპის“ სერბი ლეგიონერი მილუტინოვიჩი (13ქ.16მ.) და თსუ-ს კაპიტანი, უკანახაზელი მიხეილ ფანჩულიძე (12ქ. 11მ.).

### შსს – ბათუმი 101:77 (25:26, 18:17, 32:20, 26:14)

**შსს:** ბოქოლიშვილი (5), კრეპსი (22ქ.10პ), თენიეშვილი (13), ტუჯანი-ტალბა (14), დვალიშვილი (13); ლაფანაშვილი (5), ნიკოლაძე (3), ლონდარიძე (22), ლომოური, იმნაძე (4)ს

**ბათუმი:** მიქელაძე (16), ნინუა (6), ელიაძე (8), ელიაშვილი (22), კეშელავა (12); ჩორგოლაშვილი, რამიშვილი (1), ემირიძე (2)

წლევანდელი სეზონის 1-ელი ტურის პირველ მატჩში ერთმანეთს შსს და ,,ბათუმი“ დაუპირისპირდნენ. შეხვედრის პირველი ნახევარი გუნდების გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. საბოლოოდ კი მატჩის პირველი ნახევარი შსს-ს 1-ქულიანი უპირატესობით, ანგარიშით 44:43 დასრულდა.

მესამე პერიოდში შინაგან საქმეთა სამინისტროს გუნდი წინ გაიჭრა და 10 ქულით დაწინაურდა – 67:57. ამის შემდეგ კი ,,ძალოვნებს“ მოპოვებული უპირატესობა ხელიდან აღარც გაუშვიათ და მესამე პერიოდი მოგებით დაასრულეს – 79:63.

მე-4 მეოთხედში შსს-მ 20-ქულიანი უპირატესობა მოიპოვა – 90:70, მეოთხე პერიოდის მიწურულს კი 100 ქულას გადააჭარბა და საბოლოოდ 101 :77 იმარჯვა.

გამარჯვებულთა რიგებში 22-22 ქულა ილია ლონდარიძისა და შსს-ს ამერიკელი ლეგიონერის, რობო კრეპსის ანგარიშზეა, რომელმაც 10 შედეგიანი გადაცემაც მიითვალა და ორმაგი დუბლი შეასრულა.

ზღვისპირელთა შემადგენლობაში კი საუკეთესო ავთანდილ ელიაშვილი იყო, რომელმაც 22 ქულა მოაგროვა.

### თსსუ – სტუ 75:104 (17:25, 14:24, 22:28, 22:27)

**თსსუ:** აბაიშვილი (3), ტომარაძე (12), ჩიკვილაძე (21), კვეტენაძე (7), ბექაური (7); ყველაშვილი, შიოლაშვილი, პირველაშვილი, გაბისონია (5), შვანგირაძე (7), ჭოჭუა (8), ჯინჭარაძე (5)

**სტუ:** ხანიაშვილი (12), ი.ძიძიგური (10), ვ.ბერუაშვილი (12), ანთაძე (14), კობიძე (10); ტეტელაშვილი (2), თევზაძე (6), ჩაჩიბაია (17), ჭოხონელიძე (6), მაჩალაძე (10), დეკანოიძე (1), კორძაძე (4)

სუპერლიგის 2011-2012 წლების სეზონის პირველი ტურის ცენტრალურ მატჩად მონათლული სტუდენტური დერბი ვერ გამოდგა ისეთი, როგორსაც სპეციალისტები ელოდნენ. სამედიცინოსა და ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდების დაპირისპირებაში ტექნიკოსებმა იოლად იმარჯვეს და ძალოვანთა მიერ დამყარებული დღის რეკორდი, 101 ქულა ოდნავ გააუმჯობესეს.

სტუ-ს თავიდანვე მოპოვებული უპირატესობა ხელიდან მატჩის ბოლომდე არ გაუშვია, ყველა მეოთხედში იმარჯვა და საბოლოოდ მედიკოსები 104:75 დაამარცხა.

ტექნიკოსთა“ რიგებში 17 ქულით ტატო ჩაჩიბაია გამოირჩა, ხოლო თსსუ-ს რიგებში საუკეთესო ბექა ჩიკვილაძე გახლდათ, რომელმაც საკუთარ გუნდს 21 ქულა შესძინა.

### სოხუმი – რუსთავი 108:62 (28:16, 27:11, 21:13, 32:22)

**სოხუმი:** ფარღალავა (19ქ.10პ.8მ.), ჩლაიძე (11), ფაცაცია (16), გეი (31ქ.10მ.), ათუაშვილი (11ქ.10მ.); როგავა (2), კანკია (11), გაფრინდაშვილი (5), ქადარია (12ქ.9მ.).

**რუსთავი:** არწივიძე (4), ჩაჩანიძე (5), ხმელიძე (19), მაჭავარიანი, გუგავა (6); გაგა არაბული (2), ბააკაშვილი (13), ჯაბა არაბული, კოპალიანი (13)

პირველ ტურში გამართული შეხვედრებიდან, ყველაზე დიდი ანგარიში „სოხუმი“-“რუსთავის“ შეხვედრაში დაფიქსირდა. მართალია, ევროჩელენჯის საკვალიფიკაციო ეტაპზე დამარცხების შემდეგ „სოხუმი“ ოთხმა კალათბურთელმა (ბერიშვილი, რობინსონი, პირსი, სალიერსი) დატოვა, მაგრამ ზღვისპირელებმა მაინც დიდი ანგარიშით, 108:62 შეძლეს მეტოქის დამარცხება. სოხუმელთა ამერიკელმა ლეგიონერმა ბრენდონ გეიმ კი პირველი ტურის საუკეთესო შედეგი აჩვენა – 31 ქულა და 10 მოხსნა. აღსანიშნავია, რომ სამმაგ დუბლამდე (19ქ.10პ.8მ.) ორი მოხსნა დააკლდა „სოხუმისა“ და ეროვნული ნაკრების უკანახაზელ ლაშა ფარღალავას. 11 ქულითა და 10 მოხსნით, ასევე ორმაგი დუბლის ავტორი გახდა „სოხუმის“ ცენტრი სერგო ათუაშვილი. რუსთაველთა შორის ყველაზე საუკეთესო იყო ფორვარდი ლევან ხმელიძე, რომლის ანგარიშზეც 19 ქულაა.

ტურის ბოლო შეხვედრა გუშინ ქუთაისში ჩატარდა, სადაც ადგილობრივი გუნდი „დინამოს“ მასპინძლობდა და გვიან დამთავრდა.

# სუპერთასის რეპეტიცია ზესტაფონმა მოიგო

დასაწყისი მე-9 გვერდზე

ცხადია, ნამგზავრებს ბრძოლაც გაუჭირდებოდათ.

ანგარიში პირველი ტაიმის მე-10 წუთზე გიორგი მანწკავამ გახსნა, რომლისთვისაც ეს მიმდინარე სეზონში მე-4 გატანილი გოლია. შესვენების შემდეგ, გოლები კოტდივუარელმა მუნინი ტაპემ და ლაშა ჩალაძემ მიითვალა – 3:0.

ამ მოგებით მარტვილელები ცხრილის მე-5 საფეხურამდე დაწინაურდნენ და კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგეს რეგულარული სეზონის ბოლოსთვის მოწინავე 8 გუნდში დასამკვიდრებლად.

კიდევ ორი მატჩი – ტორპედო-სპარტაკი და დინამო-მეტალურგი გუშინ გაიმართა და გვიან დასრულდა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო | 8 | 6 | 1 | 1 | 17:7 | 19 |
| 2.ზესტაფონი | 8 | 5 | 2 | 1 | 14:11 | 17 |
| 3.ბაია | 9 | 5 | 1 | 3 | 13:6 | 16 |
| 4.მეტალურგი | 8 | 4 | 2 | 2 | 9:5 | 14 |
| 5.მერანი | 9 | 4 | 2 | 3 | 11:10 | 14 |
| 6.ვიტ ჯორჯია | 9 | 4 | 2 | 3 | 10:11 | 14 |
| 7.ტორპედო | 8 | 4 | 1 | 3 | 7:6 | 13 |
| 8.გაგრა | 8 | 3 | 1 | 4 | 9:8 | 10 |
| 9.დილა | 9 | 3 | 1 | 5 | 13:14 | 10 |
| 10.სპარტაკი | 8 | 1 | 4 | 3 | 5:8 | 7 |
| 11.კოლხეთი | 9 | 1 | 3 | 5 | 5:12 | 6 |
| 12.სიონი | 9 | 0 | 2 | 7 | 3:18 | 2 |

**ბომბარდირები:** დიმიტრი ტატანაშვილი (მეტალურგი) – 6 ბურთი; ჩისკო (დინამო) – 5; გიორგი მანწკავა (მერანი), რატი წინამძღვრიშვილი (ზესტაფონი) 4-4.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# TV პროგრამა

**ორშაბათი 17 ოქტომბერი**

07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.45 ვ. სანაიას რეპორტაჟი 13.50 10 პლუს 10 15.00 სერიალი **"არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის"** 17.00 დოკ. ფილმი "დედები და შვილები ჰოლივუდში" 18.00 ან. ფილმი "შეუდარებელი ადამიანი-ობობა" 18.30 **ძიუდო**. აბუდაბის გრან-პრი. ფინალები 21.00 სერიალი **"არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის"** 22.00 აუდიტორია 23.00 საფეხბურთო მიმოხილვა 00.00 ღამის საუბრები 01.00 მოამბე 01.20 მხ. ფილმი **"ზარი 2"** (18) (ნ. უოტსი) 03.20 სერიალი **"ზიანი"** (12) 04.20 მხ. ფილმი **"ხანძარში დაკარგული ნივთები"** (12)

08.00 დოკ. ფილმი 09.00 ან. ფილმი "ეგვიპტის უფლისწული" 10.30 ვ. სანაიას რეპორტაჟი 11.30 დოკ. ფილმი 12.30 ქართული დოკუმენტალისტიკა 13.30 ისტორია 14.30, 17.45, 23.30 ბრიფინგის დროით 16.00 დოკ. ფილმი 17.00 მეხსიერება 19.00, 01.00 სერიალი **"ზიანი"** (12) 20.00 მხ. ფილმი **"ფილდერის არჩევანი"** 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 02.00 მხ. ფილმი **"ხანძარში დაკარგული ნივთები"**

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერიალი **"როსალინდა"** 11.00 სერიალი **"კლონი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.30 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს კურიერი 13.30 შუა დღე 15.40 იღბლიანი ბორბალი (გან.) 17.00 სერიალი **"ავრორა"** 18.45 სერიალი **"ახალგაზრდა ქვრივი"** 19.45 სერიალი **"სახლი მეზობლად"** 22.00 ჯეოსტარი 00.00 შუა დღე 01.00 პატრული 01.30 მხ. ფილმი (სუბტ.)

07.30 იმედის დილა 10.00 სერიალი **"მოპარული ბედნიერება"** 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.00 ქრონიკა 11.40 სერ. **"ქალის სიტყვა"** 12.30 დღის შოუ 14.30 ტვ-მარკეტი 14.40 სერ. **"ყავა და ლუდი"** 16.00 სერიალი **"მეტოქეები"** 17.40 სერიალი **"ევა ლუნა"** 18.40 სერიალი **"როცა სიყვარული მოდის"** 21.00 სერიალი **"დამალული სიმართლე"** 22.00 მუს. ლიგა (გან.) 23.20 მხიარულთა და საზრიანთა გუნდების ჩემპიონატი 00.30 მხ. ფილმი **"ტრანსპორტერი"** (ჯ. სტეტჰემი) (სუბტ.) 02.25 მხ. ფილმი **"წერილები ჯულიეტასთვის"** (ა. საიფრიდი) 04.00 მხ. ფილმი **"სამართლიანობისთვის მებრძოლი"** (12) (ს. სიგალი)X 06.30 სერიალი **"მარინა"**

08.00 მხ. ფილმი 10.00 სერიალი **"ჩემი შეყვარებული"** 11.00 ანიმაცია "ყველაზე პატარა ზოომაღაზია" 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 12.15 სერიალი **"დაკარგული ქვეყანა 3"** 13.00 მხ. ფილმი 15.30 პულსი 17.10 სერიალი **"ტყუპები"** 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერიალი **"მისი სულის მუსიკა"** 21.00 სერიალი **"გაუხსნელი საქმე"** 22.00 მხ. ფილმი 00.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30, 23.00 სერიალი **"სოფია, ცოტა მადროვე"** 10.30 დოკ. ფილმი 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.00 სერიალი **"სოპრანოს კლანი"** 12.50, 19.35 სერიალი **"მხოლოდ შენ"** 15.15 სერიალი **"ექიმი ქმორი"** 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი 00.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება 08.30 განთიადი 10.05 პატრიარქის ქადაგება 10.35 კვირიაკე 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.10 მხ. ფილმი **"ქალაქი ანარა"** 13.30 კონცერტი – ანს. "შავნაბადა" 15.25 სპექტაკლი **"სამანიშვილის დედინაცვალი"** 17.00 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 17.25 საუბრები შ. ნადირაშვილთან 18.05 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 19.15 მხ. ფილმი **"გაზაფხული საკენში"** 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 სალვთისმეტყველო საუბრები 22.20 დოკ. ფილმი "თენგიზ აბულაძე" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ. ფილმი "წმინდა ევდემოზ კათალიკოსი" 23.25 დოკ. ფილმი "ტაო კლარჯეთი"1-ლი ნ. 00.30 განთიადის სტუმარი 00.55 პერსპექტივა

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**17 ოქტომბერი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6613

ევრო —2,2702

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7208

რუსული რუბლი — 0,057

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 17–22, ღამით — 6–13

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 23–27, ღამით — 17–18

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა ტემპერატურა დღისით — 16–19, ღამით — 2–11

## ამინდის პროგნოზი 17 ოქტომბრისთვის









გაზეთ „ახალი თაობის“ 17 ოქტომბრის ნომერთან ერთად გ ა ი ყ ი დ ე ბ ა

„ქართული მწერლობის საუნჯის“

მესამე ტომი

ვეფხისტყაოსანი

ეს წიგნი ყველა ოჯახში უნდა იყოს!


## სირაძე ნალჩიკს დატოვებს

**რუსეთის ჩემპიონატი ქართველი ფეხბურთელების ნაკლებობას არ განიცდის. ერთ-ერთი მათგანი საქართველოს ნაკრების წევრი დავით სირაძეა, რომელიც ნალჩიკის „სპარტაკში“ თამაშობს. თუმცა, შესაძლოა, ქართველმა ლეგიონერმა დავით სირაძემ ყაბარდოული გუნდი შემოდგომაზე დატოვოს.**



ამ ინფორმაციას რუსული პოპულარული სპორტული გაზეთი „სპორტ ექსპრესი“ ავრცელებს, მაგრამ თუ სად გააგრძელებს კარიერას ჩვენებური, ამის შესახებ არაფერს იტყობინება.

სირაძის კონტრაქტი „სპარტაკთან“ მიმდინარე წლის დეკემბრამდე მოქმედებს და დღემდე მხარეებს ხელშეკრულების გახანგრძლივებაზე არ ულაპარაკიათ. შეგახსენებთ, რომ ქართველი ფორვარდი ნალჩიკის კლუბში 2008 წლიდან გამოდის. მიმდინარე სეზონში სირაძემ 19 შეხვედრა ჩაატარა და ორი გოლი გაიტანა.

მ. ქ.

## ასტროპროგნოზი 17 ოქტომბრისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

**წარმატებული დღეა**

**ვერძი** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **კურო** — ფულს შოულობთ, ნავაჭრით კმაყოფილი ხართ. **ტყუპები** — ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **კირჩხიბი** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ლომი** — დაჯილდოვდებით, მოთმენად ღირდა. **ქალწული** — თქვენი საქმე წინ მიდის, მთავარია იაქტიუროთ. **სასწორი** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **ღრიანკალი** — არ აჩქარდეთ, საქმეს მოასწრებთ. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** — სიახლე გწყურიათ, ჩვეულებრივი დღეები შეიცვლება. **მერწყული** — თქვენი საქმე კარგად მიდის, რამდენიმე დღეში ცხოვრება შეგეცვლებათ. **თევზები** — ზედმეტი აქტიურობა არ არის საჭირო, წარმატება ისედაც მოვა.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## ადვილად ეგუებით თუ არა ახალ პირობებს? ტესტი



1. ადვილია თქვენი რაიმეში დარწმუნება?
2. როდესაც რამეს აკეთებთ, კოლეგების საქმიანობა თუ გაინტერესებთ?
3. ძნელი ხომ არ იყო თქვენთვის სწავლის დროს ერთი გამოცდიდან მეორეზე გადართვა?
4. შეგიძლიათ თუ არა ბოლომდე მიიყვანოთ საქმე, თუ ახალი, უფრო საინტერესო გელით?
5. თუ გიჭირთ უარი თქვათ ჩვეულებაზე, რომელიც არ მოგწონთ?
6. ადვილად გადადიხართ თუ არა ერთი საქმიდან მეორეზე?
7. თუ გიფუჭებთ ხასიათს თქვენი გეგმების უმნიშვნელო დარღვევა?

**უარყოფითი პასუხი თითო ქულით შეაფასეთ.**

### პასუხები

**3 ქულაზე ნაკლები:** ადვილად ეჩვევით ახალ პირობებს, ახალ ადამიანებს. უცნობი სიტუაცია, მოულოდნელი დაბრკოლება არ იწვევს თქვენს გაღიზიანებას. ინტერესების ფართო წრე გაქვთ, თუმცა შეიძლება ცოდნა შედარებით ზედაპირულია. ყოველთვის არ ცდილობთ მიზნის მიღწევას და ხანდახან გიჭირთ საქმის ბოლომდე მიყვანა. მონოტონურობას შემოქმედებით მიდგომას ამჯობინებთ.

**3-6 ქულა:** აუცილებლობის შემთხვევაში შეგიძლიათ საკუთარი პოზიციის დაცვა, თუმცა იმის აღიარებაც შეგიძლიათ, რომ ცდებოდით. შეგიძლიათ მავნე ჩვევაზე უარის თქმა და ნებისმიერ საქმეს შემოქმედებითად უდგებით.

**6 ქულაზე მეტი:** განეკუთვნებით იმ ადამიანების კატეგორიას, რომლებსაც არ სჩვევიათ თავიანთი შეხედულებების და ჩვევების შეცვლა. თქვენ საიმედო, მიზანმიმართული ადამიანი ბრძანდებით და, როგორც წესი, ცდილობთ მიზნის მიღწევას. მასთან, თქვენი მიზანმიმართულობა ხანდახან ჯიუტობაში შეიძლება გადაიზარდოს. Mრავალს ზედმეტად პრინციპულად მიაჩნიხართ, რადგან წვრილმანების დათმობაც არ გსურთ.

## 26 წლიანი პატიმრობის შემდეგ პროფესიონალურ რინგზე




ამერიკელმა მოქალაქე დიუი ბოზელამ, რომელმაც 26 წელიწადი ციხეში სასამართლო შეცდომის გამო გაატარა, პროფესიული კრივის რინგზე წარმატებით იასპარეზა.

52 წლის მოკრივე შაბათს საღამოს საკმაოდ სახელოვან მეტოქეს, ლარი ჰოპკინსს შეხვდა და მსაჯთა ერთსულოვანი გადაწყვეტილებით გამარჯვება მას მიეკუთვნა.

ორთაბრძოლა ოთხი რაუნდი გაგრძელდა. მესამე და მეოთხე რაუნდები ბოზელას შესამჩნევი უპირატესობით წარიმართა, ხოლო მისი მეტოქე ორთაბრძოლის ბოლოსთვის საგრძნობლად დასუსტდა, ამიტომ რეფერიმ მას იმის გამოც დააკლო ქულები, რომ მუდმივად კარგავდა დამცველ კაპას.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## იუმორი



ტიპი ნაცნობ ადვოკატთან მივიდა.

— ცოლს მინდა გავეყარო.

— რა მოხდა.

— ყოველდღე რესტორნებსა და ლუდხანებში დაეთრევა.

— ვერ დავიჯერებ, რომ შენი ცოლი ასე წავიდა ხელიდან.

— არა, უბრალოდ, მე მეძებს...

* * *

პროფესორი მოულოდნელად დაბრუნდა მივლინებიდან და ცოლს საწოლში კოლეგასთან ერთად მიუსწრო.

— და შენ, როგორც ინტელიგენტურ ადამიანს, რა შეგიძლია მითხრა? — ეკითხება განრისხებული პროფესორი კოლეგას.

— როგორც ინტელიგენტი ინტელიგენტს?

— რა თქმა უნდა.

— დაუკაკუნებლად არ უნდა შემოსულიყავი...

* * *

ორი მეგობარი საუბრობს:

— ჩემმა ცოლმა მიმატოვა და ჩემს საუკეთესო მეგობართან წავიდა.

— კი მაგრამ, შენი საუკეთესო მეგობარი ხომ მე ვარ!

— ახლა ის არის...

გ. თ.

## კროსვორდი ა

**თარაზულად:** 1. ალლუმი; 4. ამერიკელი მწერალი; 7. უეცარი შიში; 9. ვიწრო და თხელი ფიცარი; 11. მიწის თხილი; 12. ყანის ერთწლოვანი სარეველა ბალახი; 13. ყურის გარეთა ხვეულებიანი საფარი; 17. ლორდის მეუღლის ხსენება ინგლისში ძველად; 18. ... მეტრეველი (ისტორიკოსი); 19. რკინიგზის გადასასვლელის ჩასაკეტი მოწყობილობა; 20. ერთგვარი სამკაული.

**შვეულად:** 1. მთის უმაღლესი მწვერვალი; 2. ასაფეთქებელი ნივთიერება; 3. პერანგი; 5. ბამბუკის დათვი; 6. გრძელყურა, ფეხმარდი ცხოველი; 8. სარწმუნოების შეურაცხყოფა; 10. ქალაქი სამხრეთ საქართველოში; 12. სამხედრო წოდებულება; 14. კურკოვანი ხილი; 15. მუხუდო ანუ ...; 16. ტყის მსხალი.

შეადგინა ოლივერ კოხიამ




## „მიმინოს“ გმირებს ძეგლი დაუდგეს

ეკა ირემაშვილი

თბილისში, ავლაბრის მეტროსთან მდებარე სკვერში გია დანელიას ფილმის „მიმინო“ გმირებს ძეგლი დაუდგეს. ქანდაკების ავტორი რუსეთში მოღვაწე ქართველი მოქანდაკე და მხატვარი ზურაბ წერეთელია. მან ცნობილი კინოგმირები ქვაში გააცოცხლა. ვალიკო მიზან-



დარი — კეპით, რუბიკა კი საბურავებით. ავლაბარში მდებარე სკვერში ბუბა კიკაბიძის, ფრუნზიკ მკრტჩიანის, ევგენი ლეონოვისა და თავად გია დანელიას ქანდაკებებია აღმართული. ძეგლის გახსნას ქართველი საზოგადოება, თავად ზურაბ წერეთელი, რუსეთის, უკრაინისა და სომხეთის დელეგაციები ესწრებოდნენ. ქანდაკება ზურაბ წერეთელმა თბილისს უსახსოვრა. „მიმინომ“ — ქართველი და სომეხი ხალხის მეგობრობის სიმბოლომ — ამიერიდან დედაქალაქის უძველეს უბანში — ავლაბარში დაიდო ბინა.

ძეგლის თბილისში გახსნამდე „მიმინოს“ კინოგმირების ქანდაკება დილიჟანშიც დადგეს. მაშინ სომხეთში ქართული დელეგაციაც ჩავიდა და რუბიკ

გაგრძელება მე-8 გვერდზე

ლურჯი წითელი ყვითელი შავი